# სარბიელი

სპორტული გაზეთი   გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან   ხუთშაბათი, 13 აგვისტო 1998 №141 (676)   ფასი 50 თეთრი

# ლხინი აქა!..

## დინამო 2   ატლეტიკი 1

„დინამომ“ პატარა სასწაული გვაჩუქა — ესპანეთის ვიცე-ჩემპიონს თავის ცნობილ მოძღვარ ლუის ფერნანდესიანად თითები დააკბენინა. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირამდე რა ძნელი, მაგრამ ერთი ნაბიჯიღაა. არასდროს ვყოფილვართ სანუკვარ მიზანთან ასე ახლოს. გადავდგათ ეს ნაბიჯიც!



გაგი კოიოლაძის ფოტოები



კობა ინასარიძე

ბელგრადიდან



### პარტიზანები თავს ინუგეშებენ და თურმე ბათუმისაც ეშინიათ

აქ იუგოსლავიაში, უფრო სწორად, ბელგრადში, ერთი ჩვენთვის მისაბაძი, კარგი ტრადიცია ყოფილა. ყველა საერთაშორისო მატჩის წინა დღეს მასპინძელი კლუბი თავის ოფისში მეტოქე გუნდის მწვრთნელს, კაპიტანსა და ადგილობრივ თუ სტუმარ ჟურნალისტებს იწვევს, ხვალინდელ თამაშზე ვისაუბროთო.

გუშინ, დილაუთენია, ათის ნახევარზე სასტუმრო „მეტროპოლს“ „პარტიზანის“ ამალა ეწვია, პრეს-კონფერენციას ვმართავთ და წამობრძანდითო, უთხრეს ბათუმელებს. ჩვენები ხეირიანად დანაყრებულნიც არ იყვნენ, მაგრამ უარს, აბა, როგორ იტყოდნენ. დათანხმდნენ და 10 საათზე უკვე „პარტიზანის“ ოფისს მიაკითხეს, რომელიც სტადიონის ერთ-ერთი ტრიბუნის ქვეშაა მოწყობილი ქართველთათვის მართლაც რომ საშურად.

„ბათუმს“ პრეს-კონფერენციაზე მწვრთნელის თანაშემწე იური მამინაშვილი და ზურაბ მინდაძე წარადგენდნენ. აქაურთაგან კი, მწვრთნელმა ლიუბიშა ტუმბაკოვიჩმა ჯერაც უწვერული კაპიტანი საშა ილიჩი იახლა. ჩვენებურთა და იუგოსლავთა შუა ერთი ლიპიანი მამაკაცი მოკალათდა, ათი წუთი ენა არ გაუჩერებია, ქიციც თქვა და ქიცმაცურიც, ქართველებსაც მოგვიძღვნა ორიოდ კომპლიმენტი, ბოლოს კი საშველიც დაადგა — მამინაშვილსა და მინდაძეს ხუთი-ექვსი კითხვა დაუსვა, მერე კი, თქვენ გააგრძელეთო, მოგვმართა. ჰოდა, ვინაიდან მატჩი დღესაა, ვფიქრობ, უკეთესს და საინტერესოს ვერაფერს მოგწერთ გარდა გუშინდელი პრეს-კონფერენციისა. მაშ დავიწყოთ.

იხილეთ მესამე გვერდი



კახა კალაძის (№7) და კიეველთა ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა სათუო გახდა

REUTERS ფოტოები

### ჩემპიონთა ლიგა. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი
პირველი მატჩები. 12 აგვისტო

CHAMPIONS LEAGUE

რუსენბორგი (ნორვეგია) — ბრიუგე (ბელგია) 2:0
1:0 რუშფელდი (61), 2:0 სკამელსრუდი (81)

მანჩესტერი (ინგლისი) — ლკს (ლოძი, პოლონეთი) 2:0
1:0 გიგზი (16), 2:0 კოული (81)

ლიტექსი (ბულგარეთი) — სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) 0:5
0:1 პისარევი (55), 0:2 ტიტოვი (65), 0:3 სამარონი (77), 0:4 პისარევი (86), 0:5 ციმბალარი (90)

გალათასარაი (თურქეთი) — გრასჰოპერი (შვეიცარია) 2:1
1:0 ჰაჯი (59პ), 2:0 შუქური (67), 2:1 ფოგელი (87პ)

სელტიკი (შოტლანდია) — კროაცია (ხორვატია) 1:0
1:0 ჯექსონი (51)

მარიბორი (სლოვენია) — ეინდჰოვენი (ჰოლანდია) 2:1
1:0 ფილიპოვიჩი (11), 1:1 დოს სანტოსი (60), 2:1 ბრეზნიკი (85)

დინამო (კიევი, უკრაინა) — სპარტა (ჩეხეთი) 0:1
0:1 ბერანეკი (5)

კოშიცე (სლოვაკეთი) — ბრონდბიუ (დანია) 0:2
0:1 დაუგაარდი (54), 0:2 ტიგესენი (90)

ინტერი (იტალია) — სკონტო (ლატვია) 4:0
1:0 სამორანო (4), 2:0 სიმეონე (10), 3:0 ვენტოლა (21), 4:0 ბაჯო (59)

ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — ანორთოსისი (კვიპროსი) 2:1
1:0 იანაკოპულოსი (11), 2:0 დე სოუზა (32), 2:1 მიხაილოვიჩი (65)

ბენფიკა (პორტუგალია) — ბეითარი (ისრაელი) 6:0
1:0 პემბრიჯი (24), 2:0 დინი (28), 3:0 კალადო (63პ), 4:0 შელახი (79ს.კ.), 5:0 პემბრიჯი (81), 6:0 ნუნუ გომეში (85პ)

ჰიკ (ფინეთი) — მეცი (საფრანგეთი) 1:0
1:0 რიიჰილაჰტი (72)

ბაიერნი (გერმანია) — ობილიჩი (იუგოსლავია) 4:0
1:0 ეფენბერგი (59), 2:0 ელბერი (63), 3:0 ციკლერი (65), 4:0 ფინკი (76)

შტურმი (ავსტრია) — უიპეშტი (უნგრეთი) 4:0
1:0, 2:0 ვასტიჩი (7, 70), 3:0 ნეუკირხნერი (82), 4:0 ჰაასი (89)

სტიაუა (რუმინეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 2:2
0:1 ასანოვიჩი (9), 1:1 სერბანი (12), 1:2 ლინფეროპულოსი (68), 2:2 შეკელი (75)

### კეტი მარჯვედ ვატრიალეთ

ქართველი კეტბურთელები ავსტრიის დედაქალაქ ვენას სტუმრობენ, სადაც ევროპის ჩემპიონატის **B** ჯგუფის 16 გუნდს მოუყრია თავი, ამათგან ორი საუკეთესო **A** ჯგუფში თამაშის უფლებას მოიპოვებს, რაც თავისთავად მეტად საპატიოა და საშუალებას მოგვცემს, ევროპელ გრანდებში გავერიოთ.

ჩვენებმა ქვეჯგუფში ზედიზედ სამი თამაში მოიგეს — პოლონეთთან 6:2, ხორვატებთან 8:5, უნგრელებთან 10:2 და ამ მართლაც ჩინებული სტარტის მერე მეოთხედფინალში გავიდნენ.

### განჯაში ისევ სირცხვილი ვჭამეთ

განჯაში საქართველოს 18 წლამდე და საკლუბო ნაკრებებმა ამხანაგური მატჩები გამართეს აზერბაიჯანის იგივე ასაკისა და ეროვნულ ნაკრებებთან. ჩვენმა ჭაბუკებმა 1:0 ძლიეს მეტოქეს. მეორე გუნდმა კი, რომელსაც გიგლა იმნაძე ედგა სათავეში და ვლადიმერ გუცაევი მხოლოდ კონსულტანტობდა, 0:1 სამარცხვინო მარცხი იწვნია.

ასე რომ, განმეორდა 5 წლის წინანდელი ისტორია. ვის რაში დასჭირდა მორიგი აზერბაიჯანული ვოიაჟი და აუხსნელი სირცხვილის ჭამა, ძნელი სათქმელია. საკითხავი ის არის, როდის ვისწავლით ჭკუას?

# ბოდიში, ლიგა ჩვენ გველის

ჩემპიონთა ლიგა. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი
12 აგვისტო. თბილისი. ეროვნული. 17 000 მაყურებელი

## დინამო 2:1 ატლეტიკი

1:0 ხომერიკი (15), 2:0 ცქიტიშვილი (30), 2:1 იმასი (47)

დინამო
24. გვარამაძე
4. დიდავა
19. გუჩუა 3. ჯელაძე
5. ი. მახარაძე 7. კიკნაძე 8. ალექსიძე
20. მუჯირი 10. ცქიტიშვილი
11. ხომერიკი 18. აშვეთია

9. ესკერო 20. ურსაისი
18. ალკისა 22. ხავი გონსალესი
6. ურუტია 7. იმასი
10. ლარასაბალი 3. ერნანდესი
15. ფერეირა 12. კარლოს გარსია
13. ი. ეჩებერია
ატლეტიკი

შეცვლა: ურსაისი — 17. ხ. ეჩებერია (65), ურუტია — 16. ნაგორე (69), ხავი გონსალესი — 8. გერერო (83), მუჯირი — 15. ლ. მელქაძე (87), ხომერიკი — 16. გ. შენგელია (90)

გაფრთხილება: ფერეირა, ი. მახარაძე, ალექსიძე, ალკისა

მთავარი მსაჯი: რ. პედერსენი (ნორვეგია)

**კონსტანტინე გოგიშვილი**

### ეს იყო მაშინ...

„დინამო" — „ატლეტიკის" გუშინდელი თამაშის მიმოხილვამდე, არ შეიძლება, ისტორია არ გაიხსენო. ისტორია კი უკვე 62 წელია იწერება. რა ბედენაა 62 წელი ისტორიისთვის — იტყვის მავანი. აბა, ერთი იმ კაცსაც ჰკითხეთ, იმ გულშემატკივარს, დღეს 73 წლისა რომ მოყრილა და 11 წლისას ველოსიპედი გადაუცვლია „დინამო" — ბასკების მატჩის ბილეთში. ეს 62 წელი ხომ მთელი ცხოვრებაა ამ კაცისთვის. ფეხბურთისთვისაც ბევრს ნიშნავს ეს ხანი. დრომ თავისი წაიღო, სატკივარიც დაამა და გასახარელიც გაახუნა, ალაზევა კიდეც ქართული ფეხბურთი და მისი უმაგალითო დაცემის მომსწრეც არაერთხელ გაგვხადა, დრო არ დაძველდა და მეფეზეც იმეფა — მხოლოდ ფეხბურთს ვერ დააკლო ვერაფერი. ფეხბურთი კვლავ ძველებურად უყვართ ჩვენში — ვის ძლიერ, ვის ნაკლებად, ვისთვის ჰობია, ვისთვისაც დროის (გულისაც) მოკვლის საშუალება — ერთი სიტყვით, ფეხბურთი ისევ იმ ფეხბურთად დარჩა. ისეთივედ, როგორიც იყო მაშინ.

მაშინ კი... მაშინაც ბასკები იყვნენ ფავორიტები. მაშინაც ლარინაგა, ლანგარა, ალონსო და სილურენი ეკერა ყველას პირზე, ისევე, როგორც დღეს არ სცილდება ეჩებერიას, გერეროს, ალკისას და ურსაისის სახელები ქართველ გულშემატკივართა ბაგეს. მაშინაც ფეხბურთი, მაშინაც ბასკები და ქართველები და ბრძოლა, ბრძოლა მოედანზე. მატჩი, რომელსაც დავიწყება არ უწერია.

### მატჩი

დავიწყებით კი მართლა არ ივიწყებენ ასეთ მატჩებს. განა რამდენი გამარჯვება გაგვიხერხებია „ატლეტიკის" დარ გუნდებთან, გუშინდელი შეხვედრა რომ არ ჩავაგდოთ სათვალავში.

თამაში ყოველგვარი ცერემონიების გარეშე დაიწყო. არავითარი დაზვერვა, რის სიფრთხილე, რა მორიდება. ბასკები რომ თავიდანვე მოგვიხდებოდნენ, ამას ველოდით, მაგრამ „დინამომაც" სასიამოვნოდ გაგვაკვირვა. აკი პირველადაც ჩვენებმა შექმნეს ხიფათი. მეოთხე წუთზე ალექსიძის კარის გასწვრივ ჩაწოდებული მცველებმა გამოიტანეს. ჰოდა, უკვე მაშინ გახდა ცნობილი, რომ იშტაზე იყვნენ ქართველები — შიში არ ეტყობოდათ, უმალ გადადიოდნენ მეტოქის ნახევარზე. ხურცილავამ „დინამოს" ახლებური განლაგება შემოგვთავაზა. გამოცდილი და ძლიერი ლიბერო რომ გვიჭირს, კარგა ხანია ცნობილია და კალისტრატოვიჩმაც ერთბაშად სამ(!) კაცს დაავალა საჯარიმოს ცენტრის კონტროლი. კი იწევდა ვალტერ გუჩუა მარცხნისკენ, რათა ამ ფლანგზე ეულად დარჩენილი ალექსიძისთვის მიეცა მხარი, მაგრამ ბასკები მოიგდებდნენ ბურთს თუ არა, უმალ ცენტრისკენ ეშურებოდა და იქ ეხმარებოდა თანაგუნდელებს. მარჯვენა ფლანგზე ივანე მახარაძე აქტიურობდა, ცენტრში კიკნაძემ, მუჯირმა და ცქიტიშვილმა არ დათმეს არაფერი და თუ წინ აშვეთია და ხომერიკი აქტიურობდნენ, ეს ქართველ ნახევარმცველთა უცილო დამსახურებაცაა. ერთი სიტყვით, ისეთი შეკრული და კოლექტიური ფეხბურთი ითამაშეს ჩვენმა ბიჭებმა პირველ ტაიმში, თქვენი მოწონებული. ბასკებს რაც შეეხებათ, განაპირა ნახევარმცველებმა დაანთეს ბასკური ცეცხლი ქართულ მინდორზე. განსაკუთრებით ხავი გონსალესის ბურთთან ნებისმიერი შეხება იყო საშიში და სახიფათო. არც ბურთის კონტროლი ეშლებოდა ამ კაცს, არც გახსნა თუ დროული პასის მიცემა. ამიტომაც იყო, მაგრად უჭირდა მისი შეკავება ყველაგან მყოფ ალექსიძეს. ბასკთა გუნდზე როცა ვლაპარაკობთ, არ უნდა გამოგვრჩეს მათი უდავო უპირატესობა მეორე სართულზე და სისწრაფეში. თითქმის ყველა მაღალი ბურთი ბასკებმა მოგვიგეს და დაცვიდან შეტევაზეც იმდენად სწრაფად გადადიოდნენ, თვალის შევლება ჭირდა. „დინამო" — „ატლეტიკის" მატჩის პირველი ტაიმი, თავისუფლად შეიძლება ერთ-ერთ ყველაზე სწრაფ და გახსნილ თამაშად ვაღიაროთ იმ თამაშებს შორის, რაც კი ამ ბოლო წლებში პაიჭაძეზე გვიხილავს. მიუხედავად მკაცრი, ხისტი ბრძოლისა, გუნდებმა ფეხბურთის თამაშის საშუალება მისცეს ერთმანეთს, კი, ჯარიმებიც იყო და არც ნორვეგიელი რუნე პედერსენის სასტვენი დუმდა მაინცდამაინც, ასეთ ფეხბურთს, მაინც ღია ფეხბურთი უნდა ვუწოდოთ და ერთი სიამოვნებად ღირდა ორივე (კავკასიელ და ესპანელ) იბერების ქროლა მოედანზე. დაძლია თუ არა სასტარტო მღელვარება, „დინამომ" ბურთის გონიერ გორებას მიჰყო ხელი და ერთიორჯერ კვლავ მოსინჯა ეჩებერიას სიმტკიცე. ერთ ხაზზე განლაგებული ოთხი მცველის უშეცდომოდ თამაში მხოლოდ ინგლისელებს უზით სულში და პირველმა თხუთმეტმა წუთმა ისიც დაგვანახა, დაცვის ცენტრში არც ბილბაოელებს ჰქონიათ მაინცდამაინც უნაკლოდ საქმე. ეს, თქმა არ უნდა, აშვეთია — ხომერიკის ტანდემისთვისაც ნათელი გახდა და როგორც კი მიხო ბურთს მიიღებდა და მარცხენა ფლანგზე ჩვეულად გაუტევდა, ხომერიკი უმალ საჯარიმოს ცენტრში იჭერდა ადგილს, რათა აშვეთიას ჩაწოდებული კარში გადაეგზავნა. პრობლემა ის გახლდათ, მათ უფრო ხშირად კარისკენ ზურგით მდგომებს უხდებოდათ ბურთის დამუშავება და ამას დრო მიჰქონდა.

პირველი გოლი კი ჩვენებმა უმალ მეტოქის შეცდომის ხარჯზე გაიტანეს, ვიდრე რაიმე კომბინაციის შედეგად. კომბინაცია უფრო დამამთავრებელ სტადიაში ვიხილეთ, მანამდე ხომერიკმა მოხერხებულად მოჰპარა ბურთი ურუტიას, შეიჭრა ბასკების საჯარიმოში, სწრაფად გაითამაშა აშვეთიასთან ორსვლიანი კომბინაცია და ოდნავ მარჯვნივ გასულმა აუღებელი „დაახოხა" ეჩებერიასგან მარჯვენა დაბალ კუთხეში.



[illegible] ფოტო

ხომერიკი ცქიტიშვილისკენ მეორე გოლის მისალოცად მიისწრაფვის

გაშვებულ გოლს ბასკებმა შტურმი მოაყოლეს, მათ ზედიზედ რადენიმე კუთხური მიაწოდეს. აი, კუთხური და მოწოდება ამას ერქვა. თითქმის ყველას ხიფათი სდევდა და რომ არა გვარამაძის და მეტწილ გუჩუას თავგმოდება (ის ერთ-ერთი საუკეთესო იყო, განსაკუთრებით პირველი ტაიმში), ვინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები.

დინამოელებმა აქაც გაუძლეს მეტოქეთა დაწოლას და 24-ე წუთზე აშვეთიას ისეთი სოლო რეიდი ვიხილეთ, ბარე ორი ქვეყნის გრანდს და ვარსკვლავს რომ შეშურდებოდა. მიხომ ერთბაშად სამი მცველი დატოვა მშრალზე და ზუსტად უპასა ცქიტიშვილს. თავის მხრივ ცქიტომაც ჩააწოდა, მაგრამ იმანოლ ეჩებერია სწორად გამოვიდა და ბურთს დაეუფლა. ამ მომენტს კვლავ ბასკთა საშიში კუთხურები მოჰყვა, მერე შორეული დარტყმაც სცადეს სტუმრებმა, მაგრამ მთელი მატჩის განმავლობაში დიდებულად მოთამაშე გვარამაძეს ვერაფერი დააკლეს.

30-ე წუთზე კი ჩვენებმა მოიმოქმედეს ის, რასაც სენსაციის სუნი უდიოდა. „დინამომ" მუჯირის, აშვეთიას, ხომერიკის და ბოლოს ცქიტიშვილის მონაწილეობით გაითამაშა მრავალსვლიანი კომბინაცია, რომელიც ამ უკანასკნელის ვარდნაში დარტყმით და გოლით დამთავრდა. 2:0 — ამ ანგარიშს ვერავინ წარმოიდგენდა. ეს უფრო საოცნებო ანგარიში გახლდათ. ბასკები კი უკვე სერიოზულად „აიჭრნენ". მეტოქის არეულობით დროულად რომ გვესარგებლა, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა მატჩი, მაგრამ ჯერ აშვეთიას, შემდეგ მუჯირის ჯარიმიდან ხარიხაზე გარტყმული არ შევიდა კარში და შესვენებაზეც ასე წავედით.

მერე კი მოხდა ის, რასაც კანონზომიერება შეიძლება ეწოდოს. ვის-ვის და, ლუის ფერნანდესს დამოძღვრა როგორ შეეშლებოდა. „ატლეტიკიც" გალომდა, „დინამო" კი ანგარიშის შენარჩუნებაზე ფიქრით და განწყობით გამოვიდა მინდორზე. ამაზე იმანაც იქონია გავლენა, რომ მეტად სწრაფი გოლი მივიღეთ საკუთარ კარში. მანამდე (და შემდეგაც) თითქმის უშეცდომოდ მოთამაშე გუჩუა ერთადერთხელ შეცდა და ეს შეცდომაც გოლად გარდასახა იმასმა.

ამ გოლის შემდეგ კი კვლავ ძველებური „დინამო" ვიხილეთ, აბნეული, დაფანტული. აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ მეტოქემ მაქსიმალურად შეუზღუდა სივრცეები ჩვენს ფეხბურთელებს და ჭკვიანური ტაქტიკაც აირჩია, თითქმის ყველა გადაცემა საჯარიმოს წინ მდგარი ურსაისისკენ მიდიოდა, რომელიც ადვილად იგებდა საჰაერო ბრძოლებს და თავით გამოზომილ პასებს უგდებდა ხოლმე თანაგუნდელებს. ათამდე სახიფათო მომენტი შექმნეს მეორე ნახევარში ბასკებმა და თითქმის ყველა ასეთი სახის იყო. ფერნანდესმა ერთი ჭკვიანური შეცვლაც გააკეთა, ხოსება ეჩებერიამ ურსაისი შეცვალა, რის შემდეგ ესკერომ ცენტრში თავდამსხმელის ადგილი დაიკავა, ხოლო გონსალესმა ფრთა შეიცვალა და ახლა ვანო მახარაძეს აყარა შავი დღე. მატჩის მიწურულს ფიზიკურად აშკარად სუსტი ქართველები თითქმის ველარ უმკლავდებოდნენ მეტოქეს და პირველ რიგში გვარამაძეს სწორ პოზიციურ გარჯას უნდა ვუმადლოდეთ, ანგარიში რომ შევინარჩუნეთ. ისე, ერთი-ორჯერ ჩვენებმაც შეძლეს ბასკების კონტრშეტევაზე გამოჭერა, თითქმის ერთი-ერთზე გასულ ხომერიკს კი თავისი შანსი რომ გამოეყენებინა...

ასე იყო თუ ისე, „დინამომ" ლამაზი და, პირველი ტაიმით თუ ვიმსჯელებთ, დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. ყოველ შემთხვევაში, საამაყო და თავის მოსაწონებელი ნამდვილად გაგვაჩნია. თურმე ჩვენც შეგვძლებია ბურთის თამაში, შეგვძლებია და მერე როგორ... თვით „ატლეტიკი" დავამარცხეთ, უფრო მეტიც ლუის ფერნანდესის მიერ დამოძღვრილი და ცეცხლშენთებული.

### მატჩის შემდეგ

*ლუის ფერნანდესი, „ატლეტიკის" მწვრთნელი:* პირველ ტაიმში „დინამომ" სიურპრიზი შემოგვთავაზა და საკმაოდ კარგი თამაში გვიჩვენა. რაც შეეხება შეხვედრის მეორე ნახევარს, ჩვენ შევძელით ძალების მობილიზება და სწრაფადაც გავიტანეთ გოლი. თუმცა, კარის აღების კიდევ ბევრი ხელსაყრელი მომენტი გვქონდა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ ანგარიშის გათანაბრება. დღეს დამატებითი გამოცდილება მივიღეთ, რომელიც აუცილებლად გამოგვადგება ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობისას.

თბილისის „დინამო" საკმაოდ ძლიერი გუნდია, რომლის შესახებაც არასაკმარისი ინფორმაცია გაგვაჩნდა და ამაში დღევანდელი შეხვედრით დავრწმუნდი. იმ ვიდეომასალაში ნანახთან შედარებით, რომელიც ჩვენ გადმოგვცეს, №5, №7 და №8 ფეხბურთელები დღეს სულ სხვა პოზიციაზე თამაშობდნენ. ბილბაოს მხარემ კი ყველა სახის ინფორმაცია მიაწოდა თქვენს გუნდს, რაც კი გვთხოვეს. ჩვენთვის უცნობი იყო „დინამოს" ზოგიერთი ახალი ფეხბურთელის ვინაობა და ისიც, რომ 2 და 6 აგვისტოს თამაშები ჩაუტარებიათ. თუმცა, ამას ყველაფერს იმისთვის არ ვამბობ, რომ დავაკნინო თქვენი კლუბის დონე. ვიმეორებ, ძალიან კარგი, ახალგაზრდული გუნდი გყავთ და პირველი ტაიმი ბრწყინვალედ ითამაშა. მეორე ნახევარში კი „ატლეტიკმა" უფრო კარგი ფიზიკური მომზადება გამოავლინა და მეტის გაკეთებაც შეგვეძლო, მაგრამ რას იზამ...

საპასუხო მატჩამდე საკმაო დრო გვაქვს უფრო კარგად მოსამზადებლად. ვფიქრობ, დღევანდელი შედეგი ბილბაოს შეხვედრის წინ ჩვენთვის ურიგო არ არის.

„დინამოს" პრეს-ატაშეს სტუმართა გუნდის თავკაცისადმი გამოჩენილმა ზედმეტმა ყურადღებამ სულ გადაავიწყა პრესკონფერენციაზე მასპინძელთა გუნდის მწვრთნელის მურთაზ ხურცილავას მოწვევა. თუმცა, ბატონ მურთაზს მოვალეობის შეხსენება არ უნდა დასჭირვებოდა.

მატჩის შემდეგ ბილბაოელები დაღლილნიც და ოდნავ შემცბარნიც იყვნენ. მათი ვარაუდი, თბილისში გავისეირნებთო, არ გამართლდა. და მაინც, მათ სიტყვებში საკმაო თავდაჯერება იგრძნობოდა.

*ხოსე ურუტია:* ვიცოდი, რომ ქართველები კარგ ფეხბურთს თამაშობდნენ, მაგრამ ამ შედეგს ნამდვილად არ ველოდი. ჩემი აზრით, ჩვენ მაინც უკეთესნი ვართ და ამას სულ მალე, საპასუხო მატჩში დაგიმტკიცებთ.

ასევე ფიქრობს *სანტიაგო ესკეროც:* მეტის გაკეთების საშუალება თქვენმა ფეხბურთელებმა არ მოგვცეს, მაგრამ გარწმუნებთ, ამას ბილბაოში ვიზამთ.

*იულენ გერეროს* მეტოქის ღირსებათა შეფასების უნარი ჰკლებია: დიდად აღფრთოვანებული არ ვარ თქვენების თამაშით, ვერ ვიტყვი, კარგად გაისარჯნენო.

— *კი მაგრამ, მათ ხომ დაგამარცხეს.*

— სამწუხაროდ, ეს ასეა. მაგრამ მათ ხომ შინ მოიგეს.

— *„ატლეტიკმა" შესაძლებლობათა მაქსიმუმი აჩვენა?*

— ჩვენ კი ვეცადეთ ამას, მაგრამ ეს არ იყო ყველაფერი, რაც შეგვეძლია.

*ხოსება ეჩებერია* კი საკუთარი გუნდის თამაშის შეფასებისას კრიტიკული იყო: პირველ ნახევარში საშინლად გამოვიყურებოდით. დასანანი შეცდომები დავუშვით დაცვაში. ორი გაშვებული გოლიც სავსებით ლოგიკური იყო. ქართველებმა ჩვენზე კარგად ითამაშეს, მაგრამ არ დაგვიწყდეთ, წინ საპასუხო მატჩია.

— *შანსებს როგორ აფასებთ?*

— „დინამო" ვერ მოიგებს, ძალიან გაუჭირდება ბილბაოში თამაში.

— *კი, მაგრამ, აქ თუ არ გაუჭირდა?*

— შინ თამაშს დიდი მნიშვნელობა აქვს, ამან უშველა „დინამოს".

— *აკი თქვით, თამაშით გვაჯობესო?*

— მართალი ხართ, მართლაც გვაჯობეს. რომ ვუფიქრდები, დიდი ანგარიშით მოგებაც შეეძლოთ. კარგი გუნდი გყავთ, მაგრამ ბოდიში, ჩემპიონთა ლიგა ჩვენ გველის.

შეხვედრის დამთავრებისთანავე დინამოელთაგან დავით მუჯირსა და ლევან ცქიტიშვილს გავესაუბრეთ:

*დავით მუჯირი:* ძალიან მიხარია, „ატლეტიკს" რომ მოვუგეთ და ხალხიც გავახარეთ. კენჭისყრის შემდეგ მხოლოდ ბასკებზედა ვფიქრობდით და ამიტომაც გამოგვივიდა უფერული „ვლაჟნიასთან" და სუპერთასზე „ბათუმთან" მატჩები. მართალია, მეორე ნახევარში ისინი უფრო გვიტევდნენ, მაგრამ თავი დავდეთ და ალბათ კარგადაც ვითამაშეთ. ვეცდებით, ბილბაოში უკეთ ვითამაშოთ და უფალმა გადმოგვხედა, ეგებ ლიგაშიც მოვხვდეთ.

*ლევან ცქიტიშვილი:* „ატლეტიკი" ნაღდად კარგი გუნდია და ამიტომაც გავილეთ ყველაფერი, რათა ღირსეულად გვეთამაშა. რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ და ალბათ არც ურიგოდ გვითამაშია. რაც მთავარია, ხალხმა გაიხარა, ჩვენც დავამტკიცეთ, რომ თამაში შეგვეძლებია. იქ კი ვიბრძოლებთ, მეტი რაღა დაგვრჩენია.

**ეკა ჯაფარიძე**
**ბაატა ძვანტალიანი**
**ხვიჩა სანიძიძე**
**გიორგი მუშაძიძე**

### მატჩის ქრონიკა

4 წუთი. კარის გასწვრივ ალექსიძის სახიფათოდ ჩაწოდებული მცველებმა გაჭირვებით მოიგერიეს.
6. ხავი გონსალესმა შორიდან გვარამაძის კარისკენ სუსტად და არაზუსტად დაარტყა.
15. ხომერიკმა ბილბაოელებს მოედნის შუაგულში ბურთი აართვა, საჯარიმოს მიახლოებულმა აშვეთიას კედელი გაუთამაშა და რთული მდგომარეობიდან მარჯვენა დაბალ კუთხეში ზუსტად დაარტყა — 1:0.
17. კუთხურიდან ალკისას ჩაწოდების შემდეგ, გვარამაძე გამოსვლაზე შეცდა, მაგრამ ცქიტიშვილმა იმარჯვა და მდგომარეობა განმუხტა.
21. ჯარიმიდან ჩაწოდებულს ფერეირას თავური მოჰყვა. კოშკამ ჩინებული რეაქცია გამოავლინა.
24. აშვეთიამ ერნანდესს მარცხენა ფლანგზე თავბრუ დაახვია და ცქიტოს უპასა, მის ჩაწოდებულს მეკარე გაჭირვებით დაეუფლა.
30. „დინამომ" კარგი კომბინაცია გაითამაშა, საჯარიმოში შეჭრილმა აშვეთიამ ჩაწოდება სცადა, მცველმა მოიგერია, თუმცა ბურთს კვლავ მიხო დაეუფლა და ხელმეორედ ჩააწოდა, ხომერიკმა თავით ცქიტოს დაუგდო, რომელმაც ახლოდან ვარდნაში ანგარიში გაზარდა — 2:0.
35. ხავი გონსალესი სტუმრებს მეკარესთან პირისპირ გაჰყავდათ, მაგრამ კვლავ გვარამაძემ იმარჯვა, ფეხებში ჩაუვარდა და აართვა ბურთი.
38. კუთხურიდან ჩაწოდებულს ესკერო თავით გამოეხმაურა, უზუსტოდ.
41. მუჯირმა ბრწყინვალედ ითამაშა, ქუსლით ხომერიკს უპასა, ლევანმა აშვეთია მოძებნა, რომელიც საჯარიმოში შეიჭრა და უძლიერესად დაარტყა. ეჩებერიამ ბურთი მუშტებით მოიგერია.
42. მუჯირის 21-23 მეტრიდან დარტყმული ჯარიმა ხარიხამ მოიგერია.
47. შესვენების შემდეგ ბილბაოელთა პირველივე შეტევის ჩაშლა გუჩუამ სცადა, მაგრამ შეცდა, ბურთი იმასს დაუგდო, რომელმაც შეუჩერებლივ დაარტყა, კოშკამ თითები კი წაატანა, მაგრამ მოგერიება ვერ შეძლო.
49. აშვეთიას ახლოდან გასროლილი მცირედით ასცდა სტუმართა კარს.
52. სტუმართა მეკარის ძლიერად დარტყმული ბურთი დიდავას და ჯელაძეს თავზე გადაახტა, ესკერო პირისპირ გადიოდა, მაგრამ კვლავ გვარამაძემ იმარჯვა.
57. ვანო მახარაძემ ესკერო უყურადღებოდ დატოვა, რომლის დარტყმისას კოშკამ ბრწყინვალე რეაქცია გამოავლინა და ბურთი კუთხურზე მოიგერია.
58. ხავი გონსალესის უკთხურიდან ჩამოწოდებული ურსაისმა კარისკენ გაგზავნა, მაგრამ გუჩუამ კვლავ კუთხურზე მოიგერია. საიდანაც ისევ გონსალესმა ჩააწოდა, ამჯერად ესკერო ურტყავდა, მეკარემ აშკარად გვიხსნა.
62. კონტრიერიშისას ალკისამ ესკერო კოშკასთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ თავდამსხმელმა ძელს გაარტყა, განმეორებით დარტყმას მცველები გადაეღობნენ.
63. მუმუს შორიდან დარტყმული ჯარიმა ეჩებერიამ იოლად აიღო.
68. ლარანსაბალის აუტიდან საჯარიმოში ჩაწოდებული მინდორზე ახალშესულმა ხოსება ეჩებერიამ კარში კი გადაგზავნა, მაგრამ კოშკა ადგილზე დაუხვდა.
70. ალკისამ კარგი პასით ურსაისი გვარამაძეს შეატოვა, მაგრამ ბასკმა თანაგუნდელს გარჯა წყალში ჩაუყარა, უზუსტოდ დაარტყა.
71. ალექსიძე სწრაფად შეიჭრა საჯარიმოში, მახვილი კუთხიდან ძლიერადაც დაარტყა, მაგრამ ერნანდესმა კუთხურზე მოიგერია.
74. ალექსიძის დიდებული პასით ხომერიკი მეკარესთან ერთი-ერთზე დარჩა, მაგრამ ეჩებერიამ იმარჯვა და თავისიანები მესამე გოლს გადაარჩინა.
76. კვლავ ალექსიძის ჩინებული პასი, აშვეთიამ მეურვე ჩამოიცილა, მაგრამ კარს მცირედით გადააცილა.
79. ხავი გონსალესმა ჯარიმა ჩააწოდა, ნაგორემ თავით ესკეროს გადაუგდო, რომლის თავურსაც კვლავ კოშკა გადაეღობა.
84. სტუმართა მეკარე გამოსვლაზე უხეშად შეცდა, მაგრამ კიკნაძემ ამით ვერ ისარგებლა.
85. სტუმართა მრავალსვლიანი კომბინაცია ეჩებერიამ შეუჩერებელი დარტყმით დასრულდა. ამჯერადაც გვარამაძემ იყოჩაღა.

# პარტიზანები თავს ინუგეშებენ და თურმე ბათუმისაც ეშინიათ

დასაწყისი პირველ გვერდზე

*იური მამინაშვილი:* უამბიციოდ ამხელა გზაზე რა ჩამოგვიყვანდა? ვეცდებით, „პარტიზანთან" ჩვენი საუკეთესო მატჩი ვითამაშოთ. თქვენს გუნდზე და საერთოდ იუგოსლავიურ ფეხბურთზე დიდი არა, მაგრამ წარმოდგენა კი გვაქვს. ხელთ ვიგდეთ „პარტიზან" — „ობილიჩის" მატჩის ვიდეოჩანაწერი, თქვენი გუნდის „კროაციასთან" ნათამაშევის ხილვის საშუალებაც მოგვეცა.

ტაქტიკაზე და „ბათუმის" შემადგენლობაზე საუბარი ნაადრევად მიმაჩნია. ყველაფერს ბოლო ვარჯიშის მერე გადავწყვეტთ. ჩვენზე „კოლხეთის" „ცრვენასთან" საშინელმა მარცხმა ოდნავადაც არ იმოქმედა, ან კი რა გვაქვს სანერვიულო და განსაცდელი, როცა კენჭისყრის დამთავრებისთანავე ვიცოდით, ვისთან გვექნებოდა საქმე. რაც შეეხება „კოლხეთის" განადგურებას, ჩემი აზრით, მარცხის მიზეზი ფოთელთა კლუბში შექმნილი კრიზისული მდგომარეობა იყო. თანაც კოლხები თაობათა ცვლის პროცესში არიან.

*ზურაბ მინდაძე:* ქართველებსა და იუგოსლაველებს ბევრი საერთო გვაქვს. ერთნაირი ტემპერამენტის ხალხი ვართ. გმადლობთ, სტუმართმოყვარეობისთვის. ჩვენ კი პირობას გაძლევთ, ნაღდ, ვაჟკაცურ, უკომპრომისო და ლამაზ ფეხბურთს ვითამაშებთ. „ბათუმისთვის" მთავარი სასურველი შედეგის მიღწევაა. თუ როგორ შევძლებთ ამას, ხვალინდელი მატჩი გვიჩვენებს. როგორც მწვრთნელი გვეტყვის, ისე ვითამაშებთ. აბა, მე რომ ვიცოდე „პარტიზანს" როგორ ვეთამაშოთ, მაშინ მწვრთნელი ვიქნებოდი. პროგნოზს რაც შეეხება, მგონი შანსებით 50-50-ზეა.

*საშა ილიჩი:* სამი დღეა, კარანტინში ვართ. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ ამ მატჩისთვის სერიოზულად ვემზადებით, ისე, როგორც მეტოქეს შეეფერება. „ბათუმი" ჩვენზე გამოცდილი გუნდია და, ვფიქრობ, გაგვიჭირდება მასთან იოლი გამარჯვება. ქართულ ფეხბურთზე პირველი შთაბეჭდილება „კოლხეთით" შემექმნა, ვიფიქრე, ძალიან სუსტები ყოფილან ქართველები-მეთქი, მაგრამ შევცდი. როცა მწვრთნელი ბათუმიდან დაბრუნდა, გვესაუბრა და ამის შემდეგ აზრი შემეცვალა. მიჭირს პროგნოზის გამოთქმა.

ლიუბიშა ტუმბაკოვიჩის ნათქვამი შეგნებულად შემოვინახე ბოლოსთვის, რადგან იუგოსლაველ კოლეგებს მისთვის არაფერი უკითხავთ და მწვრთნელიც იძულებული გახდა, მხოლოდ ჩემს კითხვებზე ეპასუხა.

**— ამასწინად თქვით, გამარჯვებაში ასი პროცენტით ვართ დარწმუნებულნიო. რას ემყარება თქვენი ოპტიმიზმი?**

— მხოლოდ და მხოლოდ თავს ვინუგეშებთ, ვიმხნევებთ. „პარტიზანის" საშუალო ასაკი ხომ 21 წელია. ახალგაზრდები არიან და მათზე ფსიქოლოგიურ ზეგავლენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

**— ქართულ ფეხბურთს კარგად იცნობთ? „ბათუმის" „ობილიჩთან" და თბილისის „დინამოსთან", „კოლხეთის" „ცრვენა ზვეზდასთან" თამაშებით სრული წარმოდგენის შექმნა გაგიჭირდებოდათ.**

— თქვენს ფეხბურთს, შეიძლება ითქვას, არ ვიცნობ. რისი საშუალებაც მქონდა, რაც შევიტყვე, გუნდიც ასევე მოვამზადე.

**— ალბათ „ბათუმს" თავიდანვე შეუტევთ.**

— ქართველების მწვრთნელი ტაქტიკაზე არაფერს ამბობს და მე ვთქვა? ახლავე გავხსნა კარტები? არა. ხვალ ნახავთ როგორ ვითამაშებთ.

**— საქართველოს სუპერთასის მატჩს რომ დაესწარით, შინ შუა თამაშიდან გაბრუნდით. ნუთუ თამაშის დამთავრებამდე მიხვდით, რა გუნდი იყო „ბათუმი"?**

— დამაფიქრა თქვენების თამაშმა. ვიცოდი, მეტოქე რაღაცას გვიმალავდა. მგონი, ასეც მოხდა, იქ გაჩერებას აზრი აღარ ჰქონდა, ტყუილად დროს დავკარგავდი. ერთი, რისი თქმაც შემიძლია, ისაა, რომ „ბათუმი" და „დინამო" საქართველოს საუკეთესო გუნდები არიან და მათი „კოლხეთთან" შედარებაც არ შეიძლება.

**— ფეხბურთელები „ბათუმის" დამარცხებისთვის განსაკუთრებულ პრემიებს მიიღებენ?**

— არა. ჩვეულებრივს, როგორც ყოველთვის. პრემია აუცილებლად იქნება. რამდენი? ამას კლუბის ხელმძღვანელობა გადაწყვეტს.

ბოლოს ისევ ის ღიპიანი კაცი ალაპარაკდა და გვითხრა, რომ „პარტიზანის" 40-ათასიან სტადიონზე 25 ათასი ბილეთი უკვე გაყიდულია, ნუ გგონიათ, თითქოს თამაშს ნახევარიც არ დაესწრებაო.

მერე სასტუმრო „მეტროპოლისკენ" გავაშურე. ეს ის სასტუმროა, სადაც „ბათუმი" სამი წლის წინ „ობილიჩთან" წარმატებული სტუმრობისას გაჩერდა.

საამისოდ ტაქსის აყვანა მომიხდა, მაგრამ ვაი ასეთ მძღოლთან ერთად მგზავრობას. ეტყობა, უცხოელობა შემატყო და 10 წუთის სავალი გზა ლამის ნახევარ საათში გაიარა. მთელი ქალაქი მომატარა, მგონი, ზაგრებშიც კი ჩამიყვანა და ისე მიადგა სასტუმროს. როცა მრიცხველს შევხედე, თმები ყალყზე დამიდგა... აი, იქითობისას კი ნორმალური მძღოლი შემხვდა, „პარტიზანამდე" წუთში მიმიყვანა და მადლობა აქეთ მითხრა, მეორემ კი ცხვირი ლამის იყო კოჭებამდე ჩაუშვა.

გუშინ ერთის მოწერაც დამავიწყდა. რომ გითხარით, ბელგრადში ეროვნული დღესასწაულია-მეთქი, მეორე დღეს თითქმის ყველაფერი დაწყნარდა, მაგრამ ახლაც იგრძნობა ამათი საკალათბურთო მეფობა. მნიშვნელობა არა აქვს, გაზეთი სპორტულია, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეცნიერო, იუმორისტული თუ პორნოგრაფიული, ყველას პირველი გვერდი იუგოსლავთა ათენში გამარჯვებას უშველებელი სათაურებითა და თასის მპყრობელ ჯორჯევიჩის, ბოდიროგასა თუ რებრაჩას ფოტოებითაა აჭრელებული.

ქართველები ერთს უნდა ვეცადოთ, რაკი კალათბურთში ამათ დიდხანს ვერ გავეჯიბრებით, ეგებ ფეხბურთის თამაშში მაინც დავწყვიტოთ გული.

**კობა ინასარიძე**

## როგორ მოვიხვეჭოთ პენალტები

UEFA CUP

**უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის მიმოხილვა**

უეფას თასის მეორე შესარჩევი ეტაპის პირველ შეხვედრებზე საუბარი ბელგრადიდან დავიწყოთ. ბელგრადიდან იმიტომ, რომ იქ „ბათუმს" გაყოლილი „სარბიელის" კორესპონდენტი კობა ინასარიძეა, რომელიც „ცრვენა ზვეზდასა" და ვოლგოგრადის „როტორის" შეხვედრას დაესწრო. კიდევ იმიტომ, რომ ამ „ცრვენა ზვეზდამ" წინა ეტაპზე ჩვენი „კოლხეთი" დაარბია, ორი თამაშის ჯამში 11:0 მოუგო და ჩვენც ბუნებრივია გვაინტერესებს, ბელგრადელები არიან ძალიან ძლიერნი, თუ ფოთელები ძალიან სუსტები.

ბელგრადელები მართლაც ძლიერნი არიან, მაგრამ სიტყვა ძლიერი ამ შემთხვევაში პირობითად ითქმის, გააჩნია ვისზე და რამდენად. მაგალითად, თუ „ცრვენა ზვეზდას" მოედანზე ჩარჭობილ თერთმეტ ძელს გავიტანთ, 1991 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელი უფრო დიდი ანგარიშით გაიმარჯვებს, ვიდრე ფოთთან, ხოლო თუ მისი მოწინააღმდეგე რუსული „როტორი", იქნება მაშინ ორს გაიტანს და ერთს გაუშვებს.

სანახევროდ შევსებული ტრიბუნების წინ იუგოსლაველთაგან ნაკრების ჭაბუკ თავდამსხმელს, პერიცა ოგნიენოვიჩს უთამაშია ძალიან კარგად. მას ვოლგოგრადელთა დაცვა ფრიად გაუწვალებია და „ცრვენა ზვეზდამ" რომ გაიმარჯვა, მისი მოპოვებული ორი პენალტის შედეგი გახლავთ.

პირველი თერთმეტმეტრიანი ოგნიენოვიჩმა მე-60 წუთზე მოინადირა, როდესაც კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს აუხტა, მაგრამ ორ რუს მცველს შორის ჰოთ-დოგის სოსისივით მოქცეულმა ბალახზე მოადინა ზღართანი. პენალტის ნიშნულთან შკორიჩი მოვიდა და ანგარიში გახსნა.

ერთ წუთში სტუმრებმა გაათანაბრეს. აბრამოვმა მოედნის ცენტრიდან მარცხენა ფეხით დაჰკრა, ბურთი ჯერ ხარისხს მოხვდა, იქიდან კი კარის ხაზს მიღმა შევარდა.

ოგნიენოვიჩის მეორე პენალტი „როტორის" მეკარე შიშკინმა, მსაჯის მიერ დამატებულ დროში „გამოიმუშავა". სხვათა შორის, შიშკინს მთელი შეხვედრა საუცხოოდ ჩაუტარებია და მისი ბრწყინვალე რეაქცია რომ არა, ანგარიში პირველსავე ტაიმში მასპინძელთა სასარგებლოდ რამდენჯერმე გაიზრდებოდა, მაგრამ როგორც ჩვენმა კორესპონდენტმა გვიამბო, ტრიბუნაზე მის გვერდით მჯდომ ბათუმელ გოლკიპერს ნიკა ტოგონიძეს უთქვამს, ნახეთ, თუ ვოლგოგრადის გუნდი სწორედ მეკარემ არ დალუპოსო და მართლაც, როდესაც თამაში იწურებოდა, შიშკინი სადღაც გადაგორებული ბურთისკენ უიმედოდ გაქცეულ ოგნიენოვიჩს გამოდგომია, კარიც მოუშიშვლებია და თავდამსხმელიც წაუქცევია. მეორე პენალტი თავად ოგნიენოვიჩმა დაარტყა.

„როტორსაც" ჰქონია რამდენიმე მომენტი.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ვოლგოგრადელთა მწვრთნელმა ვიქტორ პროკოპენკომ განაცხადა, ასეთი ანგარიში ძალიანაც მაწყობსო.

ჩეხურმა „სიგმამ" შოტლანდიელეთათვის უჩვეულო პაპანაქებაში (თერმომეტრი 30 გრადუსზე მეტს აჩვენებდა) 2:0 დაამარცხა „კილმარნოკი". ოფლად გახვითქულმა ბობი უილიამსონის ბიჭებმა ოლიმოუცის „ანდრეს სტადიონზე" თითო ტაიმში თითო გოლი გაუშვეს.

შოტლანდიის გუნდი უპირატესად თავდაცვაზე ფიქრით იყო გართული, მაგრამ 27-ე წუთზე მასპინძელთა ნახევარმცველმა ირჟი კრომერმა მეტოქის უკანახაზელებს ჩაურბინა და ანგარიში გახსნა. მეორე ტაიმის 34-ე წუთზე კი ჩეხებმა, კერძოდ, კოენიგმა მეორეც გაიტანა.

„სიგმას" შემადგენლობაში ნაკრების სამი ფეხბურთელი გამოდიოდა, რომელთა შორის იყო შემელოტებული თავდამსხმელი რადეკ დრულაკი. 36 წლის დრულაკმა მეორე ტაიმის დასაწყისში, ჯერ კიდევ 1:0 რომ იყო, კინაღამ გაიტანა თავისი გოლი.

ფინურმა „ვაასამ" ავსტრიის „გრაცერთან" შინ 0:0 ითამაშა. შეხვედრა სტუმართა უპირატესობით დაიწყო. მათ საწყის 5 წუთში სამი კარგი მომენტით სარგებლობა ვერ მოახერხეს — ორჯერ ბურთი ცოტათი აცდა მიზანს, ერთხელ კი გზად მცველი გადაეღობა.

ფინელებმა, მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლები იბყვნენ, თამაში კონტრშეტევებზე ააწყვეს, თუმცა მათი მთავარი ნაკლი უხარისხო პასები გამოდგა.

პირველი ტაიმის ყველაზე სახიფათო მომენტი ავსტრიელებმა 34-ე წუთზე შექმნეს, მაგრამ აკუვუნეგბუს დარტყმული ზუსტი გამოდგა, შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე კი „გრაცერის" მცველმა ჰარტმანმა კინაღამ საკუთარ კარში შეაგდო ბურთი. მის გასახარად ვუკოვიჩმა იჩქარა და გოლი ჩაშალა.

მატჩის შემდგომ „გრაცერის" გერმანელმა მწვრთნელმა, წარსულში მსოფლიოს ჩემპიონატების მონაწილემ და ცოტა ხნის წინ მიუნხენის „ბაიერნში" ჯოვანი ტრაპატონის ასისტენტმა კლაუს აუგენტალერმა განაცხადა:

— სულ სხვანაირი თამაში წარმომედგინა, სინამდვილეში კი სულ სხვა რამ მოხდა. ჩემს ფეხბურთელებს 25-30 წუთი დასჭირდათ დასაწყნარებლად და გონს მოსაგებად. მიზნად ხელის შეშლა გვქონდა დასახული და არა მეტოქისთვის ჩვენი თამაშის თავს მოხვევა. ფეხბურთელებისგან სხვას ვითხოვდი, მაგრამ არა უშავს, დარწმუნებული ვარ, ჩვენთან, გრაცში ყველაფერს გამოვასწორებთ. თუმც დღევანდელი მატჩით უკმაყოფილო ვარ, ეჭვი არაა, ორი შეხვედრის ჯამში ჩვენ გავიმარჯვებთ.

ჰანუ ტოურუ, „ვაასას" მწვრთნელი:

— ჩვენი მიზანი გოლის არგაშვება იყო, ასე რომ საწადელს მივაღწიეთ. მართლა კარგად ვითამაშეთ, მოწინააღმდეგეს სივრცეები შევუზღუდეთ და ხიფათის შექმნის საშუალება არ მივეცით. ახლა გრაცში სიცხეში მოგვიწევს ბურთაობა, ეს კი საქმეს გაგვიძნელებს, თუმცა ბოლომდე ვიბრძოლებთ და ვეცდებით არაფერი დავთმოთ.

პოლონურმა „ვსილამ" ფიფას სანქციების თავიდან არიდება (ქვეყნის სპორტის მინისტრი ფეხბურთის ფედერაციას ებრძოდა, ხოლო ფიფა ფედერაციას ემორჩილებოდა) თურქული „ტრაბზონსფორის" 5:1 განადგურებით იზეიმა. სამი გოლი ტომაშ კოვალიკმა შეაგდო. მანამდე და მერე დანიელ დუბიცკიმ და ბოგდან ზაიცამა იყოჩაღეს.

ფიფას რისხვას, მოგეხსენებათ, მთელი პოლონური ფეხბურთი გადაურჩა, მაგრამ „ვისლასავით" სამშაბათ საღამოს გალამაზება ვარშავის „პოლონიამ" ვერ მოახერხა. მან მოსკოვის „დინამოსთან" 0:1 წააგო.

უნგრულ „ფერენცვაროშს" თავი ქუდში ეგონა, რადგან ათენის აეკს 4:0-ს უგებდა. მატჩის დამთავრებამდე კი მსაჯის მიერ დამატებული დროღა იყო დარჩენილი, მაგრამ ბერძნებმა თავი გამოიდეს და ბოლო წამებში ორჯერ მოახერხეს ის, რაც 90 წუთის განმავლობაში ოცნებად რჩებოდათ. ახლა საპასუხო შეხვედრაში აეკს 2:0 აძლევს ხელს.

შოტლანდიურმა „გლაზგო რეინჯერსმა" უეფას თასზე დაბრუნება (ჩემპიონთა თასზე ცხრაწლიანი უნაყოფო წვალების შემდეგ) მეორე ბერძნული გუნდის, სალონიკის პაოკ-ის 2:0 დამარცხებით აღნიშნა.

თასის 1983 წლის მფლობელმა „ანდერლეხტმა" ხორვატულ „ოსაკთან" 1:3 წააგო.

**პაპუნა ძიდია**




რეინჯერსი — პაოკ. ვან ბრონკჰორსტი (№8) ტურცუნიდისის ჩამოტოვებას ლამობს

### უეფას თასი. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი
პირველი მატჩები. 11 აგვისტო

UEFA CUP

ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — როტორი (რუსეთი) 2:1
ფერენცვაროში (უნგრეთი) — აეკ (საბერძნეთი) 4:2
ეკერენი (ბელგია) — სერვეტი (შვეიცარია) 1:4
არჯესი (რუმინეთი) — ისტანბულსფორი (თურქეთი) 2:0
მიოლდე (ნორვეგია) — ცსკა (ბულგარეთი) 0:0
გიოტებორგი (შვედეთი) — ფენერბაჰჩე (თურქეთი) 2:1
მურა (სლოვენია) — სილკებორგი (დანია) 0:0
რეინჯერსი (შოტლანდია) — პაოკ (საბერძნეთი) 2:0
სლავია (ჩეხეთი) — ინტერი (სლოვაკეთი) 4:0
ბრანი (ნორვეგია) — ჟალგირისი (ლიტვა) 1:0
ვისლა (პოლონეთი) — ტრაბზონსფორი (თურქეთი) 5:1
ვეილე (დანია) — ოცელული (რუმინეთი) 3:0
ჰაპოელი (ისრაელი) — სტრომსგოდსეტი (ნორვეგია) 1:0
ოსიეკი (ხორვატია) — ანდერლახტი (ბელგია) 3:1
ომონია (კვიპროსი) — რაპიდი (ავსტრია) 3:1
ვაასა (ფინეთი) — გრაცი (ავსტრია) 0:0
პოლონია (პოლონეთი) — დინამო (რუსეთი) 0:1
ჰაიდუკი (ხორვატია) — მალმიო (შვედეთი) 1:1
სიგმა (ჩეხეთი) — კილმარნოკი (შოტლანდია) 2:0

### ინტერტოტოს თასის ფინალი
პირველი მატჩები. 11 აგვისტო

INTERTOTO CUP

ვერდერი (გერმანია) — ვოივოდინა (იუგოსლავია) 1:0
რუხი (პოლონეთი) — ბოლონია (იტალია) 1:0
ზალცბურგი (ავსტრია) — ვალენსია (ესპანეთი) 0:2

**თასების თასის საკვალიფიკაციო ეტაპი**

## ეს ის თასი აღარ არის

UEFA Cup Winners' Cup

დღეს თასების თასის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებით ევროთასების სამდღიანი მარათონი დასრულდება. თუ ამ საღამოს მოთამაშე გუნდებს გადავავლებთ თვალს, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ მოსაზრება, თითქოს ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის გათამაშება გაცილებით საინტერესოდ მიმდინარეობს და უფრო ძლიერ შემადგენლობასაც უყრის თავს, უსაფუძვლო სულაც არ არის.

ახლაც, რამდენიც უნდა ვეძებოთ თასთა თასის გათამაშებაში საინტერესო წყვილი, არაფერი გამოგვივა. თავად განსაჯეთ, საყოველთაო აზრით, ყველაზე უფრო თვალსაჩინო იუგოსლავიური „პარტიზანისა" და ბათუმის „დინამოს" პაექრობა უნდა გამოდგეს. აკი ევროსპორტის არხის ხელმძღვანელობამაც, დიდი ფიქრის შემდეგ, სხვა ნორმალური წყვილი რომ ვერ ნახა, თავისი არჩევანი სწორედ ამ გუნდებზე შეაჩერა და დღეს საღამოს 10:30 წუთიდან პირდაპირ რეპორტაჟსაც აწარმოებს.

ეს ყველაფერი შეიძლება ჩვენთვის, ქართველებისთვის იყოს კარგი, მაგრამ საერთოდ? ფაქტია, რომ ამ თასის გათამაშება სეზონიდან სეზონამდე ეშხს კარგავს და სულ უფრო ნაკლებად იზიდავს მაყურებლებს. კი, შიგადაშიგ გამოიძებნებიან ისეთი გუნდებიც, როგორიც ბელგიის „გენკი", უნგრული მტკ და შოტლანდიური „ჰარტსი" არიან, მაგრამ, ალბათ, დაგვეთანხმებით, ეს გუნდები არც თავიანთ ეროვნულ ჩემპიონატებში თამაშობენ წამყვან როლს და მით უმეტეს, ვერც ევროპის ელიტაში ყოფნით მოიწონებენ თავს.

მოკლედ, დღეს მთელი ყურადღება „პარტიზანი"—„დინამოს" მატჩისკენ იქნება მიმართული და იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენებურები მათი თბილისელი თანაკლუბელებისგან წარმატებულ ესტაფეტას აიტაცებენ და ღირსეულად ითამაშებენ.

**ქეით ნორმანი როიტერი**

# უიღბლო, ბედნიერი, ვალმოხდილი

დიმიტრი კუდინოვი წლების მანძილზე ერთ-ერთი გამორჩეული იყო ქართულ ფეხბურთში. პიროვნება, რომელმაც ზედმიწევნით კარგად იცოდა თავისი საქმე. მის ხანგრძლივ, თითქმის 23-წლიან საფეხბურთო კარიერაში არაერთი გამარჯვება იყო, რომელთაც მონდომებითა და დაუღალავი შრომით მიაღწია. ახლა ყოველივე ეს მოგონებადღა ქცეულა — დიმამ ხომ აქტიურ სპორტს თავი დაანება. მანამდე კი...

— თორმეტი წლიდან ფეხბურთში ვარ. 35-ე საფეხბურთო სკოლიდან პირდაპირ თბილისის „დინამოში" მოვხვდი. 19 წლის ბიჭისთვის ეს ძალიან დიდი პატივი იყო. ორი წელი თბილისში ვთამაშობდი, 1983-ში კი მოსკოვის „დინამოში" წავედი სტაჟირებაზე. ალბათ, იქვე მომიწევდა დარჩენა, რომ არა ერთი გარემოება. მოსკოვში წასვლამდე რამდენიმე კვირით ადრე დავქორწინდი. მეუღლე თბილისში დარჩა, მე კი მარტო უცხო გარემოს ვერ შევეგუე და მალე ისევ თბილისში დავბრუნდი. მერე დამეწყო გაუთავებელი ტრავმები, რომელთა წყალობითაც 1983-84 წლების სეზონი გამიცდა. შემდეგ ერთი წელი ქუთაისის „ტორპედოში" ვთამაშობდი და 1986-ში ისევ თბილისის „დინამოში" გადმოვედი. ის სეზონი მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა გუნდისთვის — უეფას თასზე გავედით. ერთი წლის შემდეგ ისევ საზარდულმა შემახსენა თავი, ამას ჰეპატიტიც დაერთო და კინაღამ ყველაფერი დამთავრდა. ჩემს კარიერას საფრთხე დაემუქრა. სრულიად მარტო დავრჩი. როცა ვთამაშობდი, ყველა გვერდში მედგა და უცებ საშინელი სიმარტოვე ვიგრძენი. ვცდილობდი, არ დავნებებულიყავი. ორი წელი დუშეთში მოზარდებს ვწვრთნიდი, თანაც იქაურ „არაგვში" ვთამაშობდი და ნელ-ნელა ფორმას ვიბრუნებდი. 1989 წელს ბათუმში წავედი სათამაშოდ, მაგრამ მალე საბჭოთა კავშირის პირველობა დაიშალა და პირველ ეროვნულ ჩემპიონატს რუსთავში შევხვდი.

**— საბჭოთა კავშირის პირველობას** **ბდით, რომლისთვისაც მყარი საფუძველი უნდა ჩაგვეყარა.**

ბდით, რომლისთვისაც მყარი საფუძველი უნდა ჩაგვეყარა. რამდენად შევძელით ეს, სხვა საქმეა. მიაქციეთ ყურადღება, ამის შემდეგ ჩივაძის ნაკრები უფრო ამბიციური იყო, ყიფიანისა — გამოცდილი, დღეს კი ვლადიმერ გუცაევს, ჩემი აზრით, უფრო მიზანმიმართული და ჩამოყალიბებული გუნდი ჰყავს. ეს ყველაფერი ეტაპებია, რომელთა გავლაც აუცილებელი იყო. მაგრამ, ვფიქრობ, წინ ჯერ კიდევ დიდი გზაა.

**— გეთანხმები, რომ ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ციკლში მართლაც ამბიციურნი ვიყავით.**

— ამ ციკლმა ყველაზე მეტად გაგვიცრუა იმედები. მოლდოვასთან პირველი საშინაო მარცხი ძალიან დიდი ფსიქოლოგიური დარტყმა აღმოჩნდა, რომლის გადალახვაც შემდეგ ვერ შევძელით. ვფიქრობ, კიდევ ერთხელ დამტკიცდა ის, რომ წარმატებები უცებ არ მოდის. ისე, მოლდოვასთან რომ მოგვეგო...

**— ნაკრებში ყოველთვის გამოირჩეოდი „პადკატების" შესრულების მაღალი დონით...**

— ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ბავშვობაში ხუთი წელი ტანვარჯიშზე დავდიოდი. მართალი არ ვიქნები, რომ გითხრათ, ამაზე საგანგებოდ ვმუშაობდი-მეთქი. უბრალოდ, თამაშის დროს ამის გაკეთება ყოველთვის მსიამოვნებდა და საჭიროც იყო. ისე, „პადკატის" შესრულება მარჯვენა მხრიდან უფრო მიადვილდებოდა.

**— დიმა, ისევ ნაკრებს დავუბრუნდეთ. ეროვნულ გუნდში ჩატარე-**

ველ შემთხვევაში, სადილობამდე მაინც. ამიტომ მთელი გუნდი ზღვაზე წავედით. ზოგი მზეს ეფიცხებოდა, ზოგიც ზღვაში ბანაობდა, მე კი როგორღაც ჩამეძინა. გაღვიძებულმა ჩემს ირგვლივ ვერვინ შევნიშნე. სასწრაფოდ სასტუმროში დავბრუნდი. ადმინისტრატორმა „მახარა", შენები სავარჯიშოდ წავიდნენო. რაღა უნდა მექნა, მალე გუნდიც დაბრუნდა, ბიჭები მისავათებულნი იყვნენ. თვალს ვერავის ვუსწორებდი, უცებ ცხონებული ახალკაცი მომიბრუნდა და მითხრა: „ნუ ჩტო, პიჟონ, ოტდიხატს პრიეხალ?"... კინაღამ ენა ჩამივარდა. მან კი იქვე მყოფ გუნდის ადმინისტრატორს ჩემთვის თბილისში დასაბრუნებელი ბილეთის შეძენა დაავალა. მაგრამ შემდეგ დიდსულოვნება გამოიჩინა და ისევ გუნდთან ერთად დავრჩი. ამას ახლა ვიხსენებ მხიარულად, თორემ მაშინ საშინელი წუთები გადავიტანე.

**— დიმა, რამდენადაც ვიცი, ფეხბურთიდან წასვლა ძირითადად ტრავმების გამო გადაწყვიტე.**

— იცით, ფეხბურთში მთავარი იღბალია. გაგიმართლებს — ხომ კარგი, თუ არა და, ყველაფერი მთავრდება. ბედმა ნამდვილად გამიღიმა, რადგან ხანგრძლივი ტრავმების გადამკიდემ ფეხბურთში 35 წლამდე გავძელი. ეს კი პატარა ასაკი ნამდვილად არ არის. მეორე მხრივ, რომ არა ეს ტრავმები, ვფიქრობ, უკანსვლა არ მექნებოდა და იქნებ უფრო მეტისთვისაც მიმეღწია. ბოლოს, მახსოვს, „ჟემჩუჟინას" შემადგენლობაში, სანკტ პეტერბურგში



ბაფარ ქათამაძის ფოტო

1995 წელი. საქართველო — გერმანია. ზაზა რევიშვილი და დიმიტრი კუდინოვი იურგენ კლინსმანთან ბრძოლაში

**და ჩვენს პირველ ეროვნულ ჩემპიონატს შორის დიდი სხვაობა თუ იყო?**

— პირველი ეროვნული ჩემპიონატი საოცრად თბილად მაგონდება. ვფიქრობ, იგი არაფრით ჩამოუვარდებოდა საბჭოთა კავშირის პირველობას. გახსოვთ, როგორი აჟიოტაჟი იყო? იმ დროისთვის ყველა ძლიერი ქართველი ფეხბურთელი ხომ ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობდა. თითქმის ყველა მატჩი უშელავათო და დაძაბული იყო, ამას დაუმატეთ გულშემატკივრებით გადაჭედილი ტრიბუნები, მათთვის თითოეული შეხვედრა ზეიმის ტოლფასი იყო. რაც უნდა სამწუხარო იყოს, შემდეგ მსგავსი აღარ განმეორებულა და, ალბათ, კარგა ხანს არ განმეორდება, თუ რაიმე არ შეიცვალა.

**— დიმა, საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების წევრიც იყავი.**

— ოლიმპიურ ნაკრებში 1986-ში მოვხვდი და იმავე წელს თითქმის ყველა ამხანაგურ მატჩში ვითამაშე. სეულის ოლიმპიადის შესარჩევ ციკლში, შვედეთში, ისევ დავშავდი და ნაკრებს მიღმა აღმოვჩნდი, არადა, ოლიმპიელთა მაშინდელი მწვრთნელი ანატოლი ბიშოვეცი კარგი თვალით მიყურებდა და მენდობოდა. ეჰ, ეს ტრავმა რომ არა, გელასთან ერთად მეც ოლიმპიური ჩემპიონი გავხდებოდი.

**— ეროვნულ ნაკრებს შენს საფეხბურთო კარიერაში გამორჩეული ადგილი უჭირავს. თუ შეადარებდი მაშინდელ და დღევანდელ ნაკრებებს, მით უმეტეს, წლების განმავლობაში ორივე მათგანის ღირსება დაგიცავს.**

— იცით, მაშინდელ ნაკრებს უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ იმ თვალსაზრისით, რომ მან პირველი ნაბიჯების მთელი სიმძიმე იტვირთა. გაიხსენეთ, რა ხდებოდა ლიტვის ნაკრებთან პირველ საერთაშორისო ამხანაგურ მატჩში. ჩვენთვის ყველაფერი ახალი და უჩვეულო იყო. გვესმოდა, რომ ახალ ეტაპს ვიწყე-

**ბულ მატჩებიდან რომელს გამოარჩევდი თავისი მნიშვნელობით, თუნდაც უკეთესი ხარისხით?**

— შემეძლო მოგებულ თამაშზე მესაუბრა, მაგრამ მაინც გერმანიის ნაკრებთან გამართულ მეორე შეხვედრას გამოვყოფდი. იმ მატჩისთვის საოცრად მონდომებულნი ვიყავით, თითოეულ ჩვენგანს მაქსიმუმის გაღება სურდა. ქეცბაიას გოლმა რწმენა გაგვიორმაგა, მაგრამ სასწაული არ მოხდა, დავმარცხდით. მაინც მგონია, პირველ ტაიმში ანგარიშში მინიმალური უპირატესობა რომ შეგვენარჩუნებინა, არ წავაგებდით.

**— დღევანდელი ნაკრების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რა შედეგის მიღწევა ძალგვიძს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში?**

— წლეულს ჯგუფიდან გასვლის დიდი შანსი გვაქვს, მგონი, ეს არ უნდა გაგვიჭირდეს. ნორვეგია ნამდვილად არ არის ის გუნდი, უპრობლემოდ რომ გვაჯობოს. ვფიქრობ, ამ ნაკრებს, მიუხედავად ბევრი დადებითი თვისებისა, რაღაც მაინც აკლია. ბერძნებზეც იგივეს ვიტყოდი, რატომღაც მჯერა, თბილისში მათ აუცილებლად დავამარცხებთ. რაც შეეხება ალბანეთს, სლოვენიასა და ლატვიას, მათთან უბრალოდ ვალდებულნი ვართ, წარმატებით ვითამაშოთ.

**— თითქმის სამ თაობასთან მოგიწია თამაში, ვის გამოარჩევდი.**

— ბევრი კარგი ფეხბურთელის გვერდით მითამაშია, მაგრამ მათგან მაინც გოჩა ჯოხაძეს, საშა ჩივაძეს, შოთა ხინჩაგაშვილსა და იური სავიჩევს გამოვყოფდი.

**— კურიოზული მომენტები ბევრი გექნებოდა ცხოვრებაში.**

— თუ არ ვცდები, 1982 წელი იყო, ქობულეთში გავდიოდით შეკრებას. იმ დღის ჩსულები ვიყავით და გვეგონა, „დინამოს" მაშინდელი თავკაცი ნოდარ ახალკაცი ვარჯიშს არ ჩაატარებდა, ყო-

ვატარებდით შეხვედრას. პირველ ტაიმში მუხლი ჩამეკეტა და მინდვრიდან საკაცით გამიყვანეს. მიუხედავად ხშირი ტრავმებისა, მანამდე მუხლი არასდროს მტკენოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჩემი ასაკი ფიზიკურ დატვირთვებს ვეღარ უძლებდა. პირველად მაშინ მივხვდი, რომ გადაწყვეტილების მიღების დრო მოახლოვდა.

**— ამის შემდეგ ხომ რუსთავშიც თამაშობდი.**

— ვცდილობდი, ფეხბურთში დარჩენის ყოველგვარი შესაძლებლობა გამომეყენებინა. ტრავმა ნელ-ნელა მომიშუშდა, ცოტათი ვარჯიშსაც ვახერხებდი. თანაც დიდი სურვილი მქონდა, კარიერა ჩემს პირველ კლუბში — თბილისის „დინამოში" დამესრულებინა. ყიფიანთანაც მიველი, ვთხოვე, თქვენი არაფერი მინდა, უბრალოდ, საშუალება მომეცით, „დინამოში" ვითამაშო-მეთქი, მაგრამ მიზეზთა გამო... გახსენებაც არ ღირს. მერე გაიოზ დარსაძის თხოვნა ვიღე ყურად და „მეტალურგში" წავედი.

**— ფეხბურთიდან უკმაყოფილო ხომ არ მიდიხარ?**

— ამაზე ბევრჯერ მიფიქრია, ჩემს მიერ განვლილი გზა ამიწონ-დამიწონია და ვფიქრობ, ფეხბურთმა ყველაფერი მომცა, მე ბედნიერი კაცი ვარ. მაგრამ ახლა დიდი არჩევანის წინაშე ვდგავარ. აქამდე სხვაგვარი ცხოვრება მქონდა, ბევრ რამეს ჩემს ნაცვლად სხვები წყვეტდნენ. სწორად გამიგეთ, ახლა ყველაზე მეტად მჭირდება დახმარება. ბიზნესმენი ვერასოდეს გავხდები, მთელი ცხოვრება ფეხბურთს შევალიე და უამისოდ ერთ წუთსაც ვერ გავძლებ. ამჟამად სერიოზულად ვფიქრობ სამწვრთნელო კარიერაზე. მინდა ფედერაციასთანაც ვითანამშრომლო, რათა ელემენტარული ხელშეწყობა მქონდეს. ასე რომ, ცხოვრება გრძელდება და ჩემს სათქმელს კიდევ ვიტყვი.

ბაატა ძმანტალიანი

„დინამო" — „მრეტების" საქმე. „მრეტებ" — „დინამოს" დავა. ლამისაა, დღე არ დაღამდება ქართულ სპორტზე და მეტადრე ფეხბურთზე მკითხველმა ერთ გაზეთში მაინც ამ თემისადმი მიძღვნილ წერილს, ცნობას, ინტერვიუს არ მოჰკრას თვალი.

აირია მონასტერი და ძნელი გასარკვევია მტყუან-მართალი. ყველას თავისი სიმართლე აქვს. „მრეტებს" და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას საერთო და საკუთარი, „დინამოს" და ქართულ სასამართლოს — თავისი. ფიფა კი პასუხს ელის. განაცხადა, პრობლემა თავადვე გადაწყვიტეთ და საბოლოო პასუხი მომახსენეთო. ფედერაციამ ერთი გადაწყვიტა, სასამართლომ მეორე. პრობლემა გადაუჭრელია. პრეტენზია ორივე მხარეს დარჩა. „მრეტები" ფეხბურთის მამების იმედადაა, „დინამო" სასამართლოსი. ამ დღეებში რედაქციაში ორივე მხარის წარმომადგენელი გვეწვია, „მრეტების" ვიცე-პრეზიდენტმა ირაკლი ქავთარაძემ ვაჟა ჩხაიძის წერილის დაბეჭდვა გვთხოვა, „დინამოს" ადვოკატმა იმედა ხუციშვილმა კი სასამართლოს გადაწყვეტილებისა, რომლის შესრულება კონსტიტუციით საქართველოს ყველა მოქალაქისთვის სავალდებულოაო.

## ვაკის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება

ფეხბურთის კლუბ „მრეტებთან" და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან — კონტრაქტის ბათილად ცნობისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დადგენილების გაუქმებისა და ფულადი კომპენსაციის გადახდის შესახებ — სასამართლომ გამოარკვია:

შპს ფკ „დინამომ" აღძრა სარჩელი გერმანული ფირმა რუდოლფ მენდე Gmbh-ს ფილიალი საქართველოში ფკ „მრეტების" და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართ 1992 წლის 11 ივლისის მრავალმხრივი კონტრაქტის №კ-ოფ3 ბათილად ცნობისა და ამ კონტრაქტზე დაყრდნობით გამოტანილი სფფ-ს 1997 წლის 2 იანვრის №1 დადგენილების გაუქმების შესახებ, სფფ-ს მიერ შპს ფკ თბილისის „დინამოსათვის" მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის გამო ფულადი კომპენსაციის გადახდის გამო. იმ მოტივით, რომ კონტრაქტის მე-2 პუნქტი შესრულებულ არ იქნა დადგენილ დროს და სფფ-ს №1 დადგენილება გამოტანილ იქნა უქმე დღეს.

მოპასუხეები — ფკ „მრეტების" პრეზიდენტი ი. ქავთარაძე სხდომას ესწრებოდა, მაგრამ მონაწილეობა არ მიიღო სხდომაზე ვინაიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები არ გამოცხადდნენ სხდომაზე და განმარტა, რომ მას უფლება არა აქვს სარჩელთან დაკავშირებით აზრი გამოხატოს მათ დაუსწრებლად.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა, მათთვის ცნობილი იყო სხდომის დღე. მათი გამოუცხადებლობით საქმის განხილვა გაჭიანურდა, გამოუცხადებლობა სასამართლომ არასაპატიოდ ჩათვალა და გადაწყვიტა სარჩელის განხილვა მათ დაუსწრებლად.

სასამართლოს სარჩელის მოთხოვნა კანონიერად მიაჩნია და ის უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალებითა და მხარის განმარტებით გამოირკვა, რომ ფეხბურთელ გ. ქინქლაძესა და შპს ფეხბურთის კლუბ „დინამოს" შორის იყო 1992 წლის 1 ივლისს ორი წლის ვადით გაფორმებული კონტრაქტი, რომლის მოქმედების პერიოდში ე.ი. ათი დღის შემდეგ 1992 წლის 11 ივლისს ახალი კონტრაქტის გაფორმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა.

სასამართლოს მიერ გამოთხოვილ საგადასახადო ინსპექციაში კოოპერატივ ფკ „მრეტების" დოკუმენტაციაში, დეკლარაციებსა და სხვათა მასალების მიხედვით დასტურდება და გამორიცხულია კიდეც 1992 წლის 19 აგვისტომდე „მრეტების" ანგარიშსწორების ანგარიშზე ერთი მილიონი მანეთის მოხვედრის შესაძლებლობა. 1992 წლის 11 ივლისის №კ-ოფ3 კონტრაქტის §1 პარაგრაფის მოთხოვნით „დინამოს" მიერ გადარიცხვის წესით ერთი მილიონი მანეთის გადახდის და შესაბამისად „მრეტების" ანგარიშსწორების ანგარიშზე ერთი მილიონი მანეთის მოხვედრის დამადასტურებელი საბუთი საქმეში არ არსებობს და მოპასუხეებმაც არ წარმოადგინეს.

აღნიშნული საბუთის წარმოდგენის შესახებ ადვოკატ ი. ხუციშვილის მიერ დაყენებულ შუამდგომლობაზე „მრეტების" პრეზიდენტის ი. ქავთარაძის მიერ 1998 წლის 19 მაისს მიღებული და ხელმოწერილია. §1-ის შეუსრულებლობის გამო ამავე პარაგრაფის 1.2-ე პუნქტის შესაბამისად 1992 წლის 11 ივლისის №კ-ოფ3 კონტრაქტი ითვლება გაუქმებულად. გაუქმებას ექვემდებარება ყველა ის გადაწყვეტილება და დადგენილება — მათ შორის 1997 წლის 2 იანვრის №1 დადგენილება — რომელიც მასზე დაყრდნობითაა მიღებული.

სადაო 1992 წლის 11 ივლისის №კ-ოფ3 კონტრაქტის მე-5 პარაგრაფის მიხედვით კონტრაქტით გათვალისწინებული სადაო საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნულ კონტრაქტთან დაკავშირებული დავა სამოქალაქო სახელშეკრულებო დავაა და იგი სახელშეკრულებო სამართლით რეგულირდება, რის განხილვაც სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს, სასამართლოს ქვემდებარეა და განსჯადია. აღნიშნულის შესახებ საკითხი შესწავლილია და სათანადო დასკვნით წარმოდგენილია ქ. პროკურატურის 1997 წლის 7 აგვისტოს №8-გ და ფრიდრიხ ბოიმელის სახელზე ქალაქის პროკურატურის 1997 წლის 23 აგვისტოს №8-37-97 პასუხით.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია არ იყო უფლებამოსილი ფკ „მრეტების" საჩივარი მიეღო მით უფრო სადაო კონტრაქტში იგი მხარედაა წარმოდგენილი, სადაც მოჩივან „მრეტებისგან" კონტრაქტით გათვალისწინებული ასი ათასი მანეთი აქვს მიღებული. ამ მხრივაც 1997 წლის 2 იანვრის №1 დადგენილება უნდა გაუქმდეს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ არ გაითვალისწინა და არ გაერკვა, რომ ერთი პირის საწარმო „მრეტების" რეგისტრაციის პერიოდში და მას შემდგომ, დამოუკიდებლად იყო და ფუნქციონირებდა კოოპერატივი „მრეტები". საქმეში არსებული მასალებით დადასტურებულია, რომ 1993 წლის 30 მარტამდე კოოპერატივ „მრეტების" იურიდიულ სამართლებრივი ფორმა უცვლელია და არც მის წესდებაშია რაიმე ცვლილება შეტანილი, რომ ერთი პირის საწარმოს „მრეტები"-ს უფლებამონაცვლეობის შესახებ საბუთები არ არის და არც იძებნება. უფლებამონაცვლეობის შესახებ არ დასტურდება და არაფერია აღნიშნული თვით ერთი პირის საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციის მუდმივ მოწმობაშიც. უფრო მეტიც — აღნიშნული მოწმობით არ დასტურდება დამფუძნებლის ვინაობა, რომ ეს ერთი პირის საწარმო ვაჟა ჩხაიძეს ეკუთვნის, გარდა ამისა, სადაო №კ-ოფ3 კონტრაქტის როგორც არამატერიალური აქტივის არანაირი საბუთი არ არსებობს და შესაბამისად არც მისი ვინმეზე გადაცემის შესაძლებლობა დასტურდება. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია, რომ შპს ფკ „მრეტები" არ წარმოადგენს კოოპერატივ „მრეტების" უფლებამონაცვლეს, მით უფრო გამორიცხულია და არ დასტურდება კოოპერატივ „მრეტების" იურიდიული უფლებამონაცვლეობის გზით შპს-სთვის რაიმე მატერიალური და არამატერიალური ქონების, მათ შორის სადაო 1992 წლის 11 ივლისის №კ-ოფ3 კონტრაქტის გადაცემის შესახებ.

სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ გერმანული ფირმა რუდოლფ მენდე Gmbh-სათვის შპს-ს დამფუძნებლის ვაჟა ჩხაიძის მიერ 1995 წლის 6 ივლისიდან თავისი წილის და უფლებამოვალეობის სრულად 100%-ით უპასუხო გადაცემა არ გულისხმობს ვაკის რაიონის გამგეობის 1992 წლის 13 მაისის №211/4-03 განკარგულებით რეგისტრირებულ შპს „მრეტების" ქონების გადაცემას, რადგან შპს „მრეტები"-ს „სახელმწიფო რეგისტრაციის მუდმივ მოწმობაში" დამფუძნებელ მესაკუთრეს ვაჟა ჩხაიძე არ წარმოადგენს. ვ. ჩხაიძე აგრეთვე არსად არ ფიგურირებს სახელმწიფო რეგისტრაციის განუყოფელ ნაწილში — ვაკის გამგეობის №211/4-03 განკარგულებაშიც.

რიგი გარემოების გამო გერმანული ფირმის რუდოლფ მენდე Gmbh-ს ფილიალი საქართველოში ფკ „მრეტები" წარმოადგენს არასათანადო მოსარჩელეს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში 1992 წლის 11 ივლისის №კ-ოფ3 მრავალმხრივი კონტრაქტზე უფლებების გამო შეტანილ საჩივარის მიმართ.

სფფ-მ საკონფლიქტო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე 1997 წლის 2 იანვარს — საქართველოში სადღესასწაულო უქმე დღეს ცალმხრივად განიხილა არასათანადო მომჩივანის — უცხო ქვეყნის იურიდიული პირის ფირმა რუდოლფ მენდე Gmbh-ს ფილიალის ფკ „მრეტების" საჩივარი და მიიღო დადგენილება.

საყურადღებოა, რომ დადგენილებას ხელს აწერს სფფ-ს გენერალური მდივანი, რომელიც სხდომას არ ესწრებოდა და არც მის მუშაობაში იღებდა მონაწილეობას.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან სასამართლოს მიაჩნია, რომ დარღვეულია საქართველოს სსკ 152 მუხლით გათვალისწინებული მოსარჩელის უფლებები. რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნები 1992 წლის 11 ივლისის კონტრაქტის №კ-ოფ3 ბათილად ცნობისა და ამავე კონტრაქტზე დაყრდნობით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 1997 წლის 2 იანვრის №1 დადგენილება — გაუქმების შესახებ სრულად საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

რაც შეეხება სფფ-ს მიერ შპს ფკ „თბილისის დინამოსათვის" მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის გამო ფულად კომპენსაციის გადახდას უარი ეთქვას უსაფუძვლობის გამო.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ 197-198 მუხლებით

გადაწყვიტა

სარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს. ფეხბურთის კლუბ „მრეტებს", ფკ „დინამოს" ფეხბურთელ ქინქლაძესა და სფფ. შორის 1992 წლის 11 ივლისის დადებული კონტრაქტი №კ-ოფ3 ბათილად იქნეს ცნობილი. შესაბამისად გაუქმებულ იქნეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საკონფლიქტო საკითხთა კომიტეტის 1997 წლის 2 იანვრის №1 დადგენილება. სფფ-ს მიერ შპს ფკ თბილისის „დინამოსთვის" მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის გამო ფულადი კომპენსაციის გადახდის ნაწილში უარი ეთქვას უსაფუძვლობის გამო.

გადაწყვეტილება კასაციურია 14 დღის ვადაში. თბილისის საქალაქო სასამართლოში, ასავე რაიონის სასამართლოს მეშვეობით.

1997 წლის 13 ივლისი
მოსამართლე: ვ. გაგუა
მსაჯულები: მურვანიძე, ბახტაძე

# ღია წერილი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ნოდარ ანდრიაძეს

დიდად პატივცემულო
ბატონო ვიცე-პრეზიდენტო,

ფკ მრეტების პარტნიორთა საბჭოს 25.07.1998 წერილის ფონზე, პირადად თქვენ სფფ-ში ორგზის შეხვდით ფკ მრეტებს. ამ შეხვედრებიდან გამომდინარე, ჩვენ თქვენს ყურადღებას მივაქცევთ შემდეგს:

ფკ მრეტების პარტნიორთა საბჭო წარმოადგენს კლუბის მმართველობის უმაღლეს კანონიერ ორგანოს. ამასთანავე, ყველა დაინტერესებული პირისათვის თავიდანვე ცნობილია, რომ ფკ მრეტების პრეზიდენტების ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება კანონიერად არის შეზღუდული პარტნიორთა საბჭოს მიერ და, ამდენად, ფკ მრეტების ხელმძღვანელობა არ არის უფლებამოსილი შეცვალოს პარტნიორთა საბჭოს კანონიერი გადაწყვეტილება. მით უმეტეს, რომ ფკ მრეტების პარტნიორთა საბჭოში პარტნიორებთან ერთად სათათბირო ხმის უფლებით შედიან კლუბის ხელმძღვანელები: კლუბის პრეზიდენტი ბატონი ირაკლი ქავთარაძე, კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ბატონი ნუგზარ კინკრიაშვილი და პირადად მე (როგორც ერთ-ერთი პარტნიორი, პირადად მე, აგრეთვე, ხმის უფლებით შევდივარ პარტნიორთა საბჭოში).

ბატონო ვიცე-პრეზიდენტო, ჩვენ ჯერ კიდევ თბილისის ფეხბურთის ფედერაციის დაარსების დღიდან პირადად ვიცნობთ ერთმანეთს და თქვენთვის ცნობილი ფაქტია:

ფკ მრეტები და მისი პარტნიორთა საბჭო ქართულ ფეხბურთში პროფესიული წეს-კანონების დამკვიდრებას ცდილობდა ყოველთვის და ამისთვის ვარდებს არასოდეს გვესროდნენ. სწორედ ამიტომ ვართ ამ დღეში.

ფკ მრეტების ხელმძღვანელობა და პარტნიორთა საბჭო კვლავ ადასტურებს: ფკ მრეტები არაფერს ცვლის თავის 25.07.1998 წერილში დაყენებულ კანონიერ მოთხოვნებში.

ჩვენი აზრით, ფკ მრეტების მოთხოვნები კი არ საჭიროებს შეცვლას, არამედ სფფ. თქვენ თავად განსაჯეთ:

1. სფფ (ეროვნული ფედერაცია) საერთაშორისო პროფესიულ (ფიფა, უეფა) წეს-კანონებში უნდა იჯდეს და უნდა იცავდეს მას თუ არა?

საპირისპიროს მაგალითად ამ დღეებში პოლონეთის სპორტის მინისტრის მოქმედებაც კმარა — სპორტის მინისტრი სპორტის საერთაშორისო კანონებს არ იცნობს და ქვეყნის ფეხბურთს განსაცდელში აგდებს.

2. სფფ-მ, პარლამენტის სპორტის ქვეკომისიის საშუალებით, საერთაშორისო პროფესიულ წეს-კანონებთან შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს ქვეყნის კანონმდებლობა თუ არა?

სფფ-ს მეორე რიგგარეშე 1991 წლის ყრილობაზე (თუ იმას ყრილობა შეიძლება ეწოდოს!) პირადად მე, როგორც მაშინდელი სპორტის ქვეკომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ტრიბუნიდან გავაფრთხილე დელეგატები იმ საშიშროების შესახებ, რომ თუ ყველაფერი ყრილობით არ დაკანონდებოდა, მომავალში სპორტის დეპარტამენტი ჩაატარებდა ჩემპიონატს (არსებობს ამ ყრილობის ვიდეოჩანაწერი). ახალი თაობისთვის დავძენ, სრულიად აპოლიტიკური პიროვნება გახლდით მთელი ცხოვრება და ასეა დღესაც. მაგრამ რადგან 1991 წელს სფფ ფიფა უეფა-ს წევრი არ იყო, ხოლო სპორტის ქვეკომისიაში პროფესიონალი არავინ ჰყავდათ, სფფ-ს მხრიდან პროფესიული წეს-კანონების დარღვევის ალკვეთის მიზნით, დროებით დავთანხმდი შემოთავაზებას. აღნიშნული ყრილობის შემდეგ დავტოვე ქვეკომისია.

3. სფფ საერთაშორისო პროფესიული წეს-კანონების შესაბამის ეროვნულ პროფესიულ წეს-კანონებში უნდა იჯდეს და უნდა იცავდეს მას თუ არა?

საერთოდ რა პროფესიულ წეს-კანონებზე შეიძლება ლაპარაკი ქართულ ფეხბურთში:

როდესაც საქართველოს არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე, იმდენჯერ არავის დაუყოფ-გაუერთიანებია და კვლავ დაუყოფია საქართველო, რამდენჯერაც სფფ-ს! ამის გამო არც ერთ ქართულ კლუბს, სათანადო სურვილის არსებობის შემთხვევაშიც კი, არ ძალუძს რეალური გრძელვადიანი პროგრამის შემუშავება. კლუბები მიწაზე კი არ აფუძნებენ თავის-თავს, არამედ ტივზე, რომელსაც ვინ მართავს სინამდვილეში, დაუდგენელია!

როდესაც სფფ-ს წევრ კლუბებს სფფ-ს წესდებას და კომიტეტების რეგლამენტებს არ აძლევენ-

როდესაც სფფ-ს არ აქვს კონტრაქტისმქონე მოყვარული ფეხბურთელის ინსტიტუტი, მაშინ როდესაც ქართულ ფეხბურთში არ არსებობს ლიცენზირებული ლიგების კლუბების ინსტიტუტი, რის გამოც ქართულ კლუბებს და ფეხბურთელებს ამ მხრივ ელემენტური დაცვა არ აქვთ ქვეყნის გარეთ! და ამაზე სფფ-ს წარმოდგენაც არ აქვს! გასაგებია, რომ დღევანდელ ქართულ სინამდვილეში ლიცენზირების ინსტიტუტზე ლაპარაკი ყოვლად რეალობას მოწყვეტილია (იგი მხოლოდ ერთი კლუბის ჩემპიონატის ინსტიტუტის ავანტიურულ საძირკვლად თუ გამოდგება), მაგრამ ასეთ შემთხვევაში აუცილებელი იყო კონტრაქტისმქონე მოყვარულის ინსტიტუტის შექმნა. მით უმეტეს, სფფ-ს არამოყვარული ფეხბურთელის ინსტიტუტი, ლიცენზირების ინსტიტუტის გარეშე, სინამდვილეში კონტრაქტისმქონე მოყვარულის ინსტიტუტს წარმოადგენს.

როდესაც სფფ, როგორც საერთაშორისო პროფესიული ინსტიტუტის ნაწილი, რეალურად არც არსებობს.

4. სფფ თავისი წევრების კანონიერ ინტერესებს უნდა იცავდეს თუ არა?

საერთოდ საინტერესოა, ვინ არიან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წევრები? კლუბები, ფეხბურთის სკოლები და კუთხეების დიდი ქალაქების ფედერაციები (!), თუ მათთან ერთად კვლავ ქარხნები და ა.შ.? ან კიდევ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სინამდვილეში „ფედერაციის ინსტიტუტს“ წარმოადგენს, თუ ეს ისე, სიტყვაზე ჰქვია?

სფფ-ს წევრი კლუბების კანონიერი ინტერესების რა დაცვაზე შეიძლება ლაპარაკი ქინქლაძის ტრანსფერის საკითხის შემდეგ? სფფ-ს წევრი ფეხბურთის სკოლების კანონიერი ინტერესების რეალური დაცვის ინსტიტუტი ხომ საერთოდ არ არსებობს?

5. სფფ თავის დადგენილეიებს უნდა ასრულებდეს თუ არა?

სხვათა შორის, სფფ-ს ნებისმიერი კომიტეტის დადგენილება არის სფფ-ს დადგენილება (სხვა საკითხია, საბოლოოა თუ არა სფფ-ს ამა თუ იმ კომიტეტის დადგენილება). პროფესიული წეს-კანონების თანახმად, სფფ-ს პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, გენერალური მდივანი და ნებისმიერი პირი, ვისაც აქვს შესაბამისი უფლებამოსილება სფფ-ს სახელით გააკეთოს განცხადება, არ არის უფლებამოსილი იურისტებს და კომიტეტებს ამოფარებული აკეთებდეს განცხადებებს და აქვეყნებდეს დადგენილებებს. გადავხედოთ ფიფა-ს ნებისმიერ რეგლამენტს, ნებისმიერ დირექტივას! სფფ-ს თითოეული ხელმძღვანელი დაკავებული თანამდებობის შესაბამის პასუხისმგებლობას უნდა იცნობიერებდეს თავისი წევრების წინაშე, ქართული ფეხბურთის წინაშე, ქვეყნის წინაშე (ფეხბურთი ეკუთვნის ქვეყანას და არა პირიქით!).

6. სფფ თავის ლეგიონერებზე უნდა ზრუნავდეს თუ არა?

რამდენი წელია ქართველ ლეგიონერთა მთელი არმია არსებობს, მაგრამ სფფ-ში არ არსებობს ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდი პრობლემის ლეგიონერთა პრობლემების ინსტიტუტი! არა, ქვეყანაში მათი ხელოვნური დაკავების საკითხზე არ მოგახსენებთ. ასეთ არაკანონიერ მცდელობებს უკვე ჰქონდა ადგილი. მე ლეგიონერთა ბედზე მოგახსენებთ, წარმოდგენაც რომ არ აქვს სფფ-ს, თუ რატომ მარილის თოჯინებივით იხსნებიან ისინი ევროპის ფეხბურთის ოკეანეში! დიახ, თითქმის ყველა.

7. სფფ ქართულ საფეხბურთო მენტალიტეტს უნდა იცავდეს თუ არა?

აქ არ გვაწყენს დიდი ქართველის გიორგი ჩუბინაშვილის გახსენება, პირველყოვლისა „ქართულის“ არსებობა-არარსებობის განსაზღვრა-დადგენას რომ ითხოვდა და მხოლოდ ამის შემდეგ ყველა დანარჩენს. ერთი წუთით დავუშვათ, რომ ამ მხრივ ქართულ ფეხუბრთში პრობლემა არ გვაქვს...

ამდენი სათაყვანო სახელებია ქართულ ფეხბურთში, ჩვენი ბავშვები კი ვის ფეხბურთზე იზრდებიან!

კი ბატონო, პირადად მეც ამ აზრისა გახლავართ, ფეხბურთი — გოლია, მაგრამ ჩვენი იარაღებით ხომ უფრო ადვილად შევაგდებთ ამ ნანატრ გოლებს! თან ასეთ გოლებს ხომ უკეთ ჩაიტკბარუნებს ქართველი გურმანი გულშემატკივარი! და თან ხომ უმადურებიც არ ვიქნებით იმ მარადმწვანე ბიჭების წინაშე!

ბატონო ვიცე-პრეზიდენტო, არ მეთანხმებით, რომ ფკ მრეტები კი არა, სფფ გახლავთ შესაცვლელი?

დიახ, ის ფაქტი, რომ სფფ-ს სრულუფლებიანი წევრი კლუბის ფკ მრეტების მიერ სფფ-ში დაყენებული კანონიერი მოთხოვნები წლების განმავლობაში არ სრულდება, არის ქართულ ფეხბურთში არაკანონიერის და ამორალურის საბოლოო დამკვიდრების მცდელობა სფფ-ს მიერ.

დიახ, საბოლოო, რადგან სფფ-ს უპირველესმა ფუნქციონერებმა მიაღწიეს:

რომ დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის დაწყებიდან დღემდე, ქართულ ფეხბურთში პროფესიული კანონიერების დამკვიდრების მცდელობისათვის ფკ მრეტები თითქმის მიწასთან (ანუ ტივთან) გაასწორეს!

დიახ, თითქმის, სულ მთლად არა, რადგან დრო და დრო იგი საპირწონედ სჭირდებათ! ზოგჯერ, მოსაფერებლადაც, რათა ახალმა თაობამ თქვას, ნახეთ, აქ კი მართალი ყოფილა სფფ-ო!

რომ ქართული საფეხბურთო სამყარო დუმილის ათწლეულში ჩასვეს!

რომ მომავალ ათწლეულში თუ მაინც ვეღირსეთ ხმის უფლებას, უკვე დღესვე ჩანს, სულ „დინამო, დინამო“-ს ყვირილით გავუყვებით „დინამო“-ს სტადიონისაკენ!

კვლავ ახალი თაობისთვის დავძენ, იყო დრო, როცა მთელი საქართველო „დინამოსთვის“ იღწვოდა — აი, საიდან არის ის საქართველოს უპირველესი კლუბი! ახლა, საბედნიეროდ, უკეთესი შესაძლებლობების დღე გაგვითენდა და „დინამომ“ კეთილ ინებოს და შეირგოს სახელოვანი წარსული, ხოლო მომავალი საერთაშორისო პროფესიული წეს-კანონების მიხედვით მოიპოვოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ბატონ გურამ ქავთარაძესთან მივალთ და არა ბატონ ირაკლი ქავთარაძესთან. საინტერესოა, ახალი თაობა რას ამბობს, უკან არის ქართული ფეხბურთის მომავალი?!

დიდად პატივცემულო ბატონო ვიცე-პრეზიდენტო, ეს გახლავთ ფრიად სამწუხარო რეალობა და არა გამოწვევა. მით უმეტეს, ფკ მრეტები ყოველთვის აფასებდა საკითხთან დაკავშირებით თქვენს სამართლიან პოზიციას.

გთხოვთ, საკითხთან დაკავშირებით და სულ რამდენიმე წინადადებით, სფფ-ს კომიტეტებს ამოფარებული სფფ-ს ხელმძღვანელობის მოქმედებას გადავხედოთ (11.07.1992 ტრანსფერის და სფფ-ს 2.01.1997 დადგენილების სამართლებრივი ასპექტების საბოლოო განხილვა ფკ მრეტების 25.07.1998 წერილშია მოცემული).

„საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც ფიფა-ს ალმასკომი მიიღებს“-ო, ბრძანებთ თქვენ. რეზონანსი, 5.08.1998. რატომ ფიფა-ს ალმასკომი? რა გვინდოდა ფიფა-ში?!

ფიფა — სფფ-ს წეს-კანონების თანახმად, სფფ იყო ვალდებული გადაეწყვიტა საკითხი და გადაწყვიტა კიდეც თავისი 2.01.1997 და 1.09.1997 დადგენილებებით (სფფ-ს მხრიდან ამ პერიოდში ჩვენს საწინააღმდეგო დარღვევებზე ამჯერად აღარაფერს ვიტყვით).

ფიფა — სფფ-ს წეს-კანონების თანახმად, ფკ დინამო, როგორც სფფ-ს წევრი კლუბი, ვალდებული იყო შეესრულებინა სფფ-ს 2.01.1997 და 1.09.1997 დადგენილებები.

ფკ დინამომ არ შეასრულა სფფ-ს 2.01.1997 და 1.09.1997 დადგენილებები. ამასთან, ფიფა — სფფ-ს წეს-კანონების შესაბამისად, საკითხი ფიფა-ში კი არ გადაიტანა, ისე როგორც ფკ მრეტებმა გააკეთა ეს, არამედ უარი განაცხადა დამორჩილებოდა სფფ-ს და 1.09.1997 დადგენილების მე-4 მუხლის გაფრთხილების მიუხედავად, საკითხი სამოქალაქო სასამართლოში გადაიტანა.

ფიფა — სფფ-ს წეს-კანონების თანახმად, სფფ-ს ხელმძღვანელობა, ხაზს ვუსვამთ — სფფ-ს ხელმძღვანელობა, ვალდებული იყო შეესრულებინა სფფ-ს ალმასკომის 1.09.1997 დადგენილება, რომლის მეორე მუხლის თანახმად მას ფკ დინამო ავტომატურად უნდა გადაეყვანა მეორე ჯგუფში.

ფიფა — სფფ-ს წეს-კანონების თანახმად, სფფ-ს ხელმძღვანელობა ვალდებული იყო უახლოესი ალმასკომისთვის მოეხსენებინა ალმასკომის 1.09.1997 დადგენილების მეორე მუხლის შესრულების შესახებ და ეთხოვა ალმასკომისთვის, რათა მას, თავისივე 1.09.1997 დადგენილების მესამე მუხლის თანახმად, ახალი ვადები დაეწესებინა ფკ დინამოსთვის თანხების გადასახდელად.

ფიფა — სფფ-ს წეს-კანონების თანახმად, სფფ-ს ხელმძღვანელობა ვალდებული იყო მოეხსენებინა ალმასკომისათვის, რომ ფკ დინამომ უარი განაცხადა დამორჩილებოდა სფფ-ს, ეცნობებინა მისთვის ფკ დინამოს მიერ საკითხის სამოქალაქო სასამართლოში გადატანის შესახებ და ეთხოვა ალმასკომისათვის, რომ მას, თავისივე 1.09.1997 დადგენილების მეოთხე მუხლის თანახმად, ფკ დინამოს მიმართ მიეღო „შესაბამისი დისციპლინარული სანქციები“.

სფფ-ში ხომ არის გენერალური სამდივნო? და თუ გენერალურმა მდივანმა უარი განაცხადა შეესრულებინა ალმასკომის დადგენილება, სად იყვნენ სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტი და სფფ-ს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი?

და თუ საერთოდ სფფ-ს მთელი ხელმძღვანელობა აცხადებს უარს თავიანთ მოვალეობის ანუ ალმასკომის დადგენილების შესრულებაზე. ასეთ შემთხვევაში, ფკ მრეტები, როგორც სფფ-ს სრულუფლებიანი წევრი და უფლებამოსილი პირი, სფფ-ს ალმასკომის წინაშე დააყენებს საკითხს, სფფ-ს ყველა ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეჩერებისა და, შესაბამისად, სფფ-ს ხელმძღვანელობითი ფუნქციების ალმასკომის მიერ თავის თავზე აღების შესახებ, სფფ-ს უახლოეს ყრილობამდე.

ბატონო ვიცე-პრეზიდენტო, სფფ-ს ხელმძღვანელობას დარჩა ერთადერთი ალტერნატივა, განაცხადოს:

„სფფ-ს ხელმძღვანელობამ, ფიფა-ს მიერ დაწესებულ ვადაში მოიწვია სფფ-ს ალმასკომის სხდომა (8.05.1998), რომელსაც ფკ დინამომ განუცხადა, რომ მათ გააჩნიათ ახალი იურიდიული დოკუმენტები და თხოვა ალმასკომს, რომ მან მხარი დაუჭიროს ფკ დინამოს, რათა ეს საბუთებით წარმოადგინონ და შემდეგ გადააგზავნონ ფიფა-ში. სფფ-ს ალმასკომმა ნება დართო ფკ დინამოს, რათა ეს საბუთები წარმოადგინონ და შემდეგ წარუდგინონ სფფ-ს იურიდიულ კომისიას“ (სიტყვა-სიტყვით ასე იყო).

მაგრამ ასეთი განცხადება შექმნის პროფესიული კანონმდებლობის დარღვევათა მთელ ჯაჭვს:

სფფ-ს შესაბამისი რეგლამენტის თანახმად, სფფ-ს საგანგებო კომიტეტის 1.09.1997 დადგენილება იგივე სფფ-ს ალმასკომის დადგენილებაა, რადგან სფფ-ს საგანგებო კომიტეტს ირჩევს სფფ-ს ალმასკომი სწორედ სფფ-ს ალმასკომში აპელაციის შემთხვევაში და იგი ეროვნული მასშტაბით საბოლოოა! ეს ერთი. მით უმეტეს, 1997 წლის 1 სექტემბრის დადგენილების აპელაციის ვადა 1998 წლის 5 მაისისთვის დიდი ხნის ამოწურული იყო! ეს უკვე მეორე დარღვევაა, და სფფ-ს ალმასკომში არ აღმოჩნდა თუნდაც ერთი წევრი, ვინც სფფ-ს ალმასკომში აპელაციის პროცედურის შესახებ იცოდა?! ეს უკვე მესამე. მით უმეტეს, აპელაციის საკითხი მხოლოდ გენერალური სამდივნოს საშუალებით გადის ალმასკომზე და გენერალური მდივანი ვალდებული იყო უარი ეთქვა აპელაციაზე! ეს მეოთხე. და თუ გენერალურმა სამდივნომ დაარღვია წეს-კანონები, სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტი და პრეზიდენტი სად იყვნენ? ეს მეხუთე.

მით უმეტეს, ამ დროს სფფ-ს ხელმძღვანელობა-ალმასკომისთვის უკვე ცნობილი იყო, რომ ფკ დინამომ სასამართლოში უჩივლა ფკ მრეტებს და სფფ-ს, 11.07.1992. ტრანსფერის კონტრაქტის ბათილად ცნობისა და სფფ-ს 2.01.1998 დადგენილების გაუქმების მოთხოვნით! და სფფ-ს ხელმძღვანელობა ვალდებული იყო... ესეც მეექვსე. და აქ უკვე წრეზე გავდივართ, ბატონო ვიცე-პრეზიდენტო.

ახლა კი ვიკითხოთ: რატომ გვაშინებს ფიფა-ს ალმასკომი?

სფფ-მ შეასრულოს ფკ მრეტების 25.07.1998 წერილში დაყენებული კანონიერი მოთხოვნები და ფიფა-ს ალმასკომშიც ყველაფერი წესრიგში იქნება.

იქნებ რაიმე არაკანონიერს ხედავთ ამ მოთხოვნებში? ასეთ შემთხვევაში, გთხოვთ, ასევე დაუყოვნებლივ და საჯაროდ დაგვისაბუთოთ ეს. მით უმეტეს, თქვენ სფფ-ს პრეზიდენტობის ერთ-ერთ ყველაზე რეალურ კანდიდატად მოიხსენიებით და აი, მშვენიერი შესაძლებლობა გეძლევათ მთელი საფეხბურთო საქართველო დააჯეროთ, რომ თქვენ ღირსეული პრეზიდენტი იქნებით.

მით უმეტეს, რომ ფკ დინამოს „საბუთებში ხელმოსაჭიდი არაფერი ჩანს“ (თქვენი ინტერვიუდან 11X11, 08.06.1998). „არც იძებნება“ და „არც შეიძლება, რომ არსებობდეს“.

დაბოლოს, თუ საკითხი სასწრაფოდ არ მოგვარდება, სფფ-ს და ფკ დინამოს საკითხს მართლაც ფიფა-ს ალმასკომის სექტემბრის სხდომა განიხილავს და ქართული ფეხბურთი კიდევ ერთი რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდება!

ასეთ შემთხვევაში, პირადად მე არ დამრჩება სხვა ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ თავად მივმართო აფხაზეთის, სამეგრელოს, აჭარის, გურიის, იმერეთის, ქართლის, კახეთის, მესხეთ-ჯავახეთის კლუბებს!

მით უმეტეს, 1994 წლის გაზაფხულზე, სფფ-სთან კლუბების შეხვედრაზე (31-ე ქარხნის კლუბი), მე ამ კლუბებს სიტყვა მივეცი. აი, ჩემი სიტყვა (სიტყვა-სიტყვით):

— ფედერაციისთვის მრეტებზე მეტი სათქმელ-სასაყვედურო ვის გაქვთ? მაგრამ დღეისათვის და ასე მოუმზადებლად არ უნდა დანიშნულიყო ეს შეხვედრა. მით უმეტეს, დღეს თასის თამაშია რუსთავში და ცოტა ხანში მთელი ფედერაცია ამ თამაშზე წავლენ.. პირადად მე კი ხვალ-ზეგ გერმანიაში მივდივარ კლუბის საქმეზე. ჩემი წინადადება ასეთია: სიტყვას გაძლევთ, დავბრუნდები გერმანიიდან და სადმე წყნარ ადგილას პატარა პურლვინოზე დაგპატიჟებთ. ჯერ მხოლოდ კლუბებს დაგპატიჟებთ, სფფ-ს გარეშე. ჰოდა, დავსხდეთ, ჯერ თავად კლუბებმა გადავწყვიტოთ ლამაზად, რა და როგორ გვიჯობს, აუცილებლად ერთ აზრზე ჩამოვყალიბდეთ და მაგრად დავდგეთ, თორემ დაგვშლიან და მოგვერევიან. შემდეგ სფფ მოვიწვიოთ პატარ პურმარილზე და მარილით გამასპინძლებაც ჩემს ანგარიშზე იყოს...

— (ადგილებიდან) კეთილი, მაგრამ რომ არ მოვიდნენ? დღეს ძლივს მოვიყვანეთ! შენი სიტყვის მერე რაღას მოვლენ!

— მე გაძლევთ გარანტიას, რომ მოვლენ!“

შევთანხმდით და სხდომა გადავდეთ, ხოლო რამდენიმე დღეში მე გერმანიაში წამოვედი და... ცოტა დამიგვიანდა სიტყვის შესრულება, მაგრამ დღემდე მელოდებიან!

ჰოდა, თუ საჭირო გახდა, კლუბები მარტო პურმარილს არ დავჯერდებით, ბართან ერთად მთასაც მივმართავთ და მთას, ხომ იცით, ბარივით ბევრი მიეთმოეთი არ უყვარს, კაფიას არ დაგიგვიანებთ:

იქნების გნებავთ, ბატონო,
„დამხშობი მზის და მთვარისა,
სამშობლოს დამამხობელი
და გამომჯრელი კარისა“,
თბილისში გადავვასახლოთ,
გავხდეთ დინამოს გვარისა...

სხვა ვცადოთ, ბატონო ვიცე-პრეზიდენტო, ვით ბრძენთა წესია, ძაღლის კუდის გასწორება ვცადოთ! ესეც ხომ პოლიტიკა არ არის, დიდი ერების წნეხის გამო გვიჭირდეს! მით უმეტეს, ნამეტნავად დიდი დაცვა გვყავს — ფიფა! ყოველდღიურად ვცადოთ, საერთაშორისო ასოციაციების დარად — დასვენების დღეებშიც ვცადოთ, პიროფლიანად და საერთაშორისო პროფესიული კანონების შესაბამისად ვცადოთ...

თუ ხვალაც უსაძირკვლო-ჩამოქცეული „ეროვნული ფედერაცია“ უნდა გვქონდეს?

პატივისცემით,
ფკ მრეტების ხელმძღვანელობის სახელით,
ფკ მრეტების პარტნიორთა საბჭოს სახელით,
**ვაჟა ჩხაიძე**
პრეზიდენტის პარტნიორთა საბჭოს წევრი

# დოპინგ-სკანდალი იტალიურ ფეხბურთში?

როგორც მოგეხსენებათ, იტალიის სერია A-ს მორიგი ჩემპიონატის დაწყება 13 სექტემბრისთვისაა დაგეგმილი, მაგრამ აპენინებზე ამ დღეებში ისეთი რთული ვითარებაა შექმნილი, შესაძლოა, მსოფლიოს უძლიერესი ლიგის პრესტიჟი მეტად შეილახოს და განვითარებულ მოვლენების ფონზე ახალი გათამაშებისადმი ინტერესმა იკლოს.

საქმე კი ისაა, რომ ორიოდ კვირის წინ იტალიურმა ჟურნალმა „ლ ესპრესომ“ დაბეჭდა კლუბ „რომას“ მთავარი მწვრთნელის ზდენეკ ზემანის ინტერვიუ, რომელშიც ეს უკანასკნელი ბოლო ხანებში სერია A-ში აქტუალურად ქცეულ დოპინგის პრობლემებზე საუბრობს. რომაელთა ჩეხი თავკაცის თქმით, თანამედროვე იტალიურ ფეხბურთში არაერთი მოთამაშე ხმარობს აკრძალულ პრეპარატებს და ამან სულ მალე, შესაძლოა, სერია A ახლახან ჩატარებულ სკანდალურ ველორბოლა „ტურ დე ფრანსს“ დაამსგავსოს. გახსოვთ ალბათ, ივლისში მსოფლიოს უპოპულარულეს ველოტურზე მართლაც გაუგონარი რამ ხდებოდა. უამრავი ველომრბოლი დოპინგთან დაკავშირებულ სხვადასხვა თვალთმაქცობაში ამხილეს, რის შედეგადაც ბოლო ეტაპისთვის მონაწილეთა რაოდენობა, ფაქტობრივად, განახევრდა.

ზემანის ინტერვიუს იტალიაში უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა. ჩეხის თამამი გამოსვლით ყველაზე დიდი უკმაყოფილება ინგლისური „ჩელსის“ მოთამაშე მწვრთნელმა ჯან-ლუკა ვიალიმ და „სკუადრა ატურას“ გამთამაშებელმა ალესანდრო დელ პიერომ გამოთქვეს. ამ ორის გამძვინვარება ადვილი გასაგებია. მწვრთნელმა ხომ კონკრეტული პირების ჩამოთვლისას სწორედ ვიალი და დელ პიერო მოიხსენია — კუნთები რომ განივითარონ, აკრძალული ნივთიერებებით იჭყიპებიანო.

— ეს კაცი ტერორისტია! დროა, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ გადამჭრელ ზომებს მიმართოს, რადგან ეს არამზადა ერთი, თუნდაც ორი წლით მოკვეთას იმსახურებს — ასეთი გახლდათ გაცეცხლებული ვიალის რეაქცია.

დელ პიერო კი სტამფორდბრიჯელთა ბოსზე გაცილებით შორს წავიდა. მან უკვე დაიქირავა აგენტი, რომელიც მორალური შეურაცხყოფისათვის ზემანის წინააღმდეგ სახელმწიფო სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს.

რომაელთა მწვრთნელის სენსაციურმა განცხადებამ იტალიური ფეხბურთი ორად გახლიჩა. თუ ფეხბურთელთა აბსოლუტური უმეტესობა და რამდენიმე სპეციალისტი ზემანს სასტიკად აკრიტიკებს, სერია A-ში მოთამაშე კლუბების მწვრთნელთა დიდი ნაწილი გაბედულ ჩეხს უჭერს მხარს.

„ზემანს ურჩევნია ფეხბურთელებს თავი დაგვანებოს. მე თუ მკითხავთ, აფთიაქებში სირბილი სწორედ მას სჭირდება, რათა დამაწყნარებელი აბები შეიძინოს“ — თქვა „იუვენტუსის“ მცველმა ჩირო ფერარამ, თუმცა არც საწინააღმდეგო მოსაზრებებმა დააყოვნა.

მილანის „ინტერის“ თავკაცი ჯიჯი სიმონი: „ზემანისადმი კეთილგანწყობა მისი საქციელის შემდეგ ერთი-ორად მომემატა. არა მგონია, დოპინგი ჩვენს ფეხბურთში დიდი პრობლემა იყოს, მაგრამ... სჯობს, ამას ახლავე შევებრძოლოთ, თორემ შემდეგ გვიან იქნება.“

„ბოლონიას“ მთავარი მწვრთნელი კარლო მაცონე: „ზემანმა ძალიან კარგად იცის, რასაც ამბობს. ეს რომ არა, ისედაც ყველას მოეხსენება, რა დღეშიც



REUTERS რომიდან

ზდენეკ ზემანი: იტალიელი ფეხბურთელები დოპინგით იჭყიპებიან!

ვართ. ეს იმათაც იციან, ვინც თავს იკატუნებს, ვითომ ვერანაირ დარღვევას ვერ ხედავს.“

ორივე მხარის მოსაზრებების შემდეგ ძნელია, საქმეში ჩაუხედავად კაცმა ხელაღებით რაიმე გადაწყვეტილება მიიღო. ბოლოს და ბოლოს, ზემანი ხომ იტალიურ ფეხბურთში უცხო პიროვნება არ არის. იგი 17 სეზონის განმავლობაში მუშაობდა აპენინებზე და ყველა ნიუანსში კარგადაა გარკვეული.

ყოველივე ეს იტალიის ოლიმპიური კომიტეტის (CONI) ანტისადოპინგო განყოფილების თავკაცებმაც მშვენივრად უწყიან და სიტუაციაში საბოლოოდ გასარკვევად მათ ზემანთან საფუძვლიანი გასაუბრება გადაწყვიტეს. საქმის განხილვასთან დაკავშირებით ფედერაციის ლიგისა და კლუბთა წარმომადგენლები დიდ თავყრილობას 1 სექტემბერს მოაწყობენ.

თავად აურზაურის გამომწვევი ზდენეკ ზემანი მშვიდადაა და თავის სიმართლეში დარწმუნებული აუღელვებლად ელის დათქმულ ყრილობას.

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ბოლო ხანებში მოთამაშეებმა დოპინგის ხმარებას უხშირეს. თანამედროვე ფეხბურთი ხომ უდიდეს დატვირთვებს მოითხოვს და არცთუ იოლია, ჯადოსნური აბების მიღების ცდუნებას გაუძლო. სამწუხაროა, მაგრამ სერია A-ს კლუბების, მათ შორის, „რომას“ ფეხბურთელებმაც არ იციან, რანაირად თქვან უარი ესოდენ მიმზიდველი აკრძალული პრეპარატების გამოყენებაზე. ამიტომ ყველა პირობა არსებობს საიმისოდ, რომ სექტემბრის დასაწყისში მრავალ წესის დამრღვევს შავი დღე გაუთენდეს. თუმცა იმედია, ოფიციოზი სიტუაციას სალად შეაფასებს და იტალიური ფეხბურთისთვის სასიკეთო დასკვნებს გამოიტანს — ამბობს ზემანი.

იტალიის სპორტის მინისტრმა უოლტერ ველტრანიმ განაცხადა, რომ სურს, ამიერიდან კიდევ უფრო გაამკაცროს დოპინგ-საწინააღმდეგო ღონისძიებები, თუმცა ფეხბურთელთათვის სისხლის ტესტების ჩატარების ნებართვას CONI-სა და მსოფლიოს უპირველესი საფეხბურთო ორგანიზაციის ფიფა-ს თავკაცთა თანხმობა სჭირდება. ქვეყნის სამოქალაქო უფლებათა დაცვის ორგანიზაციის ლიდერი მინისტრზე პრინციპული აღმოჩნდა — სიტუაციაში მშვიდად რომ გავერკვეთ, 13 სექტემბრისთვის დანიშნული სერია A-ს მორიგი პირველობა გადავიტანოთო.

უნდა ითქვას, რომ CONI, რომელსაც იტალიური სპორტისთვის თვალ-ყურის დევნება ევალება, აქამდე ჩემპიონატის ყოველი მატჩის შემდეგ ოთხ ფეხბურთელს — თითოეული გუნდიდან ორ-ორს — ამოწმებდა. მარტო 1997 წელს ამ ორგანიზაციამ 4029 დოპინგ-ტესტი განახორციელა და მიუხედავად ასეთი მკაცრი კონტროლისა, სერიოზულ დარღვევას ადგილი არ ჰქონდა.

**ირაკლი ხმელიძე**

## ფეხბურთის რუკასთან



**ტუნისის** ნაკრების თავდამსხმელი, აბელ სელიმი საფრანგეთის პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ნანტიდან“ ბუნდესლიგის ახალ ბინადარ „ფრაიბურგში“ გადავიდა, განაცხადეს გერმანული კლუბის წარმომადგენლებმა. 25 წლის ფეხბურთელმა თავის ახალ გუნდთან ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა, ხოლო სატრანსფერო თანხა 500 ათას მარკას (281 ათასი დოლარი) შეადგენს. „ფრაიბურგში“ სელიმის გარდა ტუნისის სამსოფლიოჩემპიონატო ნაკრების კიდევ ორი წევრი ასპარეზობს — ფორვარდი მეჰდი ბენ სლიმანი და ნახევარმცველი ზუბეირ ბეია.

**იტალიის ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა, ამჟამად ფრანგულ „პარი სენ ჟერმენში“ მოასპარეზე მარკო სიმონემ თავის კლუბთან კონტრაქტი განაახლა და ამ სეზონში კვლავ პარიზელთა ღირსებას დაიცავს. სიმონეს, რომელიც შარშან საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, თავისი ყოფილი გუნდი „მილანი“, „პარმა“ და „მონაკო“ ეპატიჟებოდნენ, მაგრამ მან პსჟ-ში დარჩენა ამჯობინა.**

**ინგლისურმა** „ნოტინგემ ფორესტმა“ ჰოლანდიელი ლეგიონერი პიერ ვან ჰოიდონკი ტრანსფერზე დააყენა. ამიერიდან თავდამსხმელის შეძენის მსურველ კლუბს პრემიერლიგური გუნდისთვის 8 მილიონი გირვანქის (13,05 მილიონი დოლარი) გადახდა მოუწევს. 28 წლის ფორვარდი, რომელმაც შარშან ნოტინგემელთა შემადგენლობაში შესანიშნავად იასპარეზა და სეზონში 34 გოლის გატანა მოახერხა, ამჟამად სამშობლოში იმყოფება. ინგლისური კლუბის დირექტორი ორშაბათს ჰოლანდიას ჩავიდა ფეხბურთელთან მოლაპარაკებების საწარმოებლად, მაგრამ, ეტყობა, ამან შედეგი არ გამოიღო. შეგახსენებთ, რომ ჰოიდონკი „ნოტინგემ ფორესტში“ შოტლანდიური „სელტიკიდან“ 1997 წლის მარტში გადავიდა 4,5 მილიონ გირვანქად და კლუბთან კიდევ ოთხწლიანი ხელშეკრულება აკავშირებს. პირველ პრემიერლიგურ მატჩს „ფორესტი“ ორშაბათს, 17 აგვისტოს გამართავს ინგლისის ჩემპიონსა და თასის მფლობელ ლონდონის „არსენალთან“.

**ინგლისის ლიგის თასის გათამაშების პირველი წრის პირველი მატჩები: ბარნეტი — ვულვერჰემპტონი 2:1, ბირმინგემი — მილუოლი 2:0, ბლეკპული — სკანთორპი 1:0, ბოლტონი — ჰარტლპული 1:0, ბორნმუტი — კოლჩესტერი 2:0, ბრედფორდი — ლინკოლნი 1:1, ბრისტოლ სიტი — შრიუსბერი 4:0, ბარი თაუნი — ბარნსლი 1:1, კემბრიჯი — უოტფორდი 1:0, ექსეტერი — იფსვიჩი 1:1, ფულემი — კარდიფი 2:1, ჰადერსფილდი — მენსფილდი 3:2, ლეიტონ ორიენტი — ბრისტოლ როვერსი 1:1, ლუთონი — ოქსფორდი 2:3, მაკელსფილდი — სტოკი 3:1, ნორტჰემპტონი — ბრაიტონი 2:1, ნოთს ქაუნთი — მანჩესტერ სიტი 0:2, ოლდემი — ქრუ ალექსანდრა 3:2, პიტერბრო — რიდინგი 1:1, პლიმუტი — პორტსმუტი 1:3, პორტ ვეილი — ჩესტერი 1:2, როტერჰემი — ჩესტერფილდი 0:1, შეფილდ იუნაიტედი — დარლინგტონი 3:1, საუთენდი — ჯილინგჰემი 1:0, სტოკპორტი — ჰალი 2:2, სვენსი — ნორვიჩი 1:1, ტორკვეი — კრისტალ პალასი 1:1, ტრანმერი — კარლაისლი 3:0, უოლსოლი — ქუინს პარკ რეინჯერსი 0:0, ვესტ ბრომვიჩი — ბრენტფორდი 2:1, ვიგანი — როჩდეილი 1:0, რექსჰემი — ჰალიფაქსი 0:2, იორკი — სანდერლენდი 0:2.**

**ესპანეთის** მეორე დივიზიონში მოასპარეზე „მალაგამ“ ურუგვაელი ნახევარმცველი გონზალო დე ლოს სანტოსი გადაიბირა. მასში „მალაგამ“ მეორე ესპანურ გუნდ „მერიდას“ თავის ისტორიაში სარეკორდო თანხა — 700 მილიონი პესეტა (4,6 მილიონი დოლარი) გადაუხადა. „მერიდადან“ „მალაგაში“ კიდევ ერთი ფეხბურთელი, წარსულში მადრიდის „ატლეტიკოს“ ნახევარმცველი ფრანსისკო რუანო გადავიდა.

**ჩილეს ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი „კოლო-კოლო“ გახდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ბოლო ტურში მან „კოკუიმბო“ დაამარცხა 1:0, ხოლო მეორე ადგილზე მყოფმა „დეპორტეს კონსეპსიონმა“ 1:3 წააგო „უნივერსიდად კათოლიკასთან“.**

**შოტლანდიის** „სელტიკის“ პრეზიდენტმა ფერგიუს მაკანმა მეტად საგულისხმო რამ ჩაიდინა. მან ჩემპიონთა ლიგის გათამაშების პირველი საკვალიფიკაციო მატჩის წინ კლუბის ფეხბურთელებს 50 ათასი გირვანქა (81 590 დოლარი) გამოართვა და ეს თანხა გლაზგოს ერთ-ერთ საავადმყოფოს დახმარების სახით გადაურიცხა. კლუბის ხელმძღვანელის საქციელი იმან გამოიწვია, რომ მოთამაშეებმა ზაგრების „კროაციასთან“ მოგების შემთხვევაში მათთვის შეპირებულ 20 ათას გირვანქაზე უარი განაცხადეს, რადგან ფული ეცოტავათ. „მსურდა, ფეხბურთელებს შეეგნოთ, რომ ცხოვრებაში ფულზე მნიშვნელოვანი რამეებიც არსებობს. მათ, ვინც კვირაში 10 ათას გირვანქას ღებულობს ხელფასის სახით, წარმოდგენაც არა აქვთ, რომ მავანნი სულაც შიმშილობენ. ესენი კი ასეთ სოლიდურ საპრიზოებზე უარს ამბობენ“ — განაცხადა გაცხარებულმა მაკანმა.

**შვეიცარიის ეროვნული ნაკრებისა და გერმანული „კაიზერსლაუტერნის“ ნახევარმცველ ჩირიაკო სფორცას მიაჩნია, რომ მისი გუნდი წლეულსაც საკმაოდ კარგადაა მომზადებული და ჩემპიონობის უპირველესი ფავორიტია. „ახალ სეზონში პირველობისთვის ძირითადად სამი-ოთხი კლუბი იბრძოლებს. ესენი, როგორც ყოველთვის, მიუნხენის „ბაიერნი“, შარშან გაწბილებული დორტმუნდის „ბორუსია“ და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასული ლევერკუზენის „ბაიერი“ იქნებიან. ამავდროულად, ოქროს მედლების მაძიებელთა სიიდან არც „კაიზერსლაუტერნის“ ამოშლა იქნება მართებული, რადგან ოტო რეჰაგელს მართლაც ჩინებული კოლექტივი ჰყავს“ — აცხადებს სფორცა. შეგახსენებთ, რომ კაიზერი ერთადერთი გუნდია, რომელმაც უმაღლეს ლიგაში დაბრუნების პირველივე წელს მოახერხა ჩემპიონობის მოპოვება.**

**ბრაზილიელი** თავდამსხმელი სონი ანდერსონი საწვრთნელ შეკრებაზე მიღებული ტრავმის გამო თავისი კლუბის — ესპანური „ბარსელონას“ მონაწილეობით გამართულ სუპერთასის შეხვედრას გამოტოვებს. წინასაჩემპიონატო მზადებისას ოთხი გოლის გამტანი ანდერსონი ბერლინის „ჰერტასთან“ ჩატარებულ ამხანაგურ მატჩში დაშავდა და მწვრთნელის გადაწყვეტილებით ესპანეთის სუპერთასზე „მალიორკას“ წინააღმდეგ თავდასხმაში ბრაზილიელ რივალდოს სონის ნაცვლად სავარაუდოდ ლუის ენრიკე შეეწყვილება. თავად დაშავებული კი ფეხბურთს, ალბათ, ერთი თვით ჩამოშორდება.

**ნიგერიის ნაკრების უფერული გამოსვლა წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ამ ქვეყნის ფეხბურთის მამებმა, რა თქმა უნდა, უყურადღებოდ არ დატოვეს. მას შემდეგ, რაც გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტი ცნობილმა იუგოსლაველმა სპეციალისტმა ბორა მილუტინოვიჩმა დატოვა, მათ სასწრაფოდ დაიწყეს ახალი დამრიგებლის ძებნა. მართალია, დღესდღეობით „სუპერარწივების“ ახალი ხელმძღვანელის სახელი უცნობია, მაგრამ სამაგიეროდ გაირკვა იმ პიროვნების ვინაობა, რომელიც მთავარი მწვრთნელის თანაშემწის ადგილს დაიკავებს. ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლის აუსტინ მგბოლოს განცხადებით, ეს კაცი ამოდუ შაიბუა, რომელსაც ნაკრებში ადრეც უმუშავია. შაიბუ, ვინც გასულ კვირაში სამხრეთაფრიკული კლუბის „ორლანდო პაირატსის“ მესაჭეობიდან გაათავისუფლეს, „სუპერარწივებს“ 1994-97 წლებში ედგა სათავეში, 1997 წლის თებერვალში კი ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციამ გაათავისუფლა იმ მიზეზით, რომ მწვრთნელი ქვეყანაში დადგენილ კანონებს არ იცავდა. „შაიბუ ნაკრებში უცხოელი თავკაცის თანაშემწედ იმუშავებს, რომლის სახელსაც მალე შეიტყობთ“ — თქვა მგბოლომ.**

# საბრალო გაზა

ინგლისში პოლ გესქოინის სახელი კვლავ ყველას პირზე აკერია. საქმე ისაა, რომ ჯერ ერთი, იგი ცოლს შორდება და მეორეც, გამოქვეყნდა ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის — გლენ ჰოდლის ჩანაწერები, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატის წინ გაზასთან საუბარს ეხება. ჰოდლი თავის ერთგვარ მემუარებში იხსენებს გესქოინთან 31 მაისის პრესკონფერენციის შემდგომ შეხვედრას, როდესაც მან ფეხბურთელს ნაკრებში აყვანაზე უარი უთხრა: „ჩვენ ორი-სამი წუთის განმავლობაში ვსაუბრობდით. მის თვალებში ცრემლები შევნიშნე, შევატყვე, გაზა საშინლად დალონებული და იმედგაცრუებული იყო. იგი სასწრაფოდ გამშორდა და თავის ოთახში შევიდა, სადაც რამდენიმე თანაგუნდელი შეჰყვა. მერე პოლი უკვე მთვრალი შემხვდა, ფეხზე ძლივს იდგა და ძალიან გაბრაზებული ჩანდა. მან იქვე მდგომ სკამს ფეხი ისეთი ძალით დაარტყა, ერთი პირობა ვიფიქრე, მოიტეხამეთქი. მისი საქციელიდან გამომდინარე, მეგონა, ჩემს გალახვას აპირებდა, მაგრამ ასე არ მოხდა, მან მთელი ბოღმა ლამპაზე გადმოანთხია და მუშტის ერთი დარტყმით დალეწა“. აი, ასეთ დელიკატურ ეპიზოდებზეა საუბარი ინგლისელთა თავკაცის „ნაშრომში“, სადაც იგი სინანულით აღნიშნავს, რომ საფრანგეთში ცნობილი მჩხიბავი და მლოცველი ქალი ელენ დრიუერი არ წაიყვანა: „იგი ისეთივე ადამიანია, როგორც იესო და მასავით უსაზღვრო ნიჭი და კეთილშობილება აქვს მიმადლებული. ის 20 პროცენტი, რომელიც ჩემპიონატზე დაგვაკლდა, სწორედ ელენის არყოფნამ გამოიწვია“ — თქვა მწერლობაში გადავარდნილმა ჰოდლმა. სხვათა შორის, ამ ნარკვევების გამო მას პრესისა და გულშემატკივრების საშინელით კრიტიკა დაატყდა თავს. ჰოდლის ოპონენტთა აზრით, მისი საქციელი გაუმართლებელია, გლენს გაზასთან პირადი ურთიერთობები და საუბრები არ უნდა გამოემზეურებინა და ეს საზოგადოებაში ქულების დაწერის საშუალებად არ უნდა ექცია.

ახლა სკანდალური ისტორიებით განთქმულ გესქოინთან დაკავშირებული მეორე ამბავიც ვთქვათ. როგორც უკვე მოგახსენეთ, მისმა 33 წლის მეუღლემ შერილმა გადაწყვიტა, ქმარს გაშორდეს და, ბოლოს და ბოლოს, ნორმალურად იცხოვროს. ამის შესახებ მან პოპულარულ ინგლისურ გაზეთ „სანში“ გამოაქვეყნა განცხადება. შერილის თქმით, პოლთან ერთად ცხოვრება უკვე აუტანელი გახდა, მით უფრო მას შემდეგ, რაც გლენ ჰოდლმა იგი ნაკრებში არ აიყვანა. ამის მერე, რომ „მიდლსბროს“ ნახევარმცველი გაუთავებლად ლოთობს და ჩხუბობს. „სანი“ იუწყება, რომ განქორწინების საქმის განხილვას ლონდონის უმაღლესი სასამართლო უახლოეს დღეებში დაიწყებს და, ალბათ, იგი 7 კვირის განმავლობაში გაგრძელდება. შერილის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მოთხოვნა ის ყოფილა, რომ მისი და პოლის ორი წლის ბიჭუნა, რეგანი, დედასთან ერთად დარჩეს.



თავქარიან გაზას ოჯახური იდილია სანატრელი გაუხდება

მოკლედ, საცოდავ გაზას ცუდი დროება უდგას — მისი პროფესიული წარუმატებლობა ოჯახურში გადაიზარდა. ასე თუ გაგრძელდა, ალბათ, მისი ცხოვრება წარსულში ცნობილი ფეხბურთელის, ასევე უნიჭიერესი ჯორჯ ბესტისას დაემსგავსება. ახლა ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. ვნახოთ, ყველაფერი ძალიან მალე გაირკვევა.

**ნოდარ ძასრაძე**

# ძლიერი, კომპეტენტური, გამოცდილი

პლანეტის ყველაზე ტიტულოვან გუნდს, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ ბრაზილიის ნაკრებს ახალი დამრიგებელი ჰყავს — 46 წლის ვანდერლეი ლუქსემბურგო. იგი ამ პოსტზე მარიო ზაგალოს შეცვლის, კაცს, რომელსაც ახლახან დასრულებულ მსოფლიო ჩემპიონატზე ბრაზილიის ნაკრების წარუმატებელ (თუ ამას წარუმატებელი ეთქმის) გამოსვლაში დაედო ბრალი. ამის შესახებ ოფიციალური განცხადება ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის (CBF) პრეზიდენტმა, რიკარდო ტეშეირამ სამშაბათს, საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. ნაკრების თავკაცის პოსტისთვის ლუქსემბურგოს გარდა გაცილებით ცნობილი და გამოცდილი სპეციალისტები იბრძოდნენ — პარაგვაის ნაკრების მწვრთნელი, სეზარ კარპეჯიანი, რომელმაც გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში გაიყვანა და მხოლოდ დამატებითი დროის ბოლო წამებზე გაშვებული გოლის გამო დამარცხდა მომავალ ტრიუმფატორ ფრანგებთან, 1994 წლის მსოფლიოს პირველობის გამარჯვებულ ბრაზილიელთა თავკაცი კარლოს ალბერტო პარეირა, ქვეყნის ჩემპიონის „ვასკო და გამას" მთავარი მწვრთნელი, წარსულში პოლიციის დეტექტივი ანტონიო ლოპესი და „პალმეირასის" დამრიგებელი, ლუის ფელიპე სკოლარი.



### ვანდერლეი ლუქსამბურგო

1952 — დაიბადა რიო დე ჟანეიროში
1986 — არცთუ შთამბეჭდავი საფეხბურთო კარიერის შემდეგ (იგი მცველი იყო, გამოდიოდა „ფლამენგოსა" და „ინტერნასიონალში") ლუქსემბურგომ მეორეხარისხოვანი კლუბის „ოლარიას" მთავარი მწვრთნელის ასისტენტად დაიწყო მუშაობა.
1989 — სათავეში ჩაუდგა პროვინციულ „ბრაგანტინოს" და კლუბის ისტორიაში პირველად გადაიყვანა პაულისტას (სან პაულუს შტატი) ჩემპიონატის პირველ დივიზიონში.
1990 — „ბრაგანტინოსთან" ერთად მოიგო პაულისტას ჩემპიონატი.
1991 — გადავიდა რიო დე ჟანეიროს „ფლამენგოში".
1992 — დატოვა „ფლამენგო" და ბრაზილიის მეორე გრანდი, სან პაულუს „პალმეირასი" ჩაიბარა, გუნდი, რომელსაც 17 წლის განმავლობაში არც ერთი ტიტული არ მოეპოვებინა.
1993 — „პალმეირასთან" ერთად გაიმარჯვა პაულისტას ჩემპიონატში, ხოლო შემდეგ ბრაზილიის ჩემპიონატის მეორე წრეში.
1994 — გაიმეორა წინა წლის წარმატებები. ამავდროულად, უდისციპლინობის გამო გუნდიდან გაუშვა კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, ექსცენტრიკული ხასიათით ცნობილი ედმუნდო. ლუქსემბურგოს საქციელი „პალმეირასის" ხელმძღვანელობამ არ მოიწონა და მის საქმეებში ცხვირის ჩაყოფაც დაიწყო, რის გამოც მწვრთნელმა კლუბი დატოვა და „ფლამენგოში" დაბრუნდა.
1995 — „ფლამენგოში" გატარებული არცთუ საუკეთესო ექვსი თვის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც მას კიდევ ერთ, უდისციპლინობით განთქმულ ვარსკვლავ რომარიოსთან მოუვიდა კონფლიქტი, ლუქსემბურგო წყვეტს კლუბთან კავშირს და საშუალო დონის ჩრდილო ბრაზილიურ გუნდ „პარანაში" გადადის, ოთხ თვეში კი კვლავ „პალმეირასს" უბრუნდება.
1996 — კვლავ პაულისტას ჩემპიონობა, თანაც „პალმეირასმა" იმ წელს ძალიან ბევრი — 102 გოლის გატანა მოახერხა. მიუხედავად ამისა, მწვრთნელი წლის ბოლოს ხელს აწერს პელეს მშობლიურ გუნდ „სანტოსთან".
1997 — „სანტოსთან" ერთად ვერანაირი ტიტული ვერ მოიპოვა. ტოვებს კლუბს და ბრაზილიაში პოპულარობით მეორე კლუბ („ფლამენგოს" შემდეგ) „კორინთიანსთან" აფორმებს კონტრაქტს.
1998 — „კორინთიანსი" პაულისტას ჩემპიონატის ფინალში გავიდა, მაგრამ იქ „სან პაულუსთან" დამარცხდა. გუნდმა ბრაზილიის ჩემპიონატის ოთხივე საწყისი შეხვედრა მოიგო, რის შემდეგაც ვანდერლეი ლუქსემბურგო ბრაზილიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.

რა შეიძლება ითქვას ვანდერლეი ლუქსემბურგოზე? პირველ ყოვლისა ის, რომ იგი ბრაზილიელთათვის ჩვეული შემტევი ფეხბურთისა და მკაცრი დისციპლინის მქადაგებელია. სწორედ წესრიგის დიდი სიყვარულის გამო ვერ ეგუებოდნენ მას სხვადასხვა კლუბების ხელმძღვანელები — ვანდერლეიმ ხომ ჯერ ედმუნდოს არ აპატია რეჟიმის დარღვევა, ხოლო მერე რომარიო ფარიასის გამოხდომებს აღუდგა წინ. ფეხბურთელობისას იგი ნამდვილად არ ბრწყინავდა, ამიტომ ქვეყნის უპირველესი გუნდის მაისურით ერთხელაც არ უასპარეზია. ბრაზილიაში ლუქსემბურგო მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც მწვრთნელის პროფესიას მოჰკიდა ხელი. იგი დაახლოებით ათი წლის განმავლობაში წვრთნიდა ქვეყნის სხვადასხვა კლუბებს და საკმაოდ შედეგიანადაც. ამ პერიოდში მან რამდენიმე მეტად შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი გუნდის შექმნა მოასწრო, რომელთა შორის მაინც „პალმეირასი" გამოირჩეოდა. უამრავი ტიტულის გარდა, კლუბში ლუქსემბურგოს მოღვაწეობის დროს, კერძოდ კი ორი წლის წინ, „პალმეირასმა" მართლაც ფენომენალური შედეგი აჩვენა, როდესაც 30 თამაშში 102 გოლის გატანა მოახერხა. მწვრთნელმა რამდენიმე ცნობილი ფეხბურთელის ჩამოყალიბებაშიც შეიტანა თავისი წვლილი. საკმარისია აღინიშნოს „ბარსელონას" ლიდერი რივალდო, „ფიორენტინაში" მოთამაშე, გაუწონასწორებელი ხასიათით ცნობილი, „მხეცად" წოდებული ედმუნდო, რომელთანაც ოთხი წლის წინ ლუქსემბურგოს კონფლიქტი მოუვიდა, აგრეთვე მისი ამჟამინდელი კლუბის — „კორინთიანსის" თავდამსხმელი, მარსელინიო კარიოკა. მან ბოლო ოთხ თამაშში შვიდჯერ დალაშქრა მეტოქეთა კარი.

ზემოხსენებულ პრესკონფერენციაზე, რომელიც ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის შტაბ-ბინაში გაიმართა, ტეშეირამ ისიც აღნიშნა, რომ ლუქსემბურგო წლის ბოლომდე უხელმძღვანელებს „კორინთიანსს", რის შემდეგაც საბოლოოდ ჩაებმება ახალ საქმიანობაში. როდესაც ახალდანიშნულ მწვრთნელს ჟურნალისტებმა სამომავლო გეგმებზე ჰკითხეს, მან უპასუხა: „პირველ ყოვლისა ჩვენ, ის ხალხი, ვისაც ბრაზილიურ ფეხბურთზე ზრუნვა ევალება, ერთად უნდა დავსხდეთ, ყველაფერზე შევთანხმდეთ და ერთი, საუკეთესო გეგმა უნდა შევიმუშაოთ. ჯერჯერობით მეტს ვერაფერს



REUTERS სან პაულუდან

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა რიკარდო ტეშეირამ (მარცხნივ) ჟურნალისტებს ნაკრების ახალი მწვრთნელი ვანდერლეი ლუქსემბურგო წარუდგინა

ვიტყვი, მე ხომ ნაკრების თავკაცად ეს წუთია, დამამტკიცეს. ისე კი უნდა გითხრათ, რომ გუნდში ყველა ის ფეხბურთელი ითამაშებს, ვინც მოცემულ მომენტში საუკეთესო ფორმაშია იქნება და საერთოდ, შევეცდები ბრაზილიელთათვის დამახასიათებელი ნიჭი, ტექნიკური არსენალი და კვალიფიკაცია მაქსიმალურად გამოვიყენო".

ახლა კი, ალბათ, ურიგო არ იქნება, ვანდერლეი ლუქსემბურგოს შესახებ სხვათა აზრი გავიგოთ. უპირველესად 1994 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატი საუკეთესო ფეხბურთელ, რომარიოს მოვუსმინოთ, რომელთანაც ახალ მწვრთნელს იდეალური ურთიერთობა ნამდვილად არა აქვს — ამის მიზეზი მათ შორის 1995 წელს მომხდარი ინციდენტია, როცა ლუქსემბურგო „ფლამენგოს" თავკაცობდა, ხოლო რომარიო კლუბის ლიდერი იყო: „ჩემთვის ლუქსემბურგოს ნაკრების თავკაცად დანიშვნა შესანიშნავი სიახლეა, რადგან ვიცი, რომ თუ ფორმაში ვიქნები, ბევრ გოლს გავიტან და „ფლამენგოს" გაჩემპიონებაში დავეხმარები, იგი აუცილებლად ამიყვანს ნაკრებში". ამის თაობაზე აზრი თავად ლუქსემბურგომაც გამოთქვა: „ამ წუთისთვის რომარიოს ქვეყნის მთავარ გუნდში მიწვევა მხოლოდ და მხოლოდ ჰიპოთეზაა".

ფედერაციის გადაწყვეტილებამ მეტად გაახარა ლუქსემბურგოს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფავორიტი, მარსელინიო კარიოკა, რომელსაც ნაკრებში მხოლოდ ერთი შეხვედრა აქვს ჩატარებული: „ეს შესანიშნავი არჩევანია, უკეთესს კაცი ვერც ინატრებდა. ვანდერლეი ძლიერი პიროვნებაა, კომპეტენტური, გამოცდილი და საუცხოო მწვრთნელი".

მოკლედ, მსოფლიოს ოთხ-ოთხგზის ჩემპიონების, მარიო ზაგალოსა და ბრაზილიის ნაკრების თანამშრომლობა დასრულდა. იწყება ახალი ერა, რომელსაც საფეხბურთო სამყაროში არცთუ ცნობილი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვანდერლეი ლუქსემბურგო უნდა გაუძღვეს. როგორ შეძლებს იგი ამას, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ახალწვეულ მწვრთნელს მეტად გაუჭირდება. ბრაზილიელი გულშემატკივრები ხომ თავის კერპთაგან მხოლოდ ერთს — ჩემპიონობას მოითხოვენ.

**დავით ძოწზირიძე**

# ბიშოვეცი მუშაობას შეუდგა

რუსულ ფეხბურთში ამ ბოლო ხანს მომხდარი ძირფესვიანი ცვლილებების შესახებ ადრეც ვიუწყებოდით. წლების განმავლობაში ეროვნული ნაკრების წარუმატებელი გამოსვლის ამბავი თვით ქვეყნის პრეზიდენტის ყურამდე მივიდა და ამ უკანასკნელის ბრძანების თანახმად რუსული სპორტის მამებმა გვარიან საკადრო რეფორმებს მიმართეს, რის შედეგადაც რამდენიმე მნიშვნელოვან პოსტთან ერთად გაირკვა ყველაზე საპატიო — ქვეყნის პირველი ნაკრების თავკაცის ვინაობა. ორიოდე კვირის წინ გუნდის ხელმძღვანელად დანიშნული ანატოლი ბიშოვეციც დაუფიქრებლად, ხელებდაკაპიწებული შეუდგა მძიმე საქმიანობას.

ᲐᲚᲖᲔᲕᲚᲜᲔᲜ ნირედხაზა, დუნაფერი, კერულეტი, სეკეშფეხერვარი

ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲘ ტიბორი (გაზერი) — 20

ᲗᲐᲡᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ მტკ — უპეშტი 1:0

## შვედეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 26 | 17 | 1 | 8 | 49:27 | 52 |
| გეტებორგი | 26 | 14 | 7 | 5 | 50:32 | 49 |
| მალმიო | 26 | 12 | 10 | 4 | 48:28 | 46 |
| ერებრუ | 26 | 13 | 7 | 6 | 43:34 | 46 |
| ორგრიტე | 26 | 12 | 7 | 7 | 34:29 | 43 |
| ჰელსინგბორგი | 26 | 10 | 11 | 5 | 40:28 | 41 |
| ოლფსბორგი | 26 | 12 | 5 | 9 | 45:35 | 41 |
| აიკი | 26 | 9 | 10 | 7 | 38:26 | 37 |
| ნორჩეპინგი | 26 | 7 | 7 | 12 | 27:36 | 28 |
| ტრელებორგი | 26 | 8 | 4 | 14 | 32:48 | 28 |
| ესტერი | 26 | 4 | 11 | 11 | 28:44 | 23 |
| ვესტეროსი | 26 | 6 | 5 | 15 | 26:49 | 23 |
| დეგერფორსი | 26 | 4 | 8 | 14 | 29:47 | 20 |
| იუნგშილე | 26 | 5 | 5 | 16 | 31:57 | 20 |

ᲒᲐᲕᲐᲠᲓᲜᲔᲜ ვესტეროსი, დეგერფორსი, იუნგშილე

ᲐᲚᲖᲔᲕᲚᲜᲔᲜ ვასტრა ფრელუნდა, ჰამარბიუ, ჰეკენი

ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲔᲑᲘ მატიასონი (ოლფსბორგი), ლილენბერგი (ჰალმსტადი), სალინი (ერებრუ) — 14

ᲗᲐᲡᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ორგრიტე — ჰელსინგბორგი 1:1, 1:1 (3:03)

## შოტლანდია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 36 | 22 | 8 | 6 | 64:24 | 74 |
| რეინჯერსი | 36 | 21 | 9 | 6 | 76:38 | 72 |
| ჰართსი | 36 | 19 | 10 | 7 | 70:46 | 67 |
| კილმარნოკი | 36 | 13 | 11 | 12 | 40:52 | 50 |
| სტ. ჯონსტონი | 36 | 13 | 9 | 14 | 38:42 | 48 |
| აბერდინი | 36 | 9 | 12 | 15 | 39:53 | 39 |
| დანდი იუნ. | 36 | 8 | 13 | 15 | 43:51 | 37 |
| დანფერმლაინი | 36 | 8 | 13 | 15 | 43:68 | 37 |
| მოზერველი | 36 | 9 | 7 | 20 | 46:64 | 34 |
| ჰიბერნიანი | 36 | 6 | 12 | 18 | 38:59 | 30 |

ᲒᲐᲕᲐᲠᲓᲐ ჰიბერნიანი

ᲐᲚᲖᲔᲕᲚᲐ დანდი

ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲘ ნეგრი (რეინჯერსი) — 32

ᲗᲐᲡᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ჰართსი — რეინჯერსი 2:1

## ჩეხეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 30 | 22 | 5 | 3 | 52:19 | 71 |
| სლავია | 30 | 17 | 8 | 5 | 42:22 | 59 |
| სიგმა | 30 | 16 | 7 | 7 | 38:21 | 55 |
| ბანიკი | 30 | 13 | 11 | 6 | 51:35 | 50 |
| სლოვანი | 30 | 13 | 8 | 9 | 39:32 | 47 |
| იაბლონეცი | 30 | 12 | 10 | 8 | 47:33 | 46 |
| ტეპლიცე | 30 | 10 | 10 | 10 | 36:30 | 40 |
| ვიქტორია (ჟ) | 30 | 11 | 6 | 13 | 26:34 | 39 |
| პეტრა | 30 | 10 | 8 | 12 | 35:43 | 38 |
| ბობი | 30 | 10 | 7 | 13 | 42:42 | 37 |
| კაუჩუკი | 30 | 8 | 10 | 12 | 33:37 | 34 |
| ჰრადეც-კრალოვე | 30 | 8 | 10 | 12 | 25:36 | 34 |
| ვიქტორია (პ) | 30 | 9 | 6 | 15 | 37:47 | 33 |
| დუკლა | 30 | 9 | 6 | 15 | 37:50 | 33 |
| ჩესკე | 30 | 8 | 7 | 15 | 26:43 | 31 |
| ლაჟნე | 30 | 2 | 5 | 23 | 18:61 | 11 |

ᲒᲐᲕᲐᲠᲓᲜᲔᲜ ჩესკე-ბუდეოვიცე, ლაჟნე-ბოგდანეცი

ᲐᲚᲖᲔᲕᲚᲜᲔᲜ ხმელი, კარვინა

ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲘ ზიგლი (სპარტა) — 13

ᲗᲐᲡᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

პეტრა — იაბლონეცი 1:2

## ჩრდ. ირლანდია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კლიფტონვილი | 36 | 20 | 8 | 8 | 49:37 | 68 |
| ლინფილდი | 36 | 17 | 13 | 6 | 50:19 | 64 |
| გლენტორანი | 36 | 18 | 8 | 10 | 54:33 | 62 |
| პორტდაუნი | 36 | 16 | 9 | 11 | 49:40 | 57 |
| კრუზეიდერსი | 36 | 13 | 12 | 11 | 51:51 | 51 |
| ბალიმენა | 36 | 14 | 9 | 13 | 54:55 | 51 |
| ქოლრეინი | 36 | 11 | 11 | 14 | 44:49 | 44 |
| გლენავონი | 36 | 8 | 13 | 15 | 49:59 | 37 |
| ომაგ თაუნი | 36 | 7 | 10 | 19 | 43:68 | 31 |
| არდსი | 36 | 4 | 11 | 21 | 31:63 | 23 |

ᲒᲐᲕᲐᲠᲓᲐ არდსი

ᲐᲚᲖᲔᲕᲚᲐ ნური თაუნი

ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲘ არკინსი (პორტდაუნი) — 22

ᲗᲐᲡᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

გლენტორანი — გლენავონი 1:0

## ხორვატია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1-6 ადგილებისთვის | | | | | | |
| კროაცია | 10 | 7 | 3 | 0 | 28:10 | 49 |
| ჰაიდუკი | 10 | 4 | 2 | 4 | 17:16 | 36 |
| ოსიეკი | 10 | 5 | 1 | 4 | 13:12 | 32 |
| დრაგოვოლიაცი | 10 | 4 | 2 | 4 | 7:12 | 32 |
| ზაგრები | 10 | 2 | 3 | 5 | 16:16 | 30 |
| ზადარკომერცი | 10 | 2 | 1 | 7 | 11:26 | 21 |
| 7-12 ადგილებისთვის | | | | | | |
| რიეკა | 10 | 4 | 3 | 3 | 16:13 | 28 |
| სლავენი | 10 | 5 | 0 | 5 | 11:13 | 27 |
| შიბენიკი | 10 | 5 | 3 | 2 | 16:8 | 27 |
| ვარტექსი | 10 | 4 | 2 | 4 | 10:12 | 26 |
| მლადოსტი | 10 | 4 | 1 | 5 | 13:11 | 25 |
| სამობორი | 10 | 3 | 1 | 6 | 11:20 | 21 |

ᲒᲐᲕᲐᲠᲓᲐ სამობორი

ᲐᲚᲖᲔᲕᲚᲐ ციბალია

ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲘ ბატურინა (ზაგრები) — 19

ᲗᲐᲡᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ვარტექსი — კროაცია 0:1, 1:2

## ჰოლანდია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 34 | 29 | 2 | 3 | 112:22 | 89 |
| ეინდჰოვენი | 34 | 21 | 9 | 4 | 95:44 | 72 |
| ვიტესი | 34 | 21 | 7 | 6 | 85:48 | 70 |
| ფეიენოორდი | 34 | 18 | 7 | 9 | 62:39 | 61 |
| ტილბურგი | 34 | 17 | 4 | 13 | 66:58 | 55 |
| ჰერენვენი | 34 | 16 | 7 | 11 | 56:59 | 55 |
| სიტარდი | 34 | 14 | 6 | 14 | 51:53 | 48 |
| ნაიმეგენი | 34 | 14 | 2 | 18 | 39:57 | 44 |
| ტვენტე | 34 | 11 | 10 | 13 | 41:42 | 43 |
| უტრეხტი | 34 | 13 | 4 | 17 | 56:64 | 43 |
| გრააფსხაპი | 34 | 11 | 9 | 14 | 45:49 | 42 |
| ბრედა | 34 | 12 | 6 | 16 | 41:49 | 42 |
| სპარტა | 34 | 10 | 11 | 13 | 50:59 | 41 |
| როდა | 34 | 10 | 8 | 16 | 44:45 | 38 |
| მაასტრიხტი | 34 | 9 | 5 | 20 | 35:75 | 32 |
| ვალვაიკი | 34 | 8 | 7 | 19 | 48:71 | 31 |
| გრონინგენი | 34 | 7 | 10 | 17 | 42:65 | 31 |
| ვოლენდამი | 34 | 5 | 6 | 23 | 33:102 | 21 |

ᲒᲐᲕᲐᲠᲓᲜᲔᲜ ვოლენდამი, გრონინგენი

ᲐᲚᲖᲔᲕᲚᲜᲔᲜ აზ 67, კამბური

ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲘ მახლასი (ვიტესი) — 34

ᲗᲐᲡᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

აიაქსი — ეინდჰოვენი 5:0

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. I ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 აგვისტო | | | |
| დუისბურგი — აინტრახტი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| შტუტგარტი — დორტმუნდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 15 აგვისტო | | | |
| ვოლფსბურგი — ბაიერნი | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| ნიურნბერგი — ჰამბურგი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| მიუნხენი — კაიზერსლაუტერნი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ლევერკუზენი — ჰანზა | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ბოხუმი — ფრაიბურგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| მიონხენგლადბახი — შალკე | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 16 აგვისტო | | | |
| ჰერტა — ვერდერი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. IV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 აგვისტო | | | |
| ბერლინი — ფორტუნა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 16 აგვისტო | | | |
| ვატენშაიდი — კოტბუსი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ფიურტი — ობერჰაუზენი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| უნტერჰახინგი — ჰანოვერი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| კიოლნი — ულმი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| არმინია — მაინცი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| კიკერსი — დიუსელდორფი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ურდინგენი — გიუტერსლო | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 17 აგვისტო | | | |
| კარლსრუე — ზანქტ პაული | 1,7 | 3,1 | 4,4 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. III ტური.

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 აგვისტო | | | |
| გიუტერსლო — უნტერჰახინგი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| კოტბუსი — ფიურტი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| მაინცი — კარლსრუე | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ზანქტ პაული — ვატენშაიდი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ულმი — არმინია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| დიუსელდორფი — ურდინგენი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### ინგლისის ჩემპიონატი, პრემიერლიგა. I ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 აგვისტო | | | |
| ბლექბერნი — დერბი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ქოვენთრი — ჩელსი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ევერტონი — ასტონ ვილა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| მანჩესტერი — ლესტერი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| მიდლსბრო — ლიდსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ნიუკასლი — ჩარლტონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| შეფილდ უენსდეი — ვესტ ჰემი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| უიმბლდონი — ტოტენჰემი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 16 აგვისტო | | | |
| საუთჰემპტონი — ლივერპული | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 17 აგვისტო | | | |
| არსენალი — ნოტინგემი | 1,2 | 5,0 | 9,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. II ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 აგვისტო | | | |
| ბოლტონი — გრიმსბი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ქრიუ — ბარნსლი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ჰადერსფილდი — პორტველი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| იფსვიჩი — ბერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| ოქსფორდი — ვულვერჰემპტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ქუინზ პარკი — ბრისტოლი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| სტოკპორტი — ნორვიჩი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| სვინდონი — სანდერლენდი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ტრანმერი — პორტსმუთი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| უოტფორდი — ბრედფორდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ვესტ ბრომვიჩი — შეფილდ იუნაიტედი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. II ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 აგვისტო | | | |
| დანფერმლაინი — დანდი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| რეინჯერსი — მოზერველი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| სტ. ჯონსტონი — კილმარნოკი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 16 აგვისტო | | | |
| აბერდინი — სელტიკი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| დანდი იუნაიტედი — ჰართსი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. II ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 აგვისტო | | | |
| ლე ავრი — ბორდო | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| მონაკო — სოშო | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ლანსი — ლორიანი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ლიონი — ტულუზი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| პსჟ — ბასტია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ნანტი — სტრასბური | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ოსერი — ნანსი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| მონპელიე — რენი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| მეცი — მარსელი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### რუსეთის ჩემპიონატი. XXI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 აგვისტო | | | |
| დინამო — როტორი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ლოკომოტივი — შინიკი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ზენიტი — ჩერნომორეცი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| კრ. სოვეტოვი — ტიუმენი | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| ალანია — ცსკა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ჟემჩუჟინა — ტორპედო | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ბალტიკა — როსტსელმაში | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 16 აგვისტო | | | |
| ურალანი — სპარტაკი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

### თურქეთის ჩემპიონატი. II ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 აგვისტო | | | |
| გაზიანთეფი — საქარია | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| ერზურუმი — ადანა | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ისთანბული — სამსუნი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ქოჯაელი — ქარაბუქი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ალთაი — ტრაბზონი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| ანთალია — ბეშიქთაში | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| ანკარაგიუჯუ — დარდანელი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| ბურსა — გალათასარაი | 4,7 | 3,3 | 1,6 |
| ფენერბაჰჩე — გენჩლერბირლიგი | 1,2 | 5,0 | 9,0 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. V ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 აგვისტო | | | |
| აუსტრია — ზალცბურგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| რიდი — ლუსტენაუ | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| შტაირი — ლინცერი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| შტურმი — გრაცერი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ტიროლი — რაპიდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. VI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 აგვისტო | | | |
| ლუცერნი — ლუგანო | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| სერვეტი — სტ. გალენი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ბაზელი — ქსამაქსი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| სიონი — იანგ ბოისი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 16 აგვისტო | | | |
| არაუ — ლოზანა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ციურიხი — გრასჰოპერი | 5,0 | 3,2 | 1,6 |

### თასების თასის საკვალიფიკაციო ეტაპი.

13 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რუდარი (სლოვენია) — კონსტრუქტორული (მოლდოვა) | (1,4-2,3) | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| ვადუცი (ლიხტენშტაინი) — ჰელსინბორგი (შვედეთი) | (50,0-—) | 5,0 | 7,0 | 1,05 |
| ლოზანა (შვეიცარია) — ცემენტი (სომხეთი) | (1,05-7,5) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| კორკ სიტი (ირლანდია) — ცსკა (უკრაინა) | (3,5-1,2) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ეკრანასი (ლიტვა) — აპოლონი (კვიპროსი) | (2,0-1,5) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| აპოლონია (ალბანეთი) — გენკი (ბელგია) | (7,5-1,05) | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| ბანგორი (უელსი) — ჰაკა (ფინეთი) | (3,5-1,2) | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ლევსკი (ბულგარეთი) — ვიტებსკი (ბელარუსი) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ლიეპაია (ლატვია) — კეფლავიკი (ისლანდია) | (2,5-1,35) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| გრევენმახერი (ლუქსემბურგი) — რაპიდი (რუმინეთი) | (7,5-1,05) | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| ლანტანა (ესტონეთი) — ჰართსი (შოტლანდია) | (7,5-1,05) | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| ამიცა (პოლონეთი) — ჰიბერნიანი (მალტა) | (1,05-7,5) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| გოტუ (ფარერები) — მტკ (უნგრეთი) | (15,0-1,01) | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| გლენტორანი (ჩრ. ირლანდია) — მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) | (5,0-1,1) | 3,5 | 3,0 | 1,9 |
| ვარდარი (მაკედონია) — სპარტაკი (სლოვაკეთი) | (2,3-1,4) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ყარაბახი (აზერბაიჯანი) — კოპენჰაგენი (დანია) | (15,0-1,01) | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| პარტიზანი (იუგოსლავია) — ბათუმი (საქართველო) | ანგარიში — 5.0 | | | |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ** — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან; №2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; №67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი.

**ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში;

**ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

**ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲨᲘ** — კინოთეატრი „რუსთაველი"; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

# ვითა მიზანს არ იცვლის
## თუმცა სხვაგვარად ფიქრობს

**საქართველოს ჩემპიონატის დაწყებამდე უფრო და უფრო ცოტაღა რჩება, ჩვენი გუნდებიც შეძლებისდაგვარად ემზადებიან მერვე ჩემპიონატში ჩასაბმელად. კეჩხობური შეკრებიდან დაბრუნდა ქვეყნის ექვსგზის ჩემპიონი „ვითა“ და როგორც მოსალოდნელი იყო, გუნდში ცვლილებებიც მოხდა. დავინტერესდით ამ სიახლეებით და კლუბის პრეზიდენტს თემურ დათიკაშვილს გავესაუბრეთ.**

— კეჩხობში ჩვენი შეკრება უკვე ტრადიციად იქცა, რამდენიმე ზაფხულია, „ვითა“ სწორედ აქ გადის სეზონისწინა მზადებას. კეჩხობში სავარჯიშოდ მშვენიერი პირობებია, არც ყურადღებას გვაკლებენ. ეს შეკრებაც ნაყოფიერი გამოდგა.


თემურ დათიკაშვილი

**— გავიგეთ, გუნდში ცვლილებებია.**

— სტუ-ში წავიდნენ მიქაძე, ლოსაბერიძე და ტულუში, დამატებით კი ახალკაცი და მუშკუდიანი დავიმატეთ. ახალგაზრდული ნაკრებიდან ორი-სამი ტანმაღალი კალათბურთელის მოყვანასაც ვგეგმავთ. დაცვაში საკმაოდ ძლიერი მოთამაშეები გვყავს და კარგი იქნება, თავდასხმის პრობლემასაც თუ მოვაგვარებთ.

**— ამასწინათ განაცხადეთ, თბილისში საერთაშორისო ტურნირის გამართვა გვსურსო.**

— მოგეხსენებათ, მალე ევროტურნირები დაიწყება. ევროპის ძლიერი კლუბები სწორედ სექტემბრისთვის გეგმავენ ამხანაგურ მატჩებს და მათი თბილისში ჩამოსვლა ამ გარემოებამ შეაფერხა. სამაგიეროდ, დავუკავშირდით თელ ავივის „მაკაბის“ და თანხმობაც მივიღეთ. ებრაელები სექტემბერში გვეწვევიან და საკმაოდ საინტერესო თამაში გველის ამ მართლაც ძლიერ კლუბთან.

**— ახლა ჩვენს ჩემპიონატზეც ვთქვათ.**

წინა ჩემპიონატი ადრინდელებზე შედარებით უკეთესი იყო — გუნდები ძალით თითქმის გათანაბრდნენ, ასე რომ პროგნოზის გაკეთებაც გართულდა. მეშვიდე ჩემპიონატის პლეი ოფის ფინალური სერია საკმაოდ დაძაბულად ჩატარდა და სანახაობრივი თვალსაზრისით დასაწუნი ნამდვილად არ იყო, სამწუხაროდ, ჩემპიონატის მსვლელობის დროს რამდენჯერმე დაირღვა დებულება, გავიხსენოთ თუნდაც ის, რომ ფინალი ოთხ მოგებამდე უნდა გამართულიყო. ეს ყოველივე კი მოთამაშეთა განწყობასაც აქვეითებს და მათი მზადყოფნის ხარისხსაც.

როცა მთელს ევროპაში გახურებული საკალათბურთო სეზონია, ჩვენში სამთვიანი შესვენებაა და შემდეგ გაყინულ დარბაზებში გვიწევს თამაში, რაც ყოვლად გაუმართლებელია. ალბათ ამასაც მალე მოეღება ბოლო. მოსალოდნელია კარს მომდგარ ჩემპიონატზე ათმა გუნდმა ითამაშოს. მატჩები მხოლოდ შაბათ-კვირას ჩატარდეს, „აზოტმა“ საკუთარ მოედანზე იასპარეზოს, თუ, რა თქმა უნდა, რუსთავის დარბაზი დააკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს. ყოველივე ეს, რასაკვირველია, სასიკეთო საქმეა. ბოლოს და ბოლოს, გუნდებმა გასვლითი თამაშებიც ხომ უნდა ითამაშონ? ჩემპიონატიც ტურნირს აღარ ემსგავსება.

**— რამდენად წაადგება ჩემპიონატის ჩატარების ეს ფორმა ეროვნულ გუნდს?**

— ამის თაობაზე საკუთარი შეხედულება გამაჩნია. ფედერაციის აღმასკომის ბოლო სხდომის დიდი ნაწილი სწორედ ამ საკითხს დაეთმო. ნაკრების ხელმძღვანელებს სურთ, რომ კვირაში ორჯერ, სამშაბათს და ხუთშაბათს ეროვნული გუნდის ვარჯიშის საშუალება მიეცეთ, რაც, ჩემი აზრით, დაუშვებელია. ეს ხომ ნაკრების წევრთათვის დიდი დატვირთვა იქნება, წარმოიდგინეთ, შაბათ-კვირას თამაში, შემდეგ ერთი დღე დასვენება და მერე ნაკრების ვარჯიში დღეგამოშვებით. ეს სწორედ იმ გუნდებზე იმოქმედებს უარყოფითად, რომლებშიც ნაკრების წევრები არიან თავმოყრილნი. ან სად გინახავთ, რომელიმე კლუბი მოთამაშეს კვირაში ორჯერ ნაკრებში უშვებდეს. ასე არცერთ ქვეყანაში არ ხდება. ჩვენ თანახმანი ვართ, ჩვენი კლუბელი ნაკრების წევრები ეროვნული გუნდის თამაშამდე ორი კვირით ადრე გავუშვათ ნაკრების შეკრებაზე, რაც გუნდისთვისაც მისაღები იქნება და ნაკრებისთვისაც.

**— მერვე ჩემპიონატში რას ისახავთ მიზნად?**

— იმედი მაქვს, ახალ ჩემპიონატში მეტი კარგი გუნდი მიიღებს მონაწილეობას და ჩვენც ვეცდებით, გულშემატკივრებს ლამაზი, სანახაობრივი კალათბურთი ვაჩვენოთ. „ვითა“ ხომ საქართველოს ექვსგზის ჩემპიონია და ახლაც უძლიერესის წოდებისთვის იბრძოლებს.

**ზურაბ გონაშვილი**

# ბედს აქ რა უნდა? შორსაა...


დავით თორთლაძე

რაც დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდები — ჩვენში კალათბურთი აღარავის უნდა. ძალიანაც არ მინდა დავიჯერო, ძალიანაც მწყდება გული, არც ის მინდა ხმამაღალ ნათქვამში ჩამითვალოს ვინმემ, მაგრამ... ერთის თქმა დაბეჯითებით შეიძლება — სულ უკან და უკან მივდივართ. ასე თუ გაგრძელდა, მალე სულ არაფრის მქონეებად ვიქცევით და ჩვენი საშველიც აღარ იქნება.

ჩვენი ჩემპიონატი ჩემპიონატს არ ჰგავს, ნაკრები — ნაკრებს, ფედერაცია — ფედერაციას. მიზეზი? — უფულობა.

კი, ბატონო, მესმის, რომ ქართველები ნიჭიერები ვართ. ბავშვთა საკალათბურთო ლიგა ტალანტებმა წალეკაო, ამბობენ. გეთანხმებით, ამაში ძნელად თუ შეგვედრება ქვეყნად ვინმე, მაგრამ, ისიც ხომ ფაქტია, რომ ეროვნულ პირველობაზე რბენა ერთგვარად წყლის ნაყვას დამსგავსებია და ყველა იმას ცდილობს, როგორმე აქაურობას გაეცალოს.

სად და როგორ წავა, ეს უკვე სხვა ამბავია, ამას არად დაგიდევენ.

დავით თორთლაძე, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურაა თავისი თაობის კალათბურთელთა შორის. სხარტი აზროვნება, სისწრაფე, იმპროვიზაციის უნარი, — სწორედ ეს თვისებები გამოარჩევს დათოს სხვათაგან. სულ ნორჩმა დააჭაშნიკა ოდინდელი თბილისის „დინამოს“ მაისური, სპეციალისტების ყურადღებაც იმთავითვე მიიპყრო. ეს ბიჭი დიდ კალათბურთს ითამაშებსო — გაიგონებდით კულუარებში...

...დრო კი გადის. სადღაა დათოს სინორჩე. გაილია ყმაწვილკაცური ლაღობის ჟამიც და რა ხანია დროა, თავისი სიტყვა თქვას ქართულ კალათბურთში. მე ამის მჯერა!

სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო, ნათქვამია. ჰოდა, დათომაც სასურველი გუნდის ძიებაში თურქეთის მეორე ლიგის კლუბ „ემლაკბანკში“ ამოჰყო თავი. კარგადაც მოწყობილა, გუნდსაც შეგუებია და კმაყოფილიც დარჩენილა.

ვნახოთ და ვისურვოთ: იქნებ სწორედ თურქული „ემლაკბანკი“ იქცეს დავით თორთლაძის მომავალი წარმატების საწინდრად.

**გიორგი გიკაშვილი**

# უსტიაშვილი იქაც და აქაც

საქართველოს ნაკრების მცველზე დავით უსტიაშვილზე „სარბიელის“ მკითხველს კარგა ხანია არაფერი სმენია.

საკალათბურთო სიახლეებით დაინტერესებულებმა დიღმის საწვრთნელ ბაზას იქ მოვარჯიშე დათოს სანახავადაც მივაშურეთ.

**— წინა სეზონში არსად ჩანდი.**

— რამდენიმე წელია, საბერძნეთში ვთამაშობ, სალონიკის კლუბ „ფილიპოსში“. ეს გუნდი მეორე ლიგაში გამოდის. კარგი გუნდია, ადრე პირველ, ჩვენებურად უმაღლეს ჯგუფში ასარეზობდა. დიდი შანსი გვქონდა, ამჯერადაც გადავსულიყავით, მთელი ჩემპიონატის მანძილზე ვლიდერობდით, მაგრამ ბედმა ბოლოს გვიმუხთლა და მესამე ადგილზე დავრჩით.

**— ამ გუნდთან რამდენწლიანი კონტრაქტი გაკავშირებს?**

— 93-ში „ფილიპოსთან“ ხუთწლიან კონტრაქტზე მოვაწერე ხელი, რასაც ახლა ნამდვილად მცდარ ნაბიჯად ვთვლი. უბრალოდ, მაშინ ჩვენთან ისეთი ქაოსური მდგომარეობა იყო, მოთამაშეებს უცხოეთში წასვლა ოცნებად ჰქონდათ გადაქცეული.

**— შეგატყვე, ფეხი გაწუხებს.**

— მუხლის ტკივილმა გამაწამა. ჯერ ყურადღება არ მივაქციე, მაგრამ მერე გაირკვა, რომ საოპერაციო ვიყავი. მენისკის ოპერაცია თბილისში გავიკეთე, ამჟამად მსუბუქად ვვარჯიშობ, ორ-სამ კვირაში კი ალბათ სრულად დავიტვირთები.

**— საბერძნეთის მეორე და ჩვენი უმაღლესი ლიგები რომ შევადაროთ...**

— ბერძნების მეორე ლიგა გაცილებით მაღალი დონისაა. იქ ყველა, აუტსაიდერიც კი, განსაკუთრებით შინ, თავდაუზოგავად იბრძვის, მეტოქე თუნდაც ლიდერი იყოს. იშვიათად, გუნდმა 50 ან 60 ქულის სხვაობით აჯობოს მოწინააღმდეგეს. მოკლედ, იქ ნამდვილი პროფესიონალები თამაშობენ მართლაც პროფესიულ გარემოში.

**— შენს მიზნებზე რას იტყვი? რას აპირებ უახლოეს მომავალში?**

— ჯერჯერობით „ფილიპოსთან“ კონტრაქტი ისევ ძალაშია. ამ გუნდის ხელმძღვანელებთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა მაქვს, რამაც განაპირობა კიდეც, ერთი სეზონი „ვათაში“ თამაშის უფლება რომ მომცეს. ამჯერადაც საქართველოში მინდა დავრჩე და რომელიმე გუნდში გავაგრძელო თამაში.

**ზურაბ გონაშვილი**


დავით უსტიაშვილი



# „ომეგა“ მყინვარწვერით იწყებს, მთამსვლელები კი ეკლესიით

ქართველი მთამსვლელების: გია თორთლაძის, გელა ოთარაშვილის, დავით ჩანტლაძის, ბიძინა გუჯაბიძის, გივი გიგაურის, ზურაბ კუჭავას და მერაბ ნემსიწვერიძის განზრახვის თაობაზე უკვე გაუწყეთ. რამდენიმე სიტყვით გაგაცანით ჰიმალაის ერთ-ერთი რვაათასიანი მწვერვალი მანასლუც (8156 მ), სადაც ისინი სექტემბერში აპირებენ ასვლას, მანამდე კი ჩვენს მთამსვლელებს საამისოდ დიდი სამზადისი აქვთ. მათი ნაწილი სვანეთის მწვერვალებზე აწყობს სავარჯიშო ასვლებს, ნაწილი კი „ხევის პატარძალ“ მყინვარწვერზეა, ზოგიც მოსკოვში დარბის საჭურველის შესაძენად, სხვა კი თბილისში აგვარებს საორგანიზაციო საკითხებს.

ყოველივე ამის თაობაზე ვესაუბრეთ ექსპედიციის მეთაურს გია თორთლაძეს.


გია თორთლაძე: ისევ ჰიმალაისკენ!

— საქმე ისაა, რომ მაღალ რვაათასიანებზე ასასვლელად ჟანგბადის ბალონებიც დაგვჭირდებოდა, რაც ექსპედიციას გააძვირებდა. ამასთან, მანასლუს ძირამდე ასვლა, სხვა რვაათასიანებთან შედარებით, ნაკლებ ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს, რაკი იქამდე შედარებით ნაკლები სასიარულოა. ასე რომ, ყველაფერი მაინც ჯიბეზეა დამოკიდებული.

**— ეს ნაკლები სასიარულო მაინც რამდენია?**

— ნეპალის დედაქალაქ კატმანდუდან ავტომობილებით გავემგზავრებით გცერკჰამდე, იქიდან კი 5000 მეტრის სიმაღლემდე შვიდდღიანი ქვეითი ლაშქრობა მოგვიწევს ალბათ 55-60 მებარგულთან ერთად, რომლებსაც იქვე დავიქირავებთ. თუმცა, შესაძლოა კატმანდუდან სოფელ სამამდე, რომელიც მანასლუსკენ მიმავალ გზაზე ბოლო სოფელია, იქნებ შვეულმფრენითაც გადავფრინდეთ. შვეულმფრენისა და მზიდავების დაქირავება თითქმის ერთი ფასი ჯდება. მაგრამ საკლიმატიზაციოდ ქვეითი ლაშქრობა სჯობს. ვნახოთ, ყველაფერს ადგილზე გადავწყვეტთ.

**— 1995 წელს, როცა პირველმა ჰიმალაურმა ქართულმა ექსპედიციამ წარმატებით დალაშქრა დედამიწის თოთხმეტიდან ერთ-ერთი რვაათასიანი პიკი დჰაულაგირი (8267 მ), მას შემდეგ ამბობდით, რომ მომავალში მეორე ასეთი ექსპედიცია ანაპურნაზე მოეწყობაო, ამიტომ მანასლუზე ასვლის დაგეგმვა თქვენგან მოულოდნელი გადაწყვეტილებად გვესახება.**

— ანაპურნაზე კლასიკური მარშრუტით გვსურდა ლაშქრობა, მაგრამ მას მერე ამ მწვერვალის ზედა ნაწილზე მდებარე უზარმაზარი მყინვარი დაიძრა. იგი ფერდობზე გადმოეკიდა და ნახევრადგახლეჩილი როდის გადმოინგრევა მთლიანად, ღმერთმა უწყის. თუმცა, მყინვარის მოძრაობის გამო მისი ვეება ნამსხვრევები მაინც დროდადრო ცვივა და ზედ საბაზო ბანაკამდე იჟრება. ამის გამო თოვლის ზვავებიც გახშირდა. ასეთ პირობებში იქ ასვლაზე ფიქრი სიგიჟეა. ზვავში, ყინულცვენასა და ქვათაცვენაში მოხვედრილი მთამსვლელი უძლურია. მასში მოყოლილ კაცს ვერანაირი ოსტატობა ვერ უშველის, თუ განგებამ არ ინება. იგივე მდგომარეობაა ანაპურნას სხვა მარშრუტზეც. ამიტომ იქ არაერთი მთამსვლელი დაიღუპა, მათ შორის ყაზახეთის ექსპედიციის სამი წევრიც, რომლებსაც კარგად ვიცნობდი.

**— რაკი ანაპურნაზე ხელი აიღეთ, ახლა მაინცდამაინც მანასლუზე რატომ განიზრახავთ ასვლა?**

— მიზნებს ფინანსური შესაძლებლობები განსაზღვრავს, ჩვენ კი საჰიმალაიოდ საერთოდ არ გვქონდა ფული. რომ არა „ომეგა“, რომელმაც ჩვენი გენერალური სპონსორობა იკისრა, მეორე ქართული ჰიმალაური ექსპედიციის მოწყობა ისევ ოცნებად დაგვრჩებოდა.

**— მაგრამ ნებისმიერ რვაათასიანზე ასვლის უფლებისთვის ხომ ერთნაირი თანხაა გადასახდელი, გამონაკლისი მხოლოდ დედამიწის უმაღლესი მწვერვალი ჯომოლუნგმაა (8848 მ). ამიტომ, რაკი „ომეგამ“ დახმარების ხელი გამოგიწოდათ და ფინანსური პრობლემა მოგიგვარათ, კითხვას ისევ გამიმეორებთ...**

**— საჭურველისა და ინვენტარის პრობლემა არ გაწუხებთ?**

— ორიოდე დღის წინათ დავბრუნდი მოსკოვიდან. რაც გვჭირდებოდა, ყველაფერი შევიძინეთ თოკების გარდა. მწვერვალზე, ეტყობა, საერთო ჯამში კილომეტრნახევარი თოკების დაკიდება მოგვიწევს. თოკებს კატმანდუში ვიყიდით, იქ ყველაზე იაფია.

**— მოსკოვში რომელი ფირმის აღჭურვილობა იყიდეთ?**

— თითქმის ყველაფერი რუსული. ეკატერინბურგელებმა სპეციალური დაკვეთით დაგვიმზადეს კარვები, რომლებიც, მიმაჩნია, სხვა ნებისმიერი ქვეყნისას სჯობს. მათგან კარვებს სხვა მრავალი ქვეყნის მთამსვლელები ყიდულობენ. სპეციალური დაკვეთით იქვე ფირმა „ბასკს“ შევაკერინეთ ბუმბულის ქურთუკები, შარვლები, საძილე ტომრები, ხელთათმანები, ქუდები... მათი ხარისხი სხვა ქვეყნებისას არ ჩამორჩება და სამჯერ იაფია.

რაც შეეხება ფეხსაცმელს, იტალიური „ვან სპორტის“ ბათინკი ვამჯობინეთ. ყველაზე თბილი და მსუბუქია.

**— მანასლუზე რამდენი ბანაკის მოწყობას აპირებთ?**

— სამის: 5600, 6400 და 7300 მეტრის სიმაღლეზე.

**— მანამ, და ალბათ, კავკასიონზე სავარჯიშო ასვლებს გეგმავთ.**

— ნაწილი მთაშია, ნაწილიც ამ ხუთშაბათს გავემგზავრებით მყინვარწვერზე.

* * *

გია თორთლაძემ ისიც გვითხრა, რომ მყინვარწვერზე, 4000 მეტრის სიმაღლეზე ჩვენი მთამსვლელები... ეკლესიის დადგმას აპირებენ. რის შესახებაც მომავალ კვირას მოგითხრობთ.

საინტერესოა, რომ ამ „ღონისძიებასაც“ „ომეგა“ აფინანსებს. ასე რომ, „ომეგა“ მთამსვლელებთან ურთიერთობას მყინვარწვერიდან იწყებს.

**ავთანდილ გურასაშვილი**

# კუჭი და ნიჭი

იმ კვირის დამდეგიდან ეგვიპტის დედაქალაქი ქაირო უმასპინძლებს ბერძნულ-რომაულად მოჭიდავე იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატს. ამ ტურნირში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ნაკრებიც, რომელმაც ახლახან ევროპის პირველობაზე ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოინადავლა.

მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ჩვენი იუნიორები გლდანის ოლიმპიური რეზერვების სპორტულ სკოლაში ემზადებიან. აქ მათ დასვენებისა და ვარჯიშის მეტ-ნაკლებად კარგი პირობები აქვთ. როგორც ნაკრების მწვრთნელები ლადო ადეიშვილი და გოჩა ბარბაქაძე, ასევე თავად ბიჭებიც კმაყოფილები არიან აქ შექმნილი პირობებით და დიდად ემადლიერებიან სპორტსკოლის დირექტორ მერაბ მეტრეველს, რომელიც დღევანდელი პირობებიდან გამომდინარე, მაქსიმუმს აკეთებს მათთვის. მართალია, აგვისტო ყველგან აგვისტოა თავისი აუტანელი პაპანაქებით, მაგრამ აუზ-შადრევნებისა და დაჩრდილული ეზოს წყალობით აქ შედარებით გრილა.

სპორტინტერნატის ხელმძღვანელობის გარდა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ ადეიშვილი ემადლიერება ასაკით უფროს მოჭიდავეებს, რომლებიც ხშირად ადიან ბანაკში და ბიჭებს საშეჯიბრო პრაქტიკის ნაკლებობას უნაზღაურებენ.

რაც შეეხება თავად ნაკრებს, როგორც ევროპის ჩემპიონატის წინ, მას ახლაც ფულის პრობლემა უდგას. ჯერჯერობით გადაწყვეტილია რვა კაცის დაფინანსების საკითხი, რომელთაგანაც ექვსის ფული გაიღო დეპარტამენტმა, ერთი თბილისის სპორტის სამმართველოს და ერთიც აჭარის ხარჯით გაემგზავრება. ჯერაც გაურკვეველია ორი მონაწილის ბედი. თუ ფული გამოიძებნა, მწვრთნელს კანდიდატურები შეგულებული ჰყავს და ქაიროსაც სრული გუნდით გაემგზავრება.

მწვრთნელებს პირამიდების ქვეყანაში წასაყვანად შეურჩევიათ ირაკლი ჭოჭუა (54), ალეკო კუნჭულია (56), ლევან ოდიშარია (60), ალექსანდრე დოხტურიშვილი (65), ბადრი ხასაია (69), გელა ჩხაიძე (76), ზვიად ქარდავა (83) და ალექსანდრე წურწუმია (მძიმე). ის ორი მონაწილე, რომელთა წაყვანაც დეპარტამენტის ჯიბეზე ჰკიდია, გიორგი ჯობავა (90) და მანუჩარ ფერაძე (49) არიან, თუმცა ამ უკანასკნელს თურმე სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაც აქვს — როგორც ადეიშვილმა თქვა, ტირანიდან ჩამოსვლის შემდეგ მან მკვეთრად მოიმატა წონაში. გუნდში ევროპული პირველობის სამივე პრიზიორია, თუმცა გაუთვალისწინებელი ცვლილებებიდან თავის დაღწევა არც ამჯერად მოხერხდა. ჯერ კიდევ ტირანაში 76 კგში გურამ სტურუა უნდა წასულიყო, მაგრამ დაშავდა და ადგილი გელა ჩხაიძეს დაუთმო. სამსოფლიოჩემპიონატოდ გურამმა ტრავმა მოიშუშა და ნაკრებშიც ადგილი თითქოს გარანტირებული ჰქონდა, მაგრამ ისევ დაშავდა და ადგილიც კვლავ ჩხაიძეს დაუთმო. აქვე ერთიც მინდა ვთქვა — ქართველ სპორტსმენთა მონაგარში ლომის წილი სწორედ მოჭიდავეებზე მოდის. ამიტომ უპრიანი იქნება, მათ ყურადღებაც მეტი მიექცეთ და უკეთესი პირობებიც შეექმნათ. თუნდაც მოსკოვის ახალგაზრდულ თამაშებზე დაკავებული გუნდური მეექვსე ადგილიც ხომ ძირითადად მოჭიდავეების მიერ მოხვეჭილი მედლების დამსახურებაა. ჩვენი მოჭიდავეები ყველა შეჯიბრებაზე,სადაც კი ასპარეზობენ, ძირითადად მეოთხე ადგილს იკავებენ თითქმის ერთი და იგივე გუნდების შემდეგ და წესივით დამკვიდრდა—მაძღარნი წინ, ნიჭიერნი, მაგრამ მშიერნი უკან.

ნაკრებში ევროპის ჩემპიონატის სამივე პრიზიორია და საერთოდ, გუნდიც თითქმის იმავე შემადგენლობით მიემგზავრება ეგვიპტეში. გუნდში არსებული საერთო განწყობილება ოპტიმისტურია და თვლიან, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე უფრო უკეთაც უნდა გამოვიდნენ, ვიდრე ევროპისაზე. ერთი შეხედვით, თითქოს უცნაურია ეს იმედი, რადგან მსოფლიო პირველობა რანგით აღემატება ევროპულს, მაგრამ ამ ოპტიმიზმსაც საკმაოდ რეალური საფუძველი აქვს. თუ ტირანაში ჭიდაობა ამ ბიჭებისთვის სადებიუტო იყო ამ დონის შეჯიბრებებისთვის, დღეს მათ გამოცდილებაც შეიძინეს და ფსიქოლოგიური ბარიერიც დაძლიეს (ამაში ბიჭებთან გასაუბრებამაც დამარწმუნა). თანაც, ტირანაში ყოველგვარი შეკრება-მზადების გარეშე გაემგზავრნენ, დღეს კი ერთი შეკრება მაინც ეღირსათ. ევროპაზე წასვლის წინაც რომ გვქონოდა შეკრების მოწყობის საშუალება, იქ უკეთესი შედეგები გვექნებოდაო, გულისტკივილით აღნიშნეს მწვრთნელებმაც და ბიჭებმაც. „პრიზიორობა ბუნებრივია, მაგრამ ჩემი უმთავრესი მიზანია, ერთი ოქროს მედალი მაინც იყოს" — გვითხრა ლადო ადეიშვილმა. ვინ ვინ და ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ყველაზე კარგად უწყის თავისი აღზრდილების შესაძლებლობები და ცხადია, ამ სურვილსაც რეალური საფუძველი ექნება.

მწვრთნელების შემდეგ თავად ბიჭებსაც გავესაუბრე, ოღონდ რაღაც დაუწერელი კანონის გამო, მათში ევროპის პირველობის პრიზიორები გამოვარჩიე, რასაც, იმედია, სხვები არ მიწყენენ.

**ლევან ოდიშარია**, ევროპის ვიცე-ჩემპიონი: ვეცდები, სულ ცოტა, სამეულში მოვხვდე. ეს ჩემი პროგრამა-მინიმუმია და არც უფრო მაღალ შედეგს გამოვრიცხავ, თუმცა რა მოხდება, წინასწარ არავინ იცის. ჩემი ძირითადი კონკურენტებიდან მხოლოდ იმათ ვიცნობ, ვისაც ევროპაზე შევხვდი, მოკლედ, წარმატების იმედი მაქვს.

**გელა ჩხაიძე**, ევროპის ვიცე-ჩემპიონი: წინასწარ ვერაფერს ვიტყვი. მომზადებული კი კარგად ვარ, მაგრამ სიფრთხილეც საჭიროა. ისე კი წარმატების იმედი მაქვს, რადგან ბერძნულ-რომაულში მონაწილეთა სიძლიერით ევროპული პირველობა, ფაქტობრივად, იგივე მსოფლიოს ჩემპიონატია. ალბათ, ევროპაზე მიღწეული არ უნდა დავთმო, ვინაიდან ტირანაში დაშვებული შეცდომა ფსიქოლოგიური მომენტით — გამოუცდელობით იყო გამოწვეული. ეს გასაკვირი არცაა, რადგან ევროპის ჩემპიონატის ფინალში პირველად ვჭიდაობდი, დღეს კი გამოცდილება ბევრად მეტია.

**ირაკლი ჭოჭუა**, ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი: ეგვიპტეში მედლის მოპოვების იმედით მივდივარ. გუნდი კარგადაა მომზადებული, მწვრთნელი ლადო ადეიშვილიც კარგად გვავარჯიშებს, შეკრებაც კარგი გვაქვს. ასეთი შეკრება რომ ევროპის ჩემპიონატის წინ გვქონოდა, იქ უფრო მეტ მედალს მოვიპოვებდით. რაც შეეხება ტირანაში ჩემს გამოსვლას, რა თქმა უნდა, მეტის გაკეთებაც შემეძლო, მაგრამ გამოუცდელობის გამო, პირველი შეხვედრა წავაგე, ამის შემდეგ კი დაძაბულობას იოლად ვძლიე. ქაიროში ასეთი რამ არ უნდა დამემართოს.

რამდენიმე დღის წინ ამავე სტილით მოასპარეზე ასაკით უმცროსმა ჭაბუკებმა ტრიუმფით მოიარეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ახლა კი იმედი ვიქონიოთ, მათი უფროსი კოლეგებიც არანაკლებ წარმატებას მიაღწევენ შავი კონტინენტის მეორე ბოლოში. მით უფრო, რომ სამედლებო კანდიდატებს შორის ამ სამეულის გარდა სხვებიც არიან.

**ირაკლი თავაძე**

# ირანში რევოლუციაა: ქალები ჭიდაობაზე

პირველად ისლამური რევოლუციის შემდეგ, ირანელ ქალებს მიეცემათ უფლება საჭიდაო დარბაზში შევიდნენ და თავიანთ ფალავნებს უქომაგონ. ასეთი რამ ოცი წელიწადია არა მომხდარა, ახლა კი დადგენილია და გადაწყვეტილიც.

ამის შესახებ გამოაცხადა ირანის ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა მუჰამედრეზა ტელეკანიმ. მან გამოაცხადა, გაზეთებმა კი აიტაცეს. ცნობილია, რომ 8-11 სექტემბერს, თეირანში თავისუფლად მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება. გადაწყვეტილებაც ამის გათვალისწინებითაა გამოტანილი.

იმავ მუჰამედ რეზას განცხადებით, ქალთათვის ცალკე სექტორები იქნება გამოყოფილი, ისევე როგორც ჟურნალისტების, დიპლომატებისა და უცხოელ სპორტსმენთა ოჯახის წევრებისათვის.

„არა მგონია, საჭირო იყოს, რომ მონდომებულ გულშემატკივარ ქალებს გზა გადავუკეტოთ", — განმარტა მუჰამედ რეზა ტალეკანიმ.

ირანელმა ქალებმა კი, რომლებსაც 1979 წლიდან მოკლებულნი იყვნენ სპორტული სანახაობის ხილვას უშუალოდ სანახაობის ადგილას და არა ტელევიზორში, ერთი მხრივ, თავადაც გაიკაფეს გზა დარბაზებისა და სტადიონებისკენ.

გასული წლის 1 დეკემბერს თეირანის სტადიონზე დიდი დავიდარაბის შემდეგ შეაღწია ხუთი ათასმა ქალმა, რომელთა სურვილიც ერთი იყო — მისალმებოდნენ საფრანგეთის საგზურის მომპოვებელ ფეხბურთელებს.



# ეს ორია ქვეყანაზე?

18-23 აგვისტოს ბუდაპეშტი ევროპელ მძლეოსანთა ჩემპიონატს უმასპინძლებს. დუნაისპირა ქალაქს „სპორტის დედოფალი" დიდი, 48 ქვეყნიდან შეკრებილი ამალით ეწვევა. ამ ევროპულ მარაქაში საქართველოც გაერევა. სწორედ რომ გაერევა, თორემ რაიმე მნიშვნელოვანი წარმატება ნაკლებად მოსალოდნელია, მით უფრო, რომ ჩვენებურები სულ ორნი იქნებიან და ორივე სპრინტერია — თამარ შანიძე და რუსლან რუსიძე. თამარი 100 და 200 მეტრზე ირბენს, რუსლანი კი მხოლოდ 100-ზე.

ნათქვამია, კეისარს კეისრისაო და მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციაც



რუსლან რუსიძე, მაია აზარაშვილი და თამარ შანიძე

მსგავსი რანგის ტურნირების მონაწილეთა ლიმიტს ძველი დამსახურებისამებრ ანაწილებს. ვინაიდან ქართველები მსოფლიო მძლეოსნობაში კარგა ხანია, სასიკეთოდ აღარ გავრჯილვართ, ამიტომაც არ გვერგო მეტი ადგილი და რაც გვერგო, ესეც მაია აზარაშვილის დამსახურებაა — 1996 წელს იგი ფინალში გავიდა და თუ მანამდე მხოლოდ ერთი ადგილი გვქონდა, ერთიც ამის მერე დაგვიმატეს. თუ ღმერთმა ინება და ჩვენებმა ახლაც ასეთსავე შედეგს მიაღწიეს, ლიმიტი კვლავ გაგვეზრდება, თუმცა მიაღწევენ კი? რომ იტყვიან, საკითხავი აი, ეს არის!

თამარ შანიძე რამდენიმე თვეა, გერმანიაში ვარჯიშობს და როგორც ჩვენი მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა თამაზ მდინარაძემ გვითხრა, საუკეთესო პირობებშიც. მისი იქ გაგზავნა მაია აზარაშვილის დიდ წვლილთან ერთად ჩვენი ფედერაციისადმი იააფი-ს ყოველწლიური დახმარების წყალობაცაა. იგი რუსიძეზე გაცილებით ხშირადაც ასპარეზობს და ამდენად, პრაქტიკაც მეტი უნდა ჰქონდეს. ორიოდე დღის წინ თამარმა ბონში დასავლეთ გერმანიის რეგიონალური პირველობა მოიგო.

ბათუმელი რუსლან რუსიძე თბილისში ცხოვრობს და ვარჯიშობს მწვრთნელ არჩილ კონსტანტინოვის ხელმძღვანელობით, რადგან მშობლიურ ქალაქში თურმე სავარჯიშო პირობები არ ჰქონია. უჭირს საკუთარ კერას მოწყვეტილ ბიჭს. უჭირს ცხოვრებაც და ვარჯიშიც. ყველა ცხოვრებისეული პრობლემა ხომ მისი მოსაგვარებელია, არც ვარჯიშის პირობები აქვს ნორმალური, ამიტომ საიმედოც ვერა ეგულება ბუდაპეშტში. უმჯობესია, თავად რუსლანს მოვუსმინოთ: „მზადების პროცესით კმაყოფილი ნამდვილად არა ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ფედერაცია ყოველნაირად ხელს მიწყობდა. უბრალოდ, საქართველოში არ არის ის პირობები, ხეირიანი შედეგების მიღწევას რომ სჭირდება. მძლეოსნობაში ძალიან ბევრია დამოკიდებული სამკურნალო-აღდგენით პროცესზე, რისი საშუალებაც, ფაქტობრივად, არა მაქვს. გარდა ამისა, არ გვყავს არც მენეჯერი, არც მასაჟისტი, არც ექიმი. ამიტომ თავად მიწევს საკუთარი თავის კონტროლი. თანაც, როგორც ბათუმელს, კიდევ ერთი პრობლემა მაწუხებს: მართალია, ფედერაციამ ბინით კი უზრუნველმყო, მაგრამ ვარჯიშის შემდეგ მე თვითონ მიწევს ბაზარში საყიდლებზე სიარული და საკვებზე ზრუნვა. ასეთ პირობებში დასვენებასა და აღდგენით პროცესზე ლაპარაკიც ზედმეტია. მართალია, ამ ცოტა ხნის წინ რუსეთის ღია ჩემპიონატში ვმონაწილეობდი, მაგრამ არის უფრო უკეთესი ტურნირები, რომლებიც ნაკლებადაც ხარჯიანია და უკეთეს შედეგებსაც მოიტანს. ასეთ პირობებში წარმატების დიდი იმედი არც მაქვს. მინდა, ჩემი საუკეთესო შედეგი ვაჩვენო და შემდეგ წრეში გავიდე, ამისი იმედი კი არ დამიკარგავს".

თამარ შანიძესთან გასაუბრებაც ვცადეთ, მაგრამ გერმანიაში მისი მოხელთება ძალიან გაგვიჭირდა. იგი და მაია აზარაშვილი გერმანიიდანვე ჩავლენ უნგრეთში და ჩვენს დელეგაციას იქ შეუერთდებიან. თამაზ მდინარაძის თქმით, თუ ორივე სპრინტერი ფინალში გასვლას მოახერხებს, ეს უკვე წარმატება იქნება.

**ირაკლი თავაძე**

# ავადმყოფი კიპკეტერი და გაბრაზებული ბიჭები

გუშინ რომ ციურიხში მძლეოსანთა „ოქროს სერიის" მორიგი ეტაპი გახურდა, მის მომწყობთა სიამაყის მიუხედავად, უარყოფითი სიტყვებიც ბევრი გაისმა. მძლეოსანთა დიდი შოუ, შვიდ ეტაპად რომ მიმდინარეობს, შემოდგომის პირზე, თავის უდიდეს წარმატებად იმას მიიჩნევს, რომ უზარმაზარი საპრიზო ფონდი აქვს. ჯეკ-პოტიო, იუწყებიან გაზეთები, მილიონ დოლარს შეადგენსო.

თუმცა, განა ყოველი მძლეოსანი ასე მიიჩნევს? განთქმული მორბენლები ერთგვარი ეჭვითაც კი უყურებენ ამ შეჯიბრს. თანაც, ეჭვი უფრო ფინანსურ მხარეს შეეხება, ვიდრე სპორტულს. ამათ შორის ყველაზე ხმაურიანნი 100 მეტრზე რბენაში მსოფლიოს ჩემპიონი ამერიკელი მორის გრინი და 200 მეტრზე რბენაში ასევე მსოფლიო ჩემპიონი, ტრინიდადელი ატო ბოლდონი გამოდგნენ. ისინი მეგობრები არიან და ერთი მწვრთნელის ხელქვეით ვარჯიშობენ კალიფორნიაში.

გრინმა და ბოლდონმა განაცხადეს, რომ ციურიხში არ ჩავლენ, რადგან საკმაოდ ძვირი უჯდებათ შვიდეტაპიან „ოქროს სერიაში" მონაწილეობა, ჰონორარი კი შესაბამისი არ არის.

„ეს შეჯიბრი შოუა", — განაცხადა გრინმა — „შოუს მონაწილეებს კი სხვადასხვაგვარად უნდა უხდიდნენ. ჩემთვის ფულისთვის შეჯიბრი სულაც არ არის მნიშვნელოვანი რამ, მაგრამ თუკი გვაჯიბრებენ, კიდეც უნდა გადაგვიხადონ."

ციურიხში კი სწუხან იმის გამო, რომ 200 მეტრზე რბენაში ვერ მოაწყობენ ლეგენდარულ შეჯიბრებას, სადაც კანადელ რეკორდსმენ და ოლიმპიურ ჩემპიონ დონავან ბეილის, მის თანამემამულე ბრუნი სარინსა და ნამიბიელ ფრანკი ფრედერიკსს მხარს დაუმშვენებდა ტრინიდადელი ატი ბოლდონი. ბოლდონი წლევანდელი სეზონის გმირია. გასულ უქმეებზე, მონაკოს „ოქროს სერიისას" ბეილიც უკან ჩამოიტოვა და საერთოდაც წლის საუკეთესო დრო უჩვენა 100 მეტრზე — 9,86 წამი.

ციურიხის შეჯიბრის დირექტორი, ანდრეას ბრუგერი კი თვლის, რომ კონკრეტულად ამ შეჯიბრის პირზი — 100 ათასი დოლარი, სოლიდური თანხაა: „ჩვენ მათ მილიარდერები ვგონივართ, ამჯერად ეს მაქსიმალური ჰონორარია", — აცხადებს ის.

ფულს რომ თავი დავანებოთ, ბოლდონისა და გრინის მწვრთნელ, ჯონ სმიტს, შეჯიბრის სპორტული მხარეც არ მოსწონს, სულაც არ მინდა ჩემი ბიჭები ყოველ შაბათს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენო, ამბობს მწვრთნელი.

მსოფლიო მძლეოსანთა ბოსი პრიმო ნებიოლო კი ხუმრობს: მძლეოსნობა ამ ორი კაცით არ დაწყებულა და არც მათით დასრულდებაო.

სამაგიეროდ, დიდი ამბავი იქნება გრძელ დისტანციათა შეჯიბრზე. აქ მთელი ვარსკვლავეთი მოიყრის თავს. 5 და 10 ათას მეტრიანი დისტანციების ამჟამინდელი ჩემპიონი, ეთიოპიელი ჰაილე გებრსელასიე შეერკინება კენიელ პოლ ტერგატს, მაროკოელ ხალიდ ბულამისა და გერმანელ დიტერ ბაუმანს. აი, ეს კი დიდი შეჯიბრი იქნება. თუმცა, მაინც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ოქროს სერია" ჯერაც ვერ იქცა მოწინავე მძლეოსანთა ერთსულოვანი თავშეყრის ადგილად.

ციურიხშივეა ჩასული განთქმული მორბენალი ველსონ კიპკეტერი — რვაასმეტრიანი დისტანციის მეფე. ამ დანიის ქვეშევრდომად გარდასახულ კენიელს სხვა დროს და სხვა ვითარებაში ალბათ ციურიხის „ოქროს სერიის" უპირობო გამარჯვებულადაც მიიჩნევდნენ და არცთუ ტყუილად, მაგრამ ახლა საქმე სხვაგვარადაა.

ლეტციგრაუნდის სტადიონის სარბენ ბილიკებზე გამოსული კიპკეტერი ნაღდად კმაყოფილი იქნება, თუ დისტანციას ბოლომდე გაივლის. ეს თავადაც კარგად იცის, მაგრამ შეჯიბრში მაინც ჩართულია, რახან უფრო დიდი შეჯიბრისთვის ემზადება. კიპკეტერის ფეხდაბორიკილობის მიზეზი ერთია: რამდენიმე თვის განმავლობაში მალარიით იტანჯებოდა და ჯანზე ახლაღა მოდის. 27 წლის კიპკეტერი ლეგენდარული ბრიტანელის, სებასტიან კოეს რეკორდთა დამამხობელი კაცია, თუმცა, ამჯერად მსუბუქ განავარდებას ამჯობინებს.

„ციურიხშიც გავირბენ და მოახლებულ ევროპის ჩემპიონატზეც", — ამბობს ვილსონი — „მაგრამ ამას იქეთ რა იქნება, არ ვიცი. იოლად ვუყურებ ამ საქმეს, მალე საბოლოოდ გამოვჯანმრთელდები და მერე უნდა მიფრთხილდნენ."

საინტერესო კი აი რა არის: შარშან, ციურიხის ეტაპის შემდეგ, სრულ ერთ კვირაში, კიპკეტერი კიოლნის დიდი პრიზის შეჯიბრზე ჩავიდა (ესეც „ოქროს სერიისაა") და მსოფლიო რეკორდი დაამყარა 1:41.40 წუთით. წელს კი მალევე იწყება ევროპის ჩემპიონატი. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ კიპკეტერი სწორედ იქ აიწყვეტს?

**ზურაბ ქალატოზიშვილი**


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:** ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:** ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:** ავთანდილ გურასაშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:** სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:** კონსტანტინე გოგიშვილი, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
**კალათბურთის განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
**ინფორმაციის განყოფილება:** ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე
**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29